

9 772298 1095006

13


1134
2019

საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი

თეოკონული
გეოლოგიური

ფასი 2 ლარი

საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი



2019 / მარტი

3 (281)

ჯორჯიკონი

„გეოლოგიური საზოგადოების ჟურნალი“

სარჩევი



- პროზა 1 ბესო სოლომანაშვილი |
ორ-ორი პანლური წმინდა გიორგის დღეს სადღაც კავკასიაში
- პოეზია 14 ნინა სამხარაძე
- თარგმანი 18 უოლეს სტივენსი | ლექსები
ინგლისურიდან თარგმნა ზვიად რატიანმა
- 23 იუნ ლი | სრული დუმილი
ინგლისურიდან თარგმნა თინათინ ფალიაშვილმა
- წიგნის ნადიმები 30 მალხაზ ხარბედია |
ჭიქების ხმა „პიკვიკის კლუბის ჩანაწერებიდან“
- ესე 42 ლევ ტროცკი | სელინი და პუანკარე
რუსულიდან თარგმნეს ნორიკ ბადოიანმა და გიორგი ფირცხალაიშვილმა

გარეკანი: მამუკა ტყეშელაშვილი

არილი

საზოგადოებრივ-ლიტერატურული ასოციაცია
"არილის" ყოველთვიური გამოცემა

The Literary Magazine "Arili"

რედაქტორები

მალხაზ ხარბედია
შადიმან შამანაძე

მხატვარი მამუკა ტყეშელაშვილი

კორექტორი ინა არჩუაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა თამაზ ჩხაიძე

პროექტის მენეჯერი ეკა ხარბედია

სარედაქციო საბჭო

რადი აშალოშელი, ია ანთაძე, ანდრო ბუაჩიძე,
ლაშა ბულაძე, თამაზ ვასაძე, გიორგი კეკელიძე,
ზურაბ კიკნაძე, ვასილ მალღაფერიძე,
ზვიად რატიანი, ჯიმშერ რეხვიაშვილი,
ირაკლი სამსონაძე, გულსუნდა სიხარულიძე,
ბაკურ სულაკაური, ირმა ტაველიძე,
ქეთი ქანთარია, პაატა შამუგია, ზაზა ჭილაძე.

არილი - დასასვენებელი სინამდეთა

სულხან-საბა

არილი - მზის შუქი, რამიზე დამდგარი

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

არილი - თანამედროვე ქართული ლიტერატურის
მარილი

ხალხური

ელექტრონული ფოსტა: info@arilimag.ge
ვებგვერდი: arilimag.ge


გამოდის 1993 წლიდან

© ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების გამოყენება
"არილის" რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია

ჟურნალი გამოდის
საქართველოს განათლების,
მეცნიერების, კულტურისა და
სპორტის სამინისტროს
ფინანსური მხარდაჭერით



ბესო სოლომანაშვილი ორ-ორი პანდური წმინდა გიორგის დღეს სადღაც კავკასიაში



«დღეს 2003 წლის 24 ნოემბერია, გუშინ გიორგობა იყო, ქვეყანა შეიცვალა და მე არაფერი მეშველა... რა სირობაში აღმოვჩნდი, ტო?! გუშინაც კი ჩემთვის მოიცალა ბედმა. ბედმა კი არა, უბედობამ. დილას აღმოვაჩინე რო ძლივს შეგროვებული, ბანკში შესატანი 800 დოლარი ჩემ გერს მოუპარია და წაუღია. მთელი 800 დოლარი, დედას შევეცი, თავის მოკვლა მინდოდა, გული მიგრძნობდა რა, წინაღმეც ცოლთან გავმაზე... და არ ამიდგა, ციოდა და... სად არი მაგდენი ფული გაზით ან ელექტრობლიტით გავათბო სახლი. ნავთის კერასინკას ვერ აანთებ, ხრჩოლავს და დაავადდნენ ბავშვები. მერე გამოყვლებული სიზმრები ვნახე და აჰა - ამიხდა. ჩემ ცოლს სულ დედის ტრაკი ვაგინე, თან მეორე ოთახ-

ში სიდედრს ეძინა და უფრო გულიანად ვიგინებოდი. ბავშვები იმასთან იყვნენ შეყუყულები, შეეშინდათ, აბლავდნენ, ტირილის ხმა რო გავიგე, კიდე უფრო გადავირიე და გავვარდი სამსახურში.

დერეფანში, სამზარეულოდან გამოვარდნილი ნავთის სუნი მეტაკა, დენი 1 საათში წავიდოდა, ცოლი თან საჭმელს აკეთებდა, თან რეცხავდა, - უნდა მოესწრო ყველაფერი, ყურადღება არ მოუქცევია, არა, მომაქცია, მაგრამ პასუხის დრო არ ჰქონდა.

მოვკლავ იმ დედამოტყუნულ ჩემ გერს, არ მოვიდეს სახლში, თორე მართლა მოვკლავ-მეთქი, ისეთი მივაჯახუნე კარი, ცხრასართულიან კორპუსში სულ ცოტა ორბალიანმა მაინც ჩაასვრევინა მეზობლებს.

ლიფტი ორი დღეა გაფუჭებულია, წუხელ ვილა-
ცეები ამოდიოდნენ, დენი წავიდა და გაიჭედნენ. გა-
მოყვანისას გააფუჭეს, ცხრა სართული სულ გინებ-
გინებით ჩავირბინე.

მემონტაჟე ვარ ტელევიზიაში და საინფორმა-
ციო სირობებს ვამონტაჟებ. მაგრა არ ვეცასები ნი-
უსების შეფს. რატო დევევასები? ნინოზე აბოდეხს,
ანდრეეს ისე ევასება და იმასაც მე გცყნავ, - ხო ვარ
იდიოტი? - ვარ. იმ შეფის ცოლი იქვე მუშაობს და
ხმამალა ხო ვერ გამიტრაკებს, მეც არ ვიმჩნევ და
რატო ამიტანს? ერთი სული აქ რამეში ძაან ჩავიჯ-
ვა რო გამაგდოს, მაგრამ კაი მემონტაჟე ვარ და
ვერ მელევა. ბებია მაგისამ, გავარტყი ნიუსების სი-
უფეტების მემონტაჟეობას. არადა, დიდი „კინოშნი-
კი“ მინდოდა გამოვსულიყავი და გამოსირებული
„ტელევიზიონშიკი“ გამოვედი. მაგარი უიღბლო ტი-
პი ვარ, ტოო!!! ერთადერთი კარგი, რაც ამ ტელე-
ვიზიას აქ, - სითბოა. შუქი სულ არი და სტაბილური
ხელფასი. მგონი ამ ნიუსების შეფს წუხელ ავუსრუ-
ლე ოცნება, დღეს გავიგებ წესით, თუ გამოვძვერი
აქედან. ხო, იმას ვამბობდი - მივედი ტელევიზიაში,
დაცანცარებენ ეს ჟურნალისტები, გონიათ მათზეა
ყველაფერი დამოკიდებული, - დარბიან საქმიანი
ხელათებით. იმაზე მეცინება ხოლმე, გზადაგზა რო
კითხულობენ ტექსტს, რო იმეორებენ, ვითომ ისე
გვეჩქარება, წუთი არ გვაქ დრო გასაჩერებლადო.
ყველას ჩემთან მუშაობა უნდა... ეხლაც ამინიკინ-
დნენ, დაეგვიანე და... რა იციან, რა სირობაში ვარ,
ის ფული მალე თუ არ მეცვაროვე, ერთ თვეში სახლს
გამიყიდის დედაბოტყნული ბანკი. ტყულად ვეძ-
ველებოქე იმ კრედიტოფიცერს, - ადრეც გავიჭედე,
მამინაც მიყიდდნენ ბინას - გადამივადე სესხი-
მეთქი, არო - უფროსობა უფლებას არ მაძლევსო.
კაი-თქო - მიდი გამიყიდე, მკიდა-მეთქი, ოღონდ
იცოდე, იარაღს ვიშოვო და კი არ მოგკლავ, დაგასა-
ხირობ-თქო. ციხეში მე მაგარ პატივისცემაში ვიქ-
ნები, ჰა-ჰა, ხუთ წელიწადში გამოვალ. შენი დედა-
მოტყნული, გაუმძღარი ბანკის დირექტორი კანა-
რებზე იქნება, შენ კიდევ რა დაგჩრება, - ინვალდის
„კალიასკა-თქო“, გაჭრა, მოახერხა გადავადება. იმას
ვნერდი, რო ძაან არეულობაა ამ ტელევიზიაში, ჟურ-
ნალისტების რიგი მიდგას, მე კიდევ, მაგარ ძღნერ
ხასიათზე ვარ. თან მახსენდება რო არ ამიდგა, თან
მოკვლა მინდა ჩემი გერის. თენგიზამ შემატყო, მო-
განვეინებო და დილიდან ტრუხა ჰლანი მოვნი, არა-
ფერი აღარ მინდა, არა, - მშია, თან მაგრა. კაპიკი
არ მიდევს ჯიბეში, ვერც ბუფეტში ჩავდივარ იმდენ-
ნი ნისია მაქ, დააჭერინებს ჩემ თავს, რო დამინახოს
რობერტო ბუფეტჩიკმა. ეს ნინოც არ ჩანს, - მაჭ-
მევდა. არც თენგიზას აქ ფული, დანარჩენი სირები
არიან, - ვერაფერს გააგდებინებ. შემოვიდა ეს ნა-
კომკაეშირალი ახგარი, შეფის მოადგილე, შენი იმე-
დი მაქო, და მე რო დაბალი ხელფასი მაქ-მეთქი? ხო
ხედავ რა მდგომარეობაა, ეს რევილუცია გადავა-
გოროთ და მერე მოგხედავო. ამისი ცოლიც აქ მუ-
შაობს. გემრიელი სატყნავია, - ერთხელ კორპორა-
ტიულზე „მეზასავა“. რო იცოდეს ამ სირმა? შეილე-
ბა იცის და იმიტო არ მიმატებს ხელფასს. ის დროა,
მაგრა იქოქება ამბავი, მთელი ქვეყანა ქუჩაშია გა-
მოყრისი. თავისუფლებას ითხოვენ - მოგიტყანთ

თავისუფლება, იცოდნენ მაინც რა არი! მე სუ მკი-
დია. ისევ ისეთი ნაგავი იქნება. ხალხს ხო ვერ გა-
მოცვლი ამ ქვეყანაში - რევილუცია რას უშველის
მოდიან და მოდიან ცანცარა ჟურნალისტები, ხან
დროშებით მორბენალ დაგოიბებულზე ვაკეტებ
სიუჟეტებს, ხან სკამებზე დაგეშილ ტურებზე, სუო
ყველა რევილუციაზე - ამის დედა ვატირე, მერაზა
დენჯერ უნდა დაიწყოს ამ ჩათლახების ქვეყანაში
ახალი ცხოვრება... სამჯერ შემოიხედა ამ შეფმა,
აბა თქვენ იცითო, ნინოს ეძებდა ეს ნაბიჭვარი,
იცის რო ჩემთან იქნება და... ბოლოს ვედარ მოით-
მინა და იკითხა, სად არიო, რავი, სადაც გაუშვით იქ
იქნება-თქო, რო მოვა შემოვიდესო და გაიძურნა.
ნინო მოვიდა, მინდოდა გამეტრაკებინა, მარა გა-
მოსირებამდე კაია ეს ჩემისა, შეილება მიყვარს კი-
დეც. თან თავხედია, დებილი ირინა ნამოაგდო სა-
მონტაჟოდან, მძრეველ ჩორტიკასთან გააგდო და
დამიჯდა... აუ, ისეთი ტრაკი და ძუძუ აქ და თვალე-
ბი და ღიმილი... და ხმა კიდევ. შეფმა გიკითხა-მეთ-
ქი, აუუ, ტვინს მომიტყნავს ეხლაო და გავიდა. ისევ
დებილი ირინა დაბრუნდა, მაგას ის ერთი საათი არ
გამოუშვებს და მიდი რა, დამიმთავრო, აი, ამას
როგორ უნდა დავემთავრო? ის ძალი როა... დო-
ბერმან პინჩერი, - უზნეო დობერმან პინჩერს გაგს,
პატრონსაც რო მოგებზრებია და არ აჭმევს. ოღონდ
მართლა დებილია, აჰა, აი რა დანერა რევილუცია-
ზე: „საქართველო მიმდინარე პერიპეტეიების განვი-
თარების ნინაშეო, რევილუციის ნიშანდობლივი
სამონტაჟოებიო...“ - მეზარება რო ვუთხრა რო სი-
რობაა, მოსტყნავს დედა. სამი კადრი მივამონტაჟე
და მობრუნდა ნინო, კვდება სიცილით, მაგრა ვუნ-
დივარ მარა იმ „სტერეო“ ცოლმა მოუსწროო, ჯერ
მითხრა, ეხლა გადატრიალება მოხდებაო და პირ-
ველი სიუჟეტი შენი უნდა გავიდესო, პარლამენტში
შევარდება ეს ცხოვრება, ის ბებერი ხრონი კიდევ
გაიქცევა და ამაზე, ეგრევე უნდა იდოს სიუჟეტიო,
შენი იმედი მაქვს და მერე ცალკე უფრო სერიოზუ-
ლად დავილაპარაკოთ ჩემი სიცოცხლეო და ცო-
ლიც მოვიდაო. რო ჩამაფრინდა მაჯაში, არ გაუშ-
ვია, ფუ რა სლიკინაა ეს სირი, თან სუ ძუძუზე მი-
ყურებდაო... სირი ეძახე შენ და ყველაფერი მარ-
თლა ნინასწარ იცის მგონიო. მე ვეუბნები, შემოგ
ხედავს, აბა რა იქნება, თუ ესე გქონდა თავები ამ-
დგარი, ლიფა გაიკეთე-მეთქი... გავარტყი მაგათ რე-
ვილუციას-თქო, მიდი რა, თუ ეგრე ევასები შეჩემა,
ტრაკი გაუქნი და ჩემთვის ხელფასი მოამატები-
ნე-თქო, დეგენერატი ხარო და თან მარტო შენთან
მიდგება ძუძუსთავებიო და წავიდა. ხო იაფერისტა,
მარა მაინც გამისწორდა.

ტონა კასეტები ამოიტანა. ერთი საათი ვიდუ-
ებს ცყრიდი კომპიუტერში. ვზივარ, ვუყურებ ამ პო-
ლიტიკოსებს, ვუყურებ და რა ნაძირლები არიან?!
იქვე, ტელევიზორი მქონდა ჩართული და ეს დედა-
მოტყნულები ერთი თვის წინ სხვა რამეს ლაპარა-
კობენ, ეხლა სხვა რამეს. თენგიზა შემოვიდა, კაი
გავაძრე, მონევო? - მშია-მეთქი, დამავინყდა საჭ-
მლის ფული გამომერთმინა ნინოსთვის. ჰოდა, მო-
ნიე, გავცხსნება და ჩახეთქე მერე, მაგრა შეგერგე-
ბაო. უჭმელზე მოვნიე, ისეთი გამეხსნა, ჩემი გერი
ხო დამავინყდა, ბანკიც აღარ მახსოვდა და არც ის

დაკუნთული კრედიტოფიცირი, დასახიჩრებას რო დაუპირდი. ჭკუაზე არ ვიყავი და ნინოც მოვიდა, ჰამბურგერი და ყავა მოიტანა. დაბოლდ შეჩემა, ხო არ გამოყვლიდო, მითხრა, სამუშაო გვაქვსო. გაყო ოთახიდან ხელი, კუჭუსავით დაანახა ყველას შუათითი და შიგნიდან ჩაკეტა, მნიშვნელოვან სიუჟეტს ვამონტაჟებ და არ შემანუბოთო. მგონი ამა-საც ვუყვარვარ, ნაღდათ ვუყვარვარ. თუ კიდე გაქ, ერთი ნაფაზი დამარტყმინე და დავინყოთ მონტაჟი... თან ვილუკმებით, თან ტელევიზორში მიზი-ზინებს რეგოლუცია, ისეთი ამბები ხდება, - მტერს. მართლა კაი მოსანევი უშოვია, დილას რას მერჩო-და ის ჩემსა, თენგიზა. დაბოლილ-დასირებულე-ბაჩამოგადნდილები ვუყურებთ ტელევიზორს. ბი-ჭო, იმ გამოყვლიებულმა მგონი მართალი მითხრა რეგოლუციაზეო და დამიხასა ნინომ, მე კიდე ჰამ-ბურგერის ხახვი მქონდა გაჩრილი პირში, ძლივს მოვასწარი გადაყლაპვა, დაბოლილზე მაგარი გა-მომშრალი აქ ტუჩები და ენა, კინალამ მივეწვებით ერთმანეთს. ხელების ფათური დავუწყე, დაბოლილ-ზე მაგარია-მეთქი გათავება. ხო არ გაგიჟდი, ვერ მოვასწარდო. ერთი იმის და ამითი დედაც მოე-ტყან, მოდი ჩემთან-თქო. არაო, - თუ არ შენდა, ტან-კით ვერ გააკეთებინებ. ჩანერა სიუჟეტის ხმა. სუ-ორ-ორად მესმის სიტყვები. იმას კიდე, პირი რო აქ გამშრალი, ძლივს ლულულულებს. სასწრაფოდ უნდა დამიმონტაჟო. დავინყეთ მონტაჟი, ტელევიზორ-ში ყველა ერთმანეთს ანებდა - მიდის დაგა-დუგი. ნახე რა ხდებაო, ნამოდგა, მაგიდას დაეყრდნო, ეკ-რანშია შემძვრალი, ტრაკი მომიშვირა. ვერ გავძე-ლი, - აუ დამაცადე, ნახე რა ხდება, უნდა მოვას-წრო, მართლა შედის, შეხედეთ. ეს ვარდები რა არი-მეთქი? ვარდების რეგოლუცია გე შიომო, ანდენი არ უნდა მოგვინაო. რა-მეთქი? ნადი თქვენი ტელე-ვიზორიც - თქვენი რეგოლუციაც, ახალი ცხოვრე-ბაც და ზემოდან თავისუფლებაც-მეთქი და... მო-ვიგდე ხელეგში. დამაცადე, ნახე, შედის უკვეო. შე-დის გაჩენებ ეხლა-მეთქი... უკვე ცივა გოგო, ესე-თი თხელი და წვრილი რატო გაცივა, გაგივრდება-თქო... არაა, ძან მაგარი მოსანევი იყო, - აუ რასა შევბიო და გაყურდა, მერე თავისთვის ჩაიბურდლუ-ნა, მოვა ვინმე... სიუჟეტი უნდა გვეკონდესო... ოლონდ ენელეხა სიტყვები, - შედის ბიჭო შეხედე, შედისო... აბა რაა, შედის-მეთქი... შორიდან მესმის „გადადე-ქი“- გაკვირან... აუუუუ, შევიდა უკვეო,.... აუუუუ, ხოოო-თქო ... გადადექი, შევიდაა... ურტყამენ ერთმანეთს, ერთი შევიდა, მეორე გაიქცა... დამთავ-რდა? ჯერ არა, ეხლააა, ეხლააა, ეხლააა... დავე-ხეთქეთ ორივე პირდაპირ იატაკზე დანყვეტილები, ძლივს ვსუნთქავთ, გონზე ნელ-ნელა მოვდივართ... და უცებ კარზე რახარუხი, ნინოოო, - იძახიან... - შევიდა და სიუჟეტი სად არი, ნინოოო?!!?

სიუჟეტი ერთი საათით გვიან გავიდა, მე დამი-ბარეს და ხვალ დაგელაპრაკებით უფრო სერიოზუ-ლადო, შეფის მოადგილემ: „ბიჭოო, ქვეყანაში ნახე რა ხდება? ახალი ცხოვრება იწყება და შენ რას შეე-ბიო... მონეული იყავიო?“ - ვისი ცოლიც მეზასავა ის მიუბნება. რას ღეტყოდო, - არა-მეთქი. ნინოც მაგრა დატუქავს. ნასკლის წინ შემხვდა, ამ მანიაკს ეტყობა კამერები აქ თავის კაბინეტში, მგონი გვი-

ყურებდაო. რა იცი-მეთქი, თითქმის ყველაფერი მო-მიყვარა, აბა შიგ არა აქ ეხლა? შენობიდან რო გამო-ვედი, იდეა მომივიდა უცებ, კართან დამონტაჟებუ-ლი კამერის წინ სკამი მივიდგი და შუათითი გავუ-შალე. მეც მაგრა შიგ მაქ რა, გამაგდებენ აბა რა იქ-ნება. გამოვედი გამწარებული, ხალხი მირბი-მორ-ბის, დროშებს დააფრიალებენ, მღერიან. რა ყლევ-ბი არიან ეე, ამათ რა უხარიათ... ეტყობა ელოდები-ან რო, მერე რამეებს ჩამოურიგებენ, აბა ტყუილად დარბიან, ტო?... პირველი საათია ღამის, სახლში რითი ნავიდე, ტრანსპორტი არ არი, ყველა რეგო-ლუციაზეა. ტაქსის ფული არ მაქ, ხო არ გადავაგ-დო-მეთქი ვინმე, მარა გადავიფიქრე, აღარ მინდა შარი. მეტროსკენ გავიქციე, სანამ პირველი გახდე-ბა, იქნებ მივასწრო ბოლო მატარებელს... აი, უნდა შევალო კარი და პოლიციამ, - „ვსიო, მორჩა დიკე-ტაო“. კაი ეხლა-მეთქი, რეგოლუციაა, შემოვი-თქო, შოო და, რეგოლუცია როა, იმიტო არ გიშვებო. ძან შორს ვარ ფეხით ნასასვლელო-თქო, ყრუდ მომიკე-ტა კარი. მეტისმეტად ბრტყელი შუბლი ჰქონდა, რამე რო გაეგო. თან ჰალსტუხიც ყლესავით ეკიდა და ყელში უჭერდა, ფუ შენი კარგი მოვტყან-თქო, ჩავიბურდლუე. რააო? - მინის იქიდან დამიძახა, შევაგინებდი მარა, ჩემს ზურგს უკან, გოგონების ჟღერტული გავიგე, იქნებ შევეყვ-თქო. რუსებს გაე-დნენ (რა მნიშვნელობა აქვს, მარა ისე, მაინც), დაა-კაკუნეს, ყელი გამოუწიეს და შეუშვა ამ ახვარმა! მეც მინდა შევეყვ და მომიჯახუნა ამ ნაბიჭვარმა, „შენ მგონი შემაგინეო“ - ორი წუთი ვარახუნე, გა-მოიხედა, გამომღრინა. ნაშები კი კაკანით ჩაქან-დნენ კიბეებზე და ბოლო მატარებლის ჩაქროლე-ბის ხმაც გავიგე. ამოვედი კეთილ-კარგებ-დედის-ოჯახ-მეკვდარცოცხლის გინებით და ნაწევი ფეხით. მგონი მართლა გადაირია ხალხი, რას ელოდებიან? ერთმა ნაძირლებმა გააჯმენინეს მეორე ნაძირლებს, ამათ კიდე მესამე ნაძირლები გააჯმენინებენ და მე სულ ესე სირივით უნდა ვიყო მათხოვრად, თქვენც!!! ისა, ბოდიში, ეს ხალხი... გადაეწყვიტე გავაჩერო მანქანა, - ან გადავაგდებ, ან, სახლში ჩემ ცოლს ექ-ნება ჩაკუჭული სადმე რამე და ჩამომიტანს, მარა ისეთი დროა, საკუთარი ძმის გეშინია, ვინ გაგიჩე-რებს. ერთი გაფიქრება ვიფიქრე, რეგოლუციონე-რებს გავეყვები-მეთქი, ესეც გადავიფიქრე, ბევრი მაქ ნაკითხული და ვიცი რეგოლუციას გაყოლილებს რა მოსდით. მივუყვები ქუჩას, ფეხები ამტკივდა და შემცივდა, ნოემბერის ბოლოა მაინც. ყველას და ყველაფერს ვაგინებ: ჩემ გერს; ბანკს; თავისუფლე-ბას; რეგოლუციას; ნინოს; ჩემ ცოლს; ჩემ თავს, ყლის ჭკუაზე რო დავდივარ; სამშობლოს; პოლიცი-ას; ყოფილ და ახალ მთავრობას; კეთილებს, ბორო-ტებს ვაგინებ, ბოროტებს - კეთილებს; დედაჩემს და მამაჩემს, რო ამ ქვეყნიდან არ ნამიყვანებ თავის დროზე, მოკლდე, ყველას, ვინც ცხოვრებაში ხელს მიშლის. ჩავივლიან დროშანები, ბლავიან, მეც მივა-ყოლებ ბლავილს - გაუმარჯოს - თქვენ მოგიტყა-ანთ...!!! ვუშვებ ადრენალინს და ვერთობი. კვარ-ტლები მოკლზე გადავჭერი, ქუჩაზე უნდა გავიდე და გაჩერებაზე იქაური უბნის ტიპები დგანან, არა-ყი აქეთ ორი ბოთლი - ერთს ცლიან, მეორეს ხსნი-ან. პური, ვაშლი, ძეხვი კი არა, აი, „კალბასი“, დიდი

თეთრი ქონებით, ცოტა რა გადაზღვლილია დანარჩენ ნოთელ მასაში, სასაზე რო გველისება და რო ვერ იცილებ... კიდევ, ორი ცალი მუყავე კიტრი, ეგრევე ცელოფნის პარკზე გაბლილი. ჩახიზრიალეს ისევ დროშინებმა, ძმა - დამიძახეს გაჩერებიდან, შორიდან ვიცნობთ ერთმანეთს. ფუ თქვენი დედას შევეცი, - გავიფიქრე, ოღონდ ღიმილით გავხედე, მოდი ძმა, ახალი ცხოვრება დალოცე, პლასტმასის ერთჯერადში დაუშვეს და აყროლებული თითებით ქონიანი „კალბასის“ ბუტერბროდიც მოამზადეს. დაველევ, გავთბები-მეთქი და მივედი. ჭიქა გაავსეს ბოლომდე, ბევრია-თქო, მიდი კაცო, გვაქ კიდევო. ბუტერბროდიც მომანოდეს და დაილოცე ძმაო, ნახე რა ხდება ქვეყანაში, ის ბებური ახვარი და მაგის ღორები გაიქცნენ და ახალგაზრდა ცოფიანები მოვიდნენ, ორი გზა გვაქ - ან გვეშველება ან დედა მოგვეტყნა, საშუალო არ არსებობსო - თან გიორგობაა, დიდი გოთვერნები არიან, მაინცდამაინც გიორგობას დაამთხვიესო. ჰოდა, გიორგობას გილოცავთ-მეთქი. ჩაიქროლეს ისევ დროშინებმა, ერთი ძაან მოერიალი იყო, გახდა დროშინებს, არ მევასება ეს რევოლუციები და თუ გინდა შემეცითო, ნავედი მე, სახლში მარს არ გადაეყვაროო, ადგა და ნავიდა. მეორემ, ვინც არაყი მომანოდა, შორიდან რო ვიცნობ, შიგა აქ ამ ჩემისასო, რაც ცოლი მოუკვდა, სულ დაყუევდაო. მესამემ, ვინც ბუტერბროდი გამიკეთა, კიდევ კარგად უძლებდა ის ცოლიო. ამასობაში ჩავიცალე ის მთელი ჭიქა, ვუპირე „კალბასს“ და მგონი ის თეთრი ცხიმი სასაზე ამეკრა, ერთი ძლივს მოვიცილე და დაუღეჭავად გადავყლაპე, გემო რო არ გამეგო. ფუ, როგორ ჭამენ მართლა ეს გამოყვლეულები, წამომაზიდა, არ შემატყონ-მეთქი და გავუღიმე, გმადლობთ ძმებო - ვუთხარი, კიდევ დალიეო, არაა, არა-თქო, აღარც დამაძალეს, სად ჰქონდათ უცხოისთვის მისანოდებელი არაყი. მოვცილდი, ხეს ამოვეფარე და რაც პირში მქონდა ხო ამოვაფურთხე და ნარჩენი იქვე მივაგდე დედის-ტრაკის ჩუმი გინებით.

არაყმა თავიმი ქნა და ეგრევე მომათბო, ჯანზე მომიყვანა. სახლამდე დამრჩა ნახევარი კილომეტრი. ეს დროშინები ისევ ბლავიან, მეც კიდევ ჯანია-ნად მივაყოლე ბლავილს ბლავილი - გაუმარჯოოს - თქვენ მოგვტყაიანო...!!!

გვერდით ამომიდგა თეთრი რუსული მანქანა, 07 როა, ახალგაზრდა კაცმა გადმოყო თავი - „პრივეტო“. „პრივეტ“ -მეთქი გავუღიმე ცოტა აცანცარებულმა, მაინც ამიტანა რა ამ რევოლუციის გიომურმა ავარდნამ. „რამ გაგამწარაო“, ცხოვრებამ-თქო. გამიძინა და „გაგაზა“. ერთი კი ვიფიქრე, რაღაც ახვრობას აქვს-მეთქი ადვილი, თან მეტროს გამოცდილება მქონდა და ხმამალა აღარ შევაგინე, მარა გულში თუ არ გამისკდებოდა არ მეგონა, დამცინა ამ შობელძალმა - ვფიქრობ და თან მიზიზინებს ის ერთი ჭიქა ტრუსა ნარაყი ტვინში. აი, სულ ახლო ვარ სახლთან, ვხედავ უკვე. იქვე ჩვეულებრივი ძაღლობა, ბოდიშები, რაა, - პოლიციის განყოფილება, დაგმარულ-წარაზული. ნოთელი ქართული ინგლისური წარწერით „პოლიცია-POLICE“. ეს ის ძაღლობა, ოთხბოდათიანებში, ომის დროს, ვილაც პატარა ბიჭი რო დაიჭირეს, ამ ბიჭის ხუთი ძმა-

კაცი მიუფარდა, ისეთი დამართეს, პოლიციის უფროსი ეხვეწებოდა, ნაყვანეთ თქვენი ძმაკაცი და წამოვდგებით ასფალტიდან, ყვერები დაგვეყინაო. ერთი თვე გარეთ არ გამოდიოდნენ და ფანჯარა ვერ აღებდნენ, - ესლა სულ სხვები იქნებიან ალბათ, უფრო მაგრები. ვინც მიცნობს, ემოციური ტიპი ვარ და ამ „პოლიცია-POLICE“-ს დანახვაზე ყველაფერი გამახსენდა, რაზეც დაბოღმილი ვარ. რა მეტაკა ესლაც ვერ ხვდები, - ამეჭრა რა, გამიგებთ, თქვენც ხო მოგსვლიათ. გავჩერდი, პოლიციისკენ ხელი გავიშვირე და ამოვიხავე, ხმამალა მომივიდა რა, და შევივინე, ორჯერ შევაგინე... ამოვანთხიე რა, მე სირმა და დამშვიდებული ავუყუვეი აღმართს. პატარა აღმართია ჩემ სახლამდე, 200 მეტრი უნდა გავიარო. მოულოდნელად მოდის ის თეთრი 07. ბოდიშო რა, - თავი გამოყო ისევ იმ ბიჭმა, გვეჩქარებოდა, მაგრა გავავიწყდა ქუჩაში რო დაგტოვეთ და აგიყვანოო, - კეთილად მითხრა. არა, აქვე ვცხოვრობ-მეთქი. იმის გვერდით ტიპი ზის, ბოროტი თვალები აქ, - მივხედი, შარში ვარ. უკანა ფანჯარაც ჩანია ვილაცამ, სამხედრო ქურთუკი ეკვია, ჩაეგდე თორე დედას მოგიტყნავთო, ამ რევოლუციაში ერთით ზედმეტი ერთით ნაკლები, - ვინ გაიგებსო. უუჰ, დამიარა ფეხებში, რატო მაგინებთ-თქო - გამიკვირდა ჩემი თავებობა და იმათ როგორ გაუკვირდებოდათ, ხო ხვდებით? მაბრაზე ბულმა მაკაროვი ამოაძრო სამხედრო ქურთუკის უბიდან. მეოთხეც გამოჩნდა, - ეს მეოთხეც ძალიან დიდი აღმოჩნდა, იმხელა იყო, რო გადმოდიოდა მანქანიდან, აღარ დამთავრდა, - იზრდებოდა და იზრდებოდა, მომიახლოვდა, „ნაზად“ ამიტაცა და მანქანის უკანა სავარძელზე აღმოჩნდი ბრაზიან მაკაროვიანსა და „აღარდამთავრდას“ შორის გაქედილი. უცებ ბოროტვალებიანი მოტრიალდა და იარაღის ტარი ჩამარტყა ყვერმაგული, მონითალო მომწვანო ნაპერწკლები გავეყარე, გამაზრიალა თავში. რამე საბუთი ვაქო? ამოვიღე ტელევიზიის პირადობის მონშობა, სადაც ეწერა რო მონტაჟის რეჟისორი ვარ, - უი, შენ პიდარასტი იქნები და ესლა ტრაკში მოტყნავთო. რატო ვართ-თქო პიდარასტი, მივხვდი - სექსუალური უმცირესობის „თავგადადებულ დამცველებს“ შევხვდი. მძღოლის გარდა ყველამ ორი-სამი მითავაზა, სხვათა შორის, ყველაზე მსუბუქად „აღარდამთავრდამ“. ნადი ჩვენ რო ვიცით, იქო, ბოროტმა თბილად უთხრა კეთილ მძღოლს. გარეთ დაქრიაან დროშინები, გავცდით ამ დროშინებს, აღარავინ დაქრის. ბოლო ლამპიონმა ჩამიქროლა. სადაც სიბნელებში გააჩერეს, ეცეკვა სახალხოდ მაინც არ მაკადებენ ხმარებას. გინებ-გინებით გადმომათრია ოთხივემ მაქანიდან, არადა, რო ეთხოვათ, მე თვითონ გადმოვიდოდი, რაღა თქმა უნდა, მაგრამ არა, არ უნდოდათ რო ვეწვდებინე სექსის წინ. ჩემი მოლოდინი არ გამართლდა, „აღარდამთავრდამ“ მანქანის საბარგული ახადა და „დამაბაგაჟნიკა“ - აღარ მინდა აქედან გადმოსვლა. აი, ვინვებოდი და ვინვებოდი ესე ბედნიერად. მანქანა მიდის. რა კაი ბიჭია ეს ჩემი გერი, აღარასოდეს გავუთრაკებ - რა ქანს, დაჭირდა ფუ-ლი; ან იმ კრედიტოფიერს რას ვერჩი, მშვენიერი კაცია, სახლიც რო გამიყიდოს, ქირით გადავალ; ის



ჩემი ნიუსების შეფი ძალიან კარგი ტიპია, ძალიან. გამაგდოს სამსახურიდან, - მართალი იქნება, ოღონდ ამ საბარგულში ვინცე და ვინცე. მანქანა გაჩერდა. ოთხივე კარის გაღება-მიჯახუნების ხმა გავიგე. კაია, სახლში რო აჯახუნებ ხოლმე კარს გაბრაზებულზე? პა, როგორია? აბა, ეხლა ამათ ავინე შე... აღმოვაჩინე, რო არც ერთი უნმანური სიტყვა არ მომდიოდა თავში.

ნელა მოქმედებდნენ: ნელა მოვიდნენ საბარგულთან და ნელა გახსნეს. საკეტს ისეთი ხმა ჰქონდა, ჯერ ტვინი გაიარა რიხინით, მერე გული, სადღაც კუჭსაც ჩაუარა, რა თქმა უნდა, ყვერებში ჩაივლევა და კოჭებთან რო დაცა, მე უკვე საბარგულიდან ამოთრეული ვიყავი, მანქანის წინა მხარეს ვიდექი და „დალნები“ მქონდა მონათებული. ნეტა ქართულად როგორ არის „დალნები“ და „ფარები“, შორი მაშუქები? ნათელში ვიყავი, ოთხი სილუეტი ჩემ წინ ტრიალებდა. „კონტრაქტური“ როგორ არის ქართულად? „ჩხააკი!!!“ გრუსუნით გადაწია ვილაცამ ჩახმახი... ჩახმახი... რანაირი სიტყვაა ჩახმახი...

* * *

- მართლა ესროლეთ, ბიჭო???

სამივემ თავი დახარა.

- კაი, დამაცადეთ.

„...გრუსუნით გადაწია ვილაცამ ჩახმახი, რანაირი სიტყვაა ჩახმახი... კინოებშია ხოლმე, შენელე-ბული კადრი როა, იარაღიანი ხელი რო იწევა დაძაბულობის გასაძლიერებლად. მერე მოსაკლავის თვალები ან ხელები, შარვალზე რო იმშრალეს ოფლს, თუ გოიმური კინოა, შეიძლება გულისცემის ხმა ისმოდეს, მერე „კუროკზე“ თითი...“ „კუროკი“ როგორ არი ქართულად, „კუროკ, კუროკ, კუროკ“- ჩახმახი არა, სასხლეტი... არა ჩახმახი, ამის დედაც მოგტყან, ან ჩახმახი იქნება ან სასხლეტი... პო, ეხლა სად შეიძლება მესროლონ? ანუ მოკვლით მგონი არ მომკლავენ... რაში ჭირდებათ... პაპა, კოჭებში მესროლონ... აურელიანო ბუენდია ვარ ეს დედა მოტყუნ-

ლი... აღმოვაჩინე რო გინება ისევ დავინყე, ვითომ გინებისთვის ვისჯები? არა და, მართლა გინებისთვის ვისჯები და გამეცინა...

- რა აცინებს ამას, შიგ ხო არა აქ?

- გარეკა ამ სირმა... მიდი ფეხებში დაუშვი და გავაჯვათ, არა მაქ ამის ნერვები...

- რა გაცინებს შე ყლოვ?

- ისა... რავი... - მგონი მე მეუბნებიან, ისევ ის ხმაა, მანქანაში პირველად რო შემაგინა, სამხედროქურთუკიანი, - ყლევ ხარ და ტრაკიც, - როგორ მომინდა მეთქვა, მარა...

- ისა კი არა... ესროლე რა შეჩემისა, შენც კაი ქვეშაჯვია ხარ, ამ სირის არ იყოს.

როგორ იყო... რა გაიხსენა, სად იდგა?... კედელთან ჰყო... ფეხები გამიბუჟდა და მუცელში მომიარა, „კალბასი“ ფუჟ, დამიტრიალდა მუცელში ტკივილი... კუჭი ამეშალა მგონი... აუუ, ძალიან მომანვა და გაკუება მომინდა... ოოო, მოგიტყააან-ამოვაცოლე.

- ფუ შენი დედა მოგტყან... მოკალი დროზე თორე ჩაიჯვა ამ შობელძაღლმა! - ან ისა, ის სირი შეფი, აუ რა გაუსწორდებოდა ეხლა ამათ რო დამადულონ გასაგდები რო აღარ ვეყოლები სამსახურიდან... თან სკანდალური სიუჟეტი, თან უმტკივნეულოდ მომიცილებს... და წინწოსაც აღარ მოუტყნავ... „ბადაახ, ბადაახ, ბადაახ!!!“

* * *

- გაკუებისთვის ესროლეთ თქვე ნაბიჭვრებო თქვენა?

- არა... რა გაკუებისთვის?

- აბა, ისე რამ გასროლინათ?

- რა გაკუებისთვის... სირობები უწერია... აფერისტია... გაკუებისთვის რატო ვესროდით, ტოოო??

- ბიჭო რალაც მიზეზი ხო უნდა, რო კაცს ესროლო... სადაღაც ქუჩაში შეიგინა და ადექით, დააბა-გაჟინკეთ და ესროლეთ... გაკუებისთვის მაინც გესროლათ, რალაცით გაგამართლებდით... თან რა

გჭირთ ეს, რახან რეჟისორია ან ხატავს ან წერს ყველა პიდარასტი როგორ არი, თქვე შობელძალელებო, თქვენ რო გკითხობთ კაცმა, ვაჟა ფშაველაც პიდარასტია და შოთა რუსთაველიც ხო, ლექსებს ვინც წერს ყველა ხო?

- ეგ რა შუაშია დავიდიჩ, ჩვენც ვიცით რაღაც... კი რა დავიდიჩ... პოლიციას შეაგინა და... ამ არეულობაში შეილება პოლიციისთვის გინება?

- რა დავიდიჩ, შე ჩემისა, სროლით ხო ნაღდად ესროლეთ?

- ჰოო... სროლით ვესროლეთ... ეგრე იმდენისთვის...

- ხო არ დაჭერით ეე, როგორ არი??

- არა, რა დაეჭერით... არი რა??

- მოიცა ბოლომდე ჩავიდე... მერე უნდა მოგიტყნათ კეთილები... აურელიანო ბუენდია ვინ ჩემი სირია იცით ვინმე?

ყველამ მხრები აიჩეჩა.

„...ეგრევე დავამონტაჟე, აი ეგრევე, ჩახმახი, ჩახმახი კი არადა, სასხლეტი კი არადა... თითი, ნელი მოძრაობა... გავასხმეინებ ამ სირს, ამის დედა მოვტყან, ოლონდ რატო გამასხმეინებს, არ იცის. მეორე ტვინავს, რას შვები, ტოო... ამ სირის გულისთვის გვიხმარენ ტრაკში... თან ტელევიზიაში და რა-ვი... გადავადგოთ და ვსიო, ამ რეჟოლუციაში ვინ დაუნყებს ძეხნას... რაზბორკებს შეტვინან - ამათი სიფათები ცალ-ცალკე, სახეები დაძაბული, მე უკვე ვერ ვხედავ მარა... მარა დაძაბულები იქნებიან... მერე ერთმა, აუ, თქვე სირებო, დაამთავრეთ დროზე... მეორე გადატენვა გავიგე, თუ ატრაკებთ, ბოლომდე ქენით რაა?!?!“

და - ბადაახ, ბადაახ, ბადააახ!!!

ყველაფერი დაზრიალდა... მე კიდე, აი ეგრე, ტერფებიდან შემდიოდა და თავში ამდიოდა ცხელი ზიზნა ტყვია. აი ეგრე, ხარშავდა და წვაფდა გავლისას ყველაფერს, შემწვარი ღვიძლის სუნიც კი მომივიდა - ჩემ ცოლს ვუნჯავდით ხოლმე ფეხმძიმე რო იყო მეორეზე, სისხლში რაღაც ქონდა, გემაგლობინის ნაკლებობა... და ექიმებმა დაუნიშნეს... სისხლი გასდიოდა, ისეთი უნდა ეჭამა და ვერ ჭამდა, გული ერეოდა. მე კიდე ეგრევე ვასკდებოდი, ეჭამდი, თან მაშინ მაგარი შიმშილობის პერიოდი იყო... რეზეზე ვფიქრობ ეს დედამოტყნული. მეონი მართლა სირი ვარ, ეეე... ჰოდა, ეგრევე ამიარა ტყვიამ რა, ცხელმა, და დგაცან, თავის ქალას მიასკდა ქვემოდა... აუუ, მტკივნეულია... გარეკავ. აი, რო დაეჯახა ძვალს, ნკაპან ამოზარა ცოტა და მიეჭყლიტა მიგნიდან გადადულებული ტყვია... მეორეც ეგრევე... ზანზარებს ფეხებთან მიწა... ფეხის თითებიდან ბუილი... მესამედ მომიწადა გაკუება... ისე უნდა მოვახერხო რო ხმა ვერ გაიგონ, იქნებ მესამეთ მესროლონ და ხმას დავამთხვევ, ... აუ, მესროლეთ თორე... გამიმართლა, მესროლეს: „ბადაახ, ბადაახ, ბადაახ“ - და დავამთხვეე... აუ ეხლა ნინჩო რო მხედავდეს. მაგრა დამცინებდა.

- ფუ, კიდე გააკუა მგონი... - იღრიალა, რომელმა, არეცი - დააბაგაჟნიკეთ და გადავადგოთ სადმე“.

- მე თქვენი დედა მოვტყან თქვენი - სამივეს სახეში მიაგინა.

- კი რა, დავიდიჩ, დედას ნუ გვაგინებ რა... რეები უწერია, გიჟია ტოო... რა შემწვარი ღვიძლი... რა გადავადგოთ...

- ხმა ჩაიგდე-თო, შე ყვერო შენა, ვერ ნაიკითხე ხო, რას წერდა? კითხვაც არ იცი ხო, შე ჩლუნგოო...

- ღმუოდა დავიდიჩი გამწარებული - მართლა გასაყრელები ხართ და აი, რო მოვა ახალი მთავრობა, ეგრევე თქვენ საკითხს დაგაყენებ.

- ეეე? - გაიკვირვა სამივემ და ერთმანეთს გადახედეს.

- რა, ეეე?? ჯერ ისევ თქვენი უფროსი ვარ, ეეე?!? რამე ხო არ გეშლებათ, ბიჭო? ვინმეს რო წაეკითხა, ხო მოგვიტყნავდნენ დედის ტრაკს... კიდე კი რა, რო მე მოვედი დროზე... ვინმეს შემთხვევით ხო არ წაუკითხავს?

უარის ნიშნად სამივემ ერთდროულად გაიქნია თავი.

- რავე დავიდიჩ, ერთი კვირაა ამ გამოყლებულელებს რეჟოლუციის გამო არ მიძინია... გუშინ ეტყობა ჩამეძინა და...

- როგორ გააჯმეინეს ტოო... ჩაი როგორ დალია იმ ჩემისამ... რას ურტყამდნენ ერთმანეთს... ისე, ცოტა ხანში მაყუთებს გააიასნებენ და დალაგდება ყველაფერი... ყველას უნდა ჭამა... ბლიადა, ყველას... პროსტა ესენი როდის გაძლებიან ტოო...

- ჰე, ბიჭო ჩაიგდე ხმა... დამაცადე ჩავამთავრო.

„...თავის ქალაზე ტყვიას მიდულება არ აცალეს და ისევ „ბაგაჟნიკი“... კი არა და, საბარგულში აღმოჩნდი... ამ ნჯღრევაში, მიდულებული ტყვია თავის ქალას მოძერა, ჩამოვარდა და ზედ ტვინზე და-გიკა, აუ ისეც რა მტკივნეულია... ბავშვობაში ხო მოცხენებოთ, ცოტა ხანი მომკვდარიყავით და დაგენახათ, როგორ განიცდიან უთქვენობას... მე დაჟე მიტირია... ჰოდა აჰა... ნეტა ვინ იტირებს... ჩემი ცოლი? კი იტირებს... დედაჩემიც... ნინჩოც, რამე რო იყოს... მოადგილის ცოლს მაგრა გაუსწორდება ხო მაინც ეშინია რო გაუზაზრებ და... ეგრევე დავი-ნახე, მთელი ტელევიზია როგორ დალაგდება პანაშვიდზე, ის დედამოტყნული ნიუსების შეფი, თავის „იაზვა“ ცოლით და იმისი მოადგილე თავისი ბოზუკა ცოლით, თავში ჩაუდგებთან ჟურნალისტები ის კოლონას, ჟურნალისტები კიდე, ვითომ ეჩქარებთ, ხელში ტექსტები ეჭირებთ და თან წრეს დაარტყამენ და თან ნიუსების ტექსტებს იდუდლუნებენ... ისე, იმდენი ფული შეგროვდება, ერთი წელი კი გადამიხდიდა ამ კრედიტს და ის დაკუნთული ბანკის ოფიცირიც დაოკდებოდა...“

- ბიჭო, სად არი მართლა... ხო ცოცხალია?

- რავე, ბოლოს იყო და...

- ჩაეთრიე და ამოიყვანე ეხლა... ისა, ერთი წუთი, მოდი აქ... ახლო... ძალიან ჩუმად კითხე აურელიანო ბუენდია ვინ არი... ვინმე ისეთი არ იყოს, დიპლომატიური სირობა არ მოგვივიდეს, ხო იცი რა

დრო... და ეგრევე ჩუმად მითხარი... და ხელი არ დაარტყა, იმდენი პატრონები ყავს და ისეთები, ყვე-რებს დაგვაჭრიათ ქალაქის ცენტრში.

- იმას ტო?

- ჰო, ჰოო... იმას ტო?! - ან ტელევიზორს არ უყურებთ, ან რაღაც... იცი ვინ არი ცოლი? ნინო როა... ფუ, რა გვარია, აი, ის გადაცემა რო მიყავს, ყველას რო აჯმევენებს, ამ სირ პოლიტიკოსებს...

- ვახ შენი... რაღა ამას ვეტაკეთ, ტოო?! - გადა-ხედეს ერთმანეთს.

- აუ, მოგიტყანთ კეთილები... გითხარით ხო, რო თავი დავენებოთო... არა, გაერთით ხო? - აბუზღუნ-და ყველაზე დიდი და წვრილმხიანი.

- გაერთით... გაერთით... ფუ თქვენი - გამო-ჯავრა უფროსმა ოპერს - რა სირები ხართ, თქვენ თუ გგონიათ რამე პასუხისმგებლობას ავიღებ, მო-განმინდავთ ხელებს...

- დავიდიჩ, ჩვენც ხო ყველაფერში გიდგავართ გვერდზე, - ნანყენი და ჩასაფრებული ხმით ამოი-ხველეს ოპერებმა.

- დავიდიჩ კი არა... რა, არა ხართ ღირსები??? დამათავრებინეთ ეხლა - მოლბა დავიდიჩი.

* * *

... ჰოდა, მოვეკვი, მორჩა... ვინც განსაჯე, იმან განგსაჯა, ოო, ეს რა შუაშია, რა სიტყვებით ლაპა-რაკობ... კი არა და, ფიქრობ... ისე, რო იცოდე, მკედრები არც ფიქრობენ და არც ლაპარაკობენ... ნეტა სად გადამაგდეს... 40 დღე სული ტრიალებსო, ტრიალებს არა ის... თორე ხო მეცოდინებოდა სად გადამაგდეს... აუუ, თავში ის ტყეიის „შარიკი“... კი არა და, ბურთულა, როგორ რაკუნობს ევე, სათამა-შოში რო ნაწილი ჩატყდება, რო ვერც ამოგაქ და რო რაკუნობს და გარეგნულად რო არაფერი ეტყობა, მაგრამ რო იცი რო შიგნიდან უკვე გაფუჭდა... მკედა-რიც კია უკვე და წერები გეშლება... აი ეგრე ვარ გაფუჭებული სათამაშოსავით...”

- გამარჯობა.

- გამარჯობა.

ოთახში ვინც შემაცილა, იმის გარდა კიდევ სამ-ნი იყვნენ, სამივე წუხანდელი იყო, პირველმა რომ დამარტყა, ის ვიცანი, ბოროტთვალეზიანი, რომელ-მა მესროლა არც მახსოვდა და ვერც გავისხენებდი ვერსადროს, ალბათ შიშმა იცის. „ალარდამთავრდაც“ აქ იყო და ყველაზე შეშინებული ჩანდა. კეთილი, საჭესთან რომელიც იჯდა, დაბოლმელი მიყურებ-და, მგონი ბოდიში უნდა მოეუხადო. მეოთხე, სამ-ხედროჭურთუკიანი, არ ჩანდა და კიდევ ერთი, მა-გიდასთან, ამათი უფროსია ალბათ. სანდომიანი გა-რეგნობა აქვს უფროსს, აი, ბიძია რომ გყავს კეთი-ლი, - მაშის ძმა ან დედის ძმა და მაშის ან დედის აგ-რესიისგან რომ გიცავს ყოველთვის და მესაიდუმ-ლე რაო, პირველად ის რომ წაგიყვანს ბოზებში, პირველად რო დაგალევენებს და მერე მოგანევი-ნებს კიდევ... და თუ ძალიან კეთილია და ძალიან მესაიდუმლე, შეიძლება უფრო სერიოზული გარ-თობაც კი გინილალოს, გინილალოს კი არა, შეგსვას თოდეც... აი, დედა და მამა რო დაგსჯიან რაიმეს და-შავებისთვის და ის რომ მაინც შენკენ არის, რო

გრყვნის, აი ესეთი კეთილი ბიძის გარეგნობა ჰქონ-და. მისი პროფესიისთვის უცნაური მაღალი შუბ-ლით და ღრმად ჩამჯდარი თვალებით.

- აი, დავიდიჩ, ჯანმრთელია ეს პატივცემული ადამიანი - გაკვირვებით შეეხედე, - რა გაკუება... რა შემწვარი ღვიძლი... რა ტყეიის შარიკი... სალსა-ლამათი ჯანმრთელი...

- აი, ხო ხედავ, შეგძლება გინების გარეშე - მიეხედე ჩემს გიდას, რომელიც, სარდაფის პატარა კამერიდან რომ მოეყავდი, გზადაგზა თბილად მიხ-სნიდა, სად რა იყო პოლიციაში. მიეხვდი, რაღაც სა-ინტერსო ხდებოდა, სავარაუდოდ, ნინწომ ჩართო მძიმე სატელევიზიო არტილერია, თორემ, წუხელ ჩვენებს რომ მანერინებდა, წინ მეჯდა, მაგიდაზე ბანჯგვლიანი ტორები ედო და იმხელა თითები არა-ხუნებდა, თავზემით მცდებოდა. ორჯერ მსუბუქად ნამარტყა, იმისთვის მსუბუქად თორე... მერე ჩაე-ძინა... პერიოდულად ეღვიძებოდა, დამინახავდა, რომ ისევე ვწერ, დედას მაგინებდა, რამდენს წერ შე-ნი შოთა რუსთაველი დედა მოვტყანო, არ ავღებ ხო „რუჩკას“, აკი არ გვესვებით ძაღლებიო.

- ბიჭოო!! - ღრნით ჩაახრშო მაღალშუბლიანმა უფროსმა დავიდიჩმა ქვეშევრდომის ჩემდამი დაუ-ოკებელი აგრესია - გამიგე რაც გითხარი? - მერე მე მომიბრუნდა, - დაბრძანდით... აი, აქ, მაგიდასთან გავისაუბროთ, მოვილაპარაკოთ... შევთხანხმდეთ... ადამიანები ვართ, რა არ ხდება - ოთახში მყოფები დაიბნენ. შიში თუ არა, სიფრთხილე მაინც დავინახე თვალებში.

- რა მითხარით დავიდიჩ, რა უნდა გამეგო?

- ფუ შენი...

- ააა... ისააა?... მოიცა... - უკან გამოიხედა, რომ არავის გაეგო საიდუმლო დავალების პასუხი, გან-საკუთრებით მე დამემალა, - ვილაც კოლუმბიელის ვილაც რაღაცააო... ასიო... ვერ გარგივ კარგად, და შარში არ გავეხვეთ კოლუმბია ის არ არი... აი, კოკა-ინი და ესკობარი და რამე... ხო კოლუმბიაა?

- რააა? აუ... გადი გადი... გადი... - ჩემი წუხან-დელი დარაჯი გავიდა - და აღარ მოხვიდე, სანამ არ დაგიძახებ - იღრიალა დავიდიჩმა.

- ჩვენც? - იკითხეს დანარჩენებმა ფრთხილად.

- თქვენც... არა, ჯერ არა... მაიცა... წუხელ ესე-ნი იყვნენ? - მკითხა დავიდიჩმა, თვალი მისი მაღა-ლი შუბლიკენ გამექცა.

- ესენი და კიდევ ერთი...

- სამხედრო ოპერაცია გქონდათ თქვე შობელ-ძაღლებო? ის სად არი?

- ცოლი მშობიარობს, გთხოვთ რო...

- იმის ცოლი მშობიარობს და ამ პატივცემული კაცის შვილები, რო უმამოდ დარჩენილიყვნენ, მო-სულა?

- რა უმამოდ, შევაშინეთ დავიდიჩ! გვაგინა - ამოლერლა ბოროტთვალეზამ, ამან ჩამიღურჯა ყვრი-მალი.

- პირადად შეგაგინა?

- მთელ პოლიციას, ხელს ეჩვენა ესე... - თქვა „ალარდამთავრდამ“. სასაცილო ხმა ჰქონდა, არც წვრილი - არც ბოხი, აი, გარდატეხის ასაკში რომ გვაქვს ბიჭებს, გამკივან - ხრიანნაიანი ხმა, ისეთი,

ეხლა გამახსენდა, რომ იქ ხმა არ ამოუღია.

- მთელ პოლიციას მთელი ქვეყანა აგინებს და მიდით ყველა დააბაგაჟნიკეთ და მერე დაუკოჭეთ... ისე შენ კი დააბაგაჟნიკებდი... ამ დეგენერატს - მომიბრუნდა დავიდიჩი - ერთი თვის წინ ვილაღე ზაკონიკმა სამი ტყვია ესროლა და სამი საათის მერე იგრძნო, ფილტვმა ჰქონდა სამივე გაჩერებული, ძლივს გადარჩა - შემაცოდა ოპერი. „აღარდამთავრდამ“ დაიმორცხვა.

- ააა, მივხვდი... მერე ჩემზე იყარა ჯვარი ეტყობა... მე კიდევ მეგონა, ისე მესროლა, თავისთვის - გავიღიმე, მასაც უხერხულად გაეღიმა, ოპერს ყბა მოექცა და რაღაც ჩაიბურღლუნა, სავარაუდოდ შემაგინა.

- მე არ მისვრია - ამოიკნავლა „აღარდამთავრდამ“.

- ვაა, რა უცებ გაბოზდი? შენც ხო არ დანერჩენებას? - გაცივანა დავიდიჩს - ეხლა გაეთრიეთ აქედან... თქვენ მერე მოგხედავთ... თუ, რა თქმა უნდა, დაბტოვეს აქ - ყველა თავჩალუნული გავიდა.

- აუ, ერთი წუთით რა... შეიძლება რაღაც ვკითხო? - ვგრძნობდი, ჩემ უკან, მთელი მასმედია იდგა და მოთხოვნების წამოყენება დაიწყო, დავიდიჩს გაოცება დაეტყო, ოდნავი, მაგრამ მაინც გაოცება, თავი დამიქნია თანხმობის ნიშნად. მაღალმა შუბლმა თვალს მომჭრა, ვერ მივხვდი რა მეუცნაურა, მაგრამ ყურადღება არ მიმიქცევია და კარში გაჭედული ოპერებს შევაცქერდი, გამოცნობა მინდოდა, რომელმა მესროლა, ვერ გამოვიცანი - რომელმა მესროლეთ მითხარით რა? - ხმა არ ამოიღო არც ერთმა, დავიდიჩს მივუბრუნდი - ვერაფერზე ვერ შევთანხმდებით თუ არ მეტყვიან - და მივხვდი, რომ კორუფციის ქაობში ვეფლობოდი. გავხალისდი.

- რომელმა ესროლეთ - შეღრინა უფროსმა - საჩივრებ იმ კეთილს შეხედა, თავიდან რომელიც გამომელაპარაკა.

- აი, კაცურად, რატო მესროლეთ? რა მომხვედროდა იმ სიბნელეში, სად მიდიოდი მერე? თუ მართლა ერთით მეტი, ერთით ნაკლები ამ რევოლუციის დროს, ჰა? - სასაცილოდ დავსერიოზულდი.

- რაღი - დაიძაბა კეთილი.

- თუ არ უნდოდა არ მოგხედებოდათ, ერთი თვის წინ პირდაპირ კუროკში გაარტყა ვილაღე პრესტუპნიკს... რაც იცის, იცის... ისე, რამ გაგამწარა ბიჭო?

- ხო, რაღი... მაგრა ვისვრი... შესაძინებლად რა...

- აი, მართლა რამ გაგამწარა - გადავწყვიტე ადამიანობაზე ვემოქმედა, - ან ოჯახი არ გყავს, ან ძმა, ან ძმაცაცი... რა პონტია ტო... რა კაცობაა - მგონი მართლა გავბრაზდი, - შენთვის რო ექნათ ვერე?

- ისე მართლა შენთვის რო ექნათ ვერე? - ამყვა დავიდიჩი.

- აუ, ჩესნად გითხრათ რატო შევაშინე? - არ ველოდი გულწრფელობას.

- რატო?

- რატო და, დილას, ძმაო, - აი ამ რევოლუციის თუ რაღაც სირობის მიტინგზე რო გამაგზავნეთ დავიდიჩი, ამ წვიმაში და სიციფეში ვდგევარ და ამ გამოსირებულ მუსიკოსებს ვუსმენ, მაგათ დასაცავად ვარ რა მისული და უცებ ტოო... სცენიდან ჩემი

სახელი და გვარი მესმის... ერთმა მიცნო... უცნობი მომღერალია, არც გინახათ მაგისი სიმღერა, ტრასა ათამაშებს რა, თავისუფლების პონტში და პირდაპირ სცენიდან სიმღერ-სიმღერით სულ ახვარი პოლიციელი მეძახა... მერე ვიცანი რო ჩემი უბნელია, ცხოვრებაში არ შეიმინუხებია... ბოლოს რას მეუბნება ტოო? მიკრაფონში, ეგრევე ხალხში, სცენაზე რო არ ვიყო, უარესად მოგმართავდიო. კი გავიფიქრე, სცენაზე არ იყო, რას მომმართავდი იმასაც ენახავდი-მეთქი, ყველამ მე დამიწყო ყურება, სუ ფურთხებით გამომაგდეს, მერე მოვეფარე რაღაცას, იქ უნდა ვყოფილიყავი, რო მიბძანეთ, დავიდიჩ... რა მექნა... იმათ დასაცავად ვიყავი და მე გამომაჯგუფეს და მაგინეს...

- და მე რა შუაში ვარ?

- და მართლა ეს რა შუაში იყო შე ჩემისა - გაბრაზდა დავიდიჩი.

- რაღი ტო... თავიდან, ქუჩაში, მომეჩვენა რო ის იყო, - მივამსგავსე... მერე შეგვაგინა პოლიციას... მანქანაში მივხვდი, რო ეს ის არ იყო, მარა... მერე მაინც რო რაღი...

- მორჩა, გადით - ოთხივე თავჩალუნული გალაგდა - კარრი!! - კარიც მოხურეს - მაგრამ ზუსტად ვიცი, რომ არც თქვენ ხართ ანგელოზი - გამიღიმა თბილად - ეს ისე, ხუმრობით, სხვათა შორის, ჩვენც გვეყის ძაღლებს რომ გვეძახიან, მაგრამ რას ვიზამთ... გავისაუბროთ?

- მე ბოდიშის მოხდით დავწერე... თქვენებს ჯერ არ მოუხდით ბოდიში... გავისაუბროთ, გისმენთ - ცოტა გამაკვირვა კულტურული პოლიციელის ირონიამ. ისევ შუბლისკენ გამექცა თვალი და მივხვდი, - არავითარი მაღალი შუბლი, შუბლი ჰქონდა ვინ რო, ოღონდ თმა აეპარსა შუბლიდან ისე, რომ ნორმალურს კი არა, მაღალშუბლიანსაც კი ეტყოდ. ეტყობა ყოველ დილას საგულდაგულოდ იპარსავს, შუბლის სიფირვერე რომ არ შეემჩნეს, მაგრამ ჩემს ცინიკურ მზერას ხომ არაფერი გამოეპარება, მაგალითად, ეს რუხი წვრილი წინწკლებისგან შემდგარი ზოლი შუბლზე. ეს უკვე კაია, ესე იგი, უნდა რომ უკეთესი იყოს, ვიდრე არის და ამისთვის ზრუნავს კიდევ.

- მე უნდა გისმენდეთ, მაგრამ დავიწყებ... ის გავარკვეით, რო ტელევიზიაში უკვე ერთი წელია აღარ მუშაობთ, თუმცა თქვენ ხელმძღვანელობასთან კონფლიქტი მოგვსვლიათ და იმიტომაც წამოსულხართ, ამის გამო საბანკო ვალეზე რომ გქონიათ რთულად, ეგეტ ციკლით... სხვათა შორის, სათვალთვლო კამერებს მართლაც უყურებს თქვენი გამოცემაზე...

- ჩემი შეფი აღარ არის.

- კი ბატონო, შემდეგ ისიც გავარკვეით, რო წინ ჩო თქვენი მუღღლეა, თან ასეთი ცნობილი ჟურნალისტი და არანაირი ნაშა - ბოდიში ამ სიტყვაზე, ჰოოო... კიდევ მთავარი აღმოვაჩინე, გავარკვეით, რომ მწერალი ხართ და ძალიან ცნობილიც კი... ისიც გავარკვეით - აი, დავკითხე ესენი და არც, ბოდიშით ამ სიტყვისთვის და, ჰაერი გაგიფუჭებიათ, მაგრამ მაგრა შეუძინებიათ, ამისთვის მიიღებენ... ის თქვენი მეგობარი, რომელთანაც ვითომ ანაშა მონიეთ, გუშინ საერთოდ არ ყოფილა სამსახურში... კიდევ ის გავიგეთ, რომ თქვენი შეფის მოადგი-

ლე უშიშროების თანამშრომელია... კიდევ მისი მე-
ულეც დავეკითხეთ... ანუ მარტო მე დავეკითხე, არ
იღელვოთ და ძალიან დიდი სიყვარულით მოგიხსენ-
იანთ, როგორც მამაკაცი მამაკაცს, გეუბნებით, რომ
მართლაც კარგი ქალია ფიზიკურად... პირად ცხოვ-
რებაში არ ჩავერევით რა თქმა უნდა... ჰო, გავიგეთ
რომ გერი მართლა გყავთ, თუმცა ჯერ პატარაა და
საკმაოდ წარმატებული ბიჭი ყოფილა და ფულის
მოპარვა კი არა, ამჟამად ევროპაში სამეცნიერო
კონფერენციაზე, მათემატიკოსი ხო? თქვენგან გან-
სხვავებით, იმან დათვლა ეტყობა კარგად იცის...

- რა დათვლა... ვერ მიგვხვდით? - აპარსული შუბ-
ლისკენ მზერა გამექცა, გულის რევის გრძნობამ
ჩამირბინა გულიდან კუჭისკენ, მაგრამ ყურადღება
არ მივაქციე, მომენონა კორუფციობანას თამაში.

- რა დათვლა და... იმედია ყველაფერზე შევთან-
ხმდებით.

- და რაზე უნდა შევთანხმდეთ? - დაღლილი კი
ვიყავი, მაგრამ მაინც ძალიან გავხალისდი, კორუფ-
ციობანას ადრენალინი ცოდნია.

- აი, მაგალითად, არ იტყვი, რომ ჩემებმა მარ-
თლაც გესროლეს.

- მაშინტაყვებო?

- არა კაცო, რა შანტაჟი... ამდენი ტყუილი ჩვე-
ნება რომ მომეცი, ამაზე მეც შემიძლია მუხლი მო-
გიყენო და... არ ჩემს ცხოველებს კი ვერ გაავები-
ნებთ, ეს რა არის... წიგნის ნაკითხვა კი არა... წიგნი
სკოლის მერე არ უნახავთ, ეგეთ რალაცებებს უცებ
იფიწყებს მაგათი ტვინი, ნუ, იმას, რაც თავში უდევთ,
თუ შეიძლება რომ ტვინი დაარქვას... აი, თქვენ რო
გაქვდითილი გაბრტყელებული ტყვია გირაკუნებდათ
თავის ქალაში, ძალიან მინდოდა გაცივება, რომ
ვეითხოვლობდი, მაგრამ ესენი ვერ გამიგებდნენ, ის
კი არა, პანიკაში ჩავარდნენ, ექსპერტიზა ჩავუტა-
როთო... ძალიან მიხარია რომ გაგიცანით, ვწუხვარ
რომ ნაკითხული არ მაქვს არაფერი. ისეთი პროფე-
სიაა, ხანდახან ჩვენების ნაკითხვის თავი არ მაქვს,
თუმცა ამან თავიდანვე გამიტაცა... კიდევ, ესე და-
წერა იმიტო გაბედეთ, რომ იცოდით გიშველიდნენ,
არა? თქვენი მეუღლე, ნინო, გარეთ დგას და გელო-
დებოთ... სულ არ მეგონა, რომ ისეთი მკაცრი ჟურ-
ნალისტი, ასეთი თბილი ადამიანი აღმოჩნდებოდა...
გადაყოლილია თქვენზე, რაც მაგან იწვალა... აქ რაც
წერია, არაფრის არ სჯერა... რა თქმა უნდა, მწერ-
ლის მოგონილი ჰგონია და ეცინებოდა, რომ კითხუ-
ლობდა, თუმცა ხე მხო ვიცი რა არის აქ მართალი
და ტყუილი... ისეთი მომიწყო ამ შუა რეკლამა-
და, ჟურნალისტები მარტო თქვენთვის მოიცლია-
ნო, მითხრა, მაგრამ შევთანხმდით და მე თქვენ გა-
გიშვებთ, ის კი, რამე რომ იყოს, სიტყვას შემანვეს,
რომ კარგა პოლიციელი ვარ... აი ასე... ხომ არ ბრა-
ზობო?

- ავიწყვიათ უჩემოდ ცხოვრება.

- ნუ, არეულ დროს ერთმანეთს დავეხმარეთ,
ასე შევთანხმდეთ.

- კარგით... ძალიან მეძინება, მშია და წავალ რა...

- ანანოოო!!! ყავა შემოიტანე.

ოთახში გაქერავებული, პატარა ტანის გაბუ-
ტულტუჩებიანი და წვეტიანძულებიანი ანანო შე-
მოვიდა. მოტკეცილ ჯინსებში გამოჭედილი კონტა

ტაკოს მოძრაობაში და დიდ, შავ, რალაცინარად, მო-
სულელთ თვალეში დავიდიჩის მიმართ უღრმესი
აღფრთოვანება და ძალღური ერთგულება ეტყო-
ბოდა. და კიდევ, აბსოლუტურად ტრივიალური და
ბანალური პლასტიკურიპერფორაციაგამოვლილი, სხვა
სახეზე დაკოსებული სხვისი პაჭუა ცხვირი, გამიშ-
ვლებული ნესტოებით, აი, დანებებულ ვაგინას რო
ჰგავს, ისეთი. ანანო, ალბათ, იმ სუნამოთი ყარდა,
დავიდიჩს რომ მოსწონს. დავიდიჩსაც ეტყობა, რომ
მოსწონს მისი მორჩილება. ანანოს კი ის მოსწონს,
დავიდიჩს რომ მოსწონს ყველაფერი, რაც თვითონ
მოსწონს, დავიდიჩს რაც მოსწონს - და ასე, ჩაკე-
ტილ წრეზე.

- ცოტა ხანი კიდევ ვისაუბროთ, სულ ნახევარი
საათი დამითმეთ და... ანანოო, გარეთ ახალგაზრდა
სიმპათიური გოგონა დგას, სხვანაირად არ გამი-
გოთ... - მომხედა, გამიღმა - იცნობ გერევე... ცნო-
ბილი ჟურნალისტია, ქალბატონი ნინო, შემოიყვანე
და ყავით გაუმასპინძლდი, ნახევარი საათი გაარ-
თი... დღეს მაინც არავის სცალია ჩვენთვის, ერთი
ნუთით დაეკავალიანებ ხალხ... - სელექტორს თითი
დააჭირა.

- გისმენთ დავიდიჩ - გაისმა სელექტორიდან.

- არ უნდა გადაეჩვიოთ ხო ამ რუსულ მიმარ-
თვას? ბიჭო, სულ რო კვებოდეთ სამორიგეო არა-
ვინ დატოვოს... სამივე ჯგუფი უზნის გარშემო მოძ-
რაობთ - პატრულირებთ... არავის ატერორებთ, გა-
იგეთ? არავის ატერორებთ, იქნებ გადარჩეთ თქვე
გამოსირებ... - გამომხედა - თქვე მფლოვლათებო
თქვენა... - ადვილად იპოვა სიტყვა - მარტო ადმი-
ნისტრაციის და საგამოძიებოს უფროსი დარჩეს...
და ყველა ოპერი გამოიძახეთ, დანარჩენები სახ-
ლში... ნომერ პირველი მზადებაა! გესმით... თუ ჩა-
მოვიდეთ?

- ყველაფერი გასაგებია... ნომერ პირველი მზა-
დება... დავიდიჩ... კი არა და, ისა...

- კაი... მორჩა... - გათიშა სელექტორი, ანანო
ოთახიდან გამკრალიყო.

- რად გინდათ ესეთები სამსახურში?

- გაგეცინებათ და, ამათ რომ წიგნი ნაკითხონ
და დაფიქრდნენ, იმ საქმეს ველარ შეასრულებენ,
რასაც ასრულებენ... ყოველ შემთხვევაში, ამ გარე-
მოში...

- ვხვდები. ისე, წუხანდელის მერე თქვენნაირ
კაცს არ ველოდი ამ ოთახში - დაღლილი რომ არ
ვეყოფილიყავი, კიდევ უფრო ჩავეძიებოდი სიღრმე-
ებში, მაგრამ ძალიან დამეზარა და ისევ კორექტუ-
ლობა ვარჩიე, რალაცის გამო უნდოდა ჩემი გულის
მოგება, თორემ უბრალოდ ამომკრავდა პანდურს
და გამომავდებდა, ან სულაც წინნოს მოიპატიჟებ-
და სასაუბროდ დაიშას ელატეცებოდა, იციან ამათ
მიზნობრივი საუბარი, სად აქვთ ტაქტის და დიპ-
ლომატიის დრო. ან უბრალოდ, დრომ მიმარჯია მეთ-
ქმულების თეორიებს. ისევ დამეზარა ფიქრი.

- გამაღლოთ კომპლიმენტისთვის... ალბათ სწო-
რედ ამიტომაც ვარ ამათი უფროსი.

- სხვათა შორის, მშვენიერი ქართულით ლაპა-
რაკობთ.

- აი, სწორედ მაგაზე მინდოდა მელაპარაკა...

- გისმენთ! - ყურადღებად ვიქეცი.

- თქვენ სულ პირიქით ხართ ჩემგან განსხვავებული; ნორმალურად, გამართულად საუბრობთ, მონესრიგებული... კულტურა, ზრდილობა... თუმცა 30 წელია პოლიციელი ვარ და ესეთი უხამსი, რაც თქვენ დაწერეთ, არ წამიკითხავს, ლიტერატურაზე ხომ საუბარი არ არის... ვერც წარმოვიდგენდი... მე ახალი მწერლების წამიკითხავს... აი, მე უფრო... აი, ვაჟა ფშაველა, ილია ჭავჭავაძე... შეილება საერთოდ ეგრე წერა?... თან ალბათ ამას დაბეჭდავთ ხო, ბევრი წამიკითხავს, ყველა გაიგებს და მერე იმ საინფორმაციოს ხელმძღვანელმა რომ შავი პიარით გადაგხადიოს სამაგიეროდ? ის კი არა, ჩვენ, სხვათა შორის, თქვენი მეგობარი თენგიზას დაკავება შეგვეძლო... კი არა და, ახლაც შეგვიძლია. კიდევ... აი, მაგალითად, არ გააპროტესტებს თქვენი მეუღლე?... თან ძალიან გაბრაზება იცის, როგორც მიხვდით.

- ოოო... კი... გამოსცადეთ უკვე? ისე, ნეტა მაგდენი კითხულობდეს, რომ სკანდალი იყოს შესაძლებელი და მეტი არაფერი მიხდა...

- მე მაგალითად მეუხერხულება ასეთი ენით წერა, ვერაფრით დაგწერ ასე... მით უმეტეს, წამიკითხეთ ვერავის ვურჩევ...

- მართალი ბრძანდებით. იცით, ერთხელ წიგნების მაღაზიაში შევედი და დავინახე, ახალგაზრდა გოგონა როგორ ათვალეირებდა წიგნებს და ჩემს წიგნს მიადგა, გადამოიღო, გადაფურცლა... კრებულის იყო, პირველი მოთხრობის პირველივე წინადადება ბოდიშით და, დედისტრაკის გინებით იწყებოდა... აი, ხო არის ცნობილი დასაწყისები: „- ტომ! პასუხი არ არის - ტომ! პასუხი არ არის...“ - ტომ სოიერი... მარკ ტვენი... ან ისა, მარკესი - „გაივლის წლები და დახვრეტის მოლოდინში კედელთან მდგომი პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია იმ შორეულ სალამოს გაიხსენებს...“ ან კავკას - რა ქვია, კაცო, მეტამორფოზა - „ერთხელ დილით, როცა გრეგორ ზამზამ მფოთიანი სიზმრების შემდეგ გამოიღვიძა, აღმოაჩინა, რომ...“

- ა, ჰო... ტომ... კი არა და, ტომ სოიერი ხო? და ის რა მითხარით, მეორე?

- მეორე? მეორე რა გითხარით... აა... ჰო მარკესი...

- ეგ მოთხრობა?

- გაბრიელ გარსია მერკესი, კოლუმბიელი მწერალია, მარტოობის 100 წელიწადი აქვს რომანი და გმირია აურელიანო ბუენდია - დავიდიჩმა ფურცელზე სცაკრული ხელით სწრაფად დანერა, კისერი წავივრძევე: მარკესი 100 წელი... ურრ... ბეინდ...

- აურ... ბუენდ... აურელიანო ბუენდია ანუ - ვაგრძნობინე უპირატესობა - ჰოდა, მეც მიხდოდა ესეთი ეფექტური დასაწყისი გამომსვლოდა და დავინწყე ესე, ხულოგნობით - და იმ გოგომ, მაღაზიაში, წიგნის თაროსთან, გადაშალა პირველივე გვერდი, ველოდები რო გადაირევა და ეგრევე იყიდის, გულიც კი ამიჩქარდა და იმან კიდევ, წამიკითხა პირველი წინადადება, სახე მოექცა და ფუ, შენი დამწერის ბოდიშით და დედას შევეცოო...

- აჰა... მერე თქვენ? - წარბები გაექცა დანინკლულ შუბლზე.

- მე ჯერ ძირს დავენარცხე და მერე ამიტყდა

სიცილი... გოგომ გამიღიმა, ალბათ ეგონა, რომ გამოსირებული მწერლების ამბავში სოლიდარობა გამოვუცხადე... რა იცოდა, რომ წიგნის ავტორს უყურებდა თვალებში... მიაგდო წიგნი თაროზე და გვიდა, ეტყობა სხვა წიგნის წაკითხვის სურვილიც გაუჭურქე...

- აი, ხო ხედავთ? გინება არასოდეს კარგად არ მთავრდება.

- კიი... იმ გოგოსი არ ვიცი, მარა ჩემი რო ცუდად დამთავრდა, ეგ ვიცი და ეჭვი მაქვს, თქვენი ბიჭებისაც შეიძლება არ დამთავრდეს კარგად...

- აა... ისა, გასაგებია - დაიძაბა დავიდიჩი - ცუდი სიტყვები... ცუდი სიტყვები, ერთხელ ბებიჩემმა ძალიან დამსაჯა ცუდი სიტყვებითვის და მერე ვერიდებო, ნუ, როგორც ეს საქმე მაძლევს საშუალებას.

ამ დროს ანანომ ყავა შემოიტანა, რალაცნაირად გააცურა ლამბაქები მაგიდაზე. მთელი ტანით დანვა და გააცურა, ძალიან მორჩილად და სექსუალურად. ცხელი ყავა მოვხვრიბე.

- ჩემი მდივანია... სხვათა შორის, მან გიცნოთ... და ქალბატონ ნინოს მერე დავუკავშირდით.

- ძალიან სასიამოვნო... გმადლობთ, ანანო... და ისა, ერთი კითხვა მაქ... - მივხედე დავიდიჩს, - აი, რო ვერ ვეცნე და ჩემი ცოლიც რო არ იყოს ტელევიზიაში და ჟურნალისტი და რამე... მაშინ რა მოხდებოდა? ალბათ წამალს დამიდებდნენ ბიჭები არა... ნუ მინიშნუე ჰაშიშს. - დავიდივიჩმა გვარიანი პაუზა გაწელა, ანანოს აპარსული შუბლის ქვემოდან ახედა, რომელსაც მორჩილი ლიმილი ჩემი უმადურობისგან სახეზე შეყინვოდა, ანიშნა რომ გამქრალიყო. ანანო გაქრა.

- ჩათვალეთ, რომ გადარჩით - ვერ მოთოკა ნერვები.

- თუ პირიქით, თქვენ გადარჩით... ამ ჟურნალისტებმა, ამ რევოლუციისას რო მოგაკითხონ და აბტებონ ამბავი ადამიანების უფლების ამბავში არ გეშინიათ? - გავლიზიანდი ცოტა.

- კარგით, ნუ ვიკამათებთ - გაიღიმა. მეც გამეღიმა, ყავა მოვსვი, დავმშვიდდი, მესიამოვნა დავიდიჩის დაძაბულობა. ესლა შევუტევ - გავიფიქრე, მაგრამ ისევე დამეზარა.

- ჰო... ის მიხდოდა გამეგო, მართლა ესე შეილება წერა... მე მეუხერხულება... - გადაიტანა საუბრის თემა.

- რა?

- ეგრე წერა... მე ვერ ვახერხებ.

- რისი წერა, რას ვერ ახერხებთ?

- ნუ წერა - დავიდიჩი კიდევ უფრო დაიძაბა. მე ყურადღება დავიქციე, რალაც საინტერესოს მიმზადება. დავიდიჩმა თვალი გამისწორა. ცოტა მეც დავიძაბე. მიყურა, მიყურა, მივხვდი გადაწყვეტილების მიღება უჭირდა. აპარსულ შუბლზე ოფლის ნიწკლებიც კი გაუჩნდა.

- მოდით, პირდაპირ გეტყვით - ამოხეთქა - ოლონდ... ვაჰ, რა უნდა? „ოლონდ რა“ - მიხდოდა მეკითხა, მაგრამ ციცქნა სადისტმა გაიღვიძა ჩემში და არ ვკითხე. ნეტავ რამდენი ხანი ინვალებს? არ დაეცხმარები. რამდენ ხანს დაიტანჯება, რა უნდა? პირდაპირ ფულს ვერ მოხოვს, თანამდებობის თხოვ-

ნას აზრი არ აქვს, ჰა-ჰა ნინწოს სთხოვოს, კარგად გამოუძიებია და იცის. დაუინებით მომასტერდა და მიგვხვდი, რომ გადწყვეტილება მიიღო. ოფლისგან სველი, აპარსული შუბლი მოიმპრალა, ღრმად ჩაისუნთქა და:

- მოკლედ - თქვა მოწყვეტით, დაიხარა ისე, რომ აღარ ჩანდა, საწერი მაგიდის ქვედა უჯრაში გასაღები ააჩსაუნა, გამოაღო და ამომხედა, ხელს ვერ ვხედავდი, მარტო თავს - ოღონდ დამპირდით, რომ არსად არ იტყვით - და მოულოდნელად დავიდიჩი ქუჩის ბიჭად იქცა, აი, ისეთად, ჩემს უბანში მთელი ცხოვრება, ჩემს გვერდზე რომ იზრდებოდნენ, ზოგთან რომ ვმეგობრობ... რაღას ვმეგობრობ, 16 წლისები რომ იყვნენ, მერე 26, მერე 36, მერე 46 წლისები რომ გახდებიან და სულ თექვსმეტისებად რომ რჩებიან, მარადიულ თავდაცვა-შეტევის პოზაში რომ დგანან, მარადიულად დაძაბულები, მარადიულად რომ კაცური შეცდომის ეშინიათ, სულ რომ თავის სიმართლეს ამტკიცებენ და სულ რა ჩხუბობენ, აი, ისეთ ბიჭად იქცა - კაროჩე, ბრაატ, უნდა შემიფასო გაუბაზრებლად, ღირს თუ არ ღირს რა... - ისე უხერხულ პოზაში ზის, ხელი ქვემოთ, უჯრასთან და მარტო თავი უჩანს მაგიდის ზემოდან, - პროსტა, რამე რო იყოს დაჟე გამოქვეყნებაზე ვარ წამსვლელი, ოღონც სხვა სახელით, ჩემი არა, ტეხავს მაგრამ... 10 წუთი მომე ძმა, ეგრევე დაჩოტკავ რა და როგორ და გაიქაჩება. ოღონც ფაიზალს მე-უბნევი... რამე ზდილობა და ამბები არ გაუშვას... ეგრევე შეგილია მაფასო... მიდი, გულენანათ ქენი და შენი ძმა ვარ ცხოვრებაში... მე ისეთ პონტში ვარ აქ, სურს ამერიკელები დაჯდნენ... - გრძელი პაუზა - ნუ დაჟე რუსები, მე მაინც დაეჭირდები... აჰა, მიდი ძმა - და მაგიდაზე სქელი ალბომი დააგდო - სხვა პონტში, გენდე ძმად და რამე იაღლიში რო მოხდეს, მაგრამ დაგსჯი, აი, ძაან მაგრამ, ჩემი დედა მოვტყან.

ვერაფრით მიგვხვდი, რა უნდა მეთქვა ან გამეკეთებინა. კარადის მუქ მინაში ჩემი პორტრეტის ანარეკლს მოვკარი თვალი, აქამდე ყურადღება არ მიმიქცევია, მაგრამ ახლა ღირდა შესვლიდა: გადიდებული თვალები, ოდნავ ჩამოშვებული ყბა, ლეკვებმა რო იცინა უცნაური ამბის დანახვისას თავის გვერდით გადაწევა და ხშირი სუნთქვა, წინ გადმოვდებული ენით, აი, იმ ლეკვს ვგავდი. აბსოლუტურად მექანიკურად ავიღე ალბომი და მექანიკურადვე გადავფურცლე. ვკითხულობდი და ვერ ვხედავდი, ისე მომწუსხა ამ მეტამორფოზამ - „ერთხელ დილით, როცა გრეგორ ზამზამ...“... ეტყობა თავისი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანის დაცვა დაწყოს. ვაჰ, რა მაგარი, მართლაც გულწრფელად შემეცოდა, ძალიან მინდოდა მეკითხა, რა ოჯახში გაიზარდა, - მამა ხომ არ სცემდა და დედა იცავდა, ან დედა სცემდა და მამა იცავდა. როგორ მინდოდა, მაგრამ კითხვის ფორმა ვერ მოვძებნე, პირდაპირ შეკითხვას კარგად ვერ გაიგებდა.

რა ვქნა, როგორ გამოძევეო ეხლა ამ ამბიდან? - „შენ ტახტო...სულის ასაოხრებლად“, - რა ვუთხრა, რით ვანუგეშო? - „სინაზე შენგან შთენილი“ - რისი იმედი მივცე - წავედი პათეტიკურ ფიქრებში, - „და ისერა სახის ღარები“, - მართლა გულწრფელად, ადამიანურად შემეცოდა, - „ყვეთელი ჯვრები...“

ხელზე დაღვრილი...“.

ნინწო მეუბნება, რბილი ხასიათი გაქვს, დამყოლიო, არ ვუჯერებ და აჰა - ესე გული არასოდეს მომლობია, - „...თაროზე ხობავს... მოდი გაშიშვლდი საყვარელო...“ - ტირილი მინდა, დედას გეფიცებით, - „...ცრემლთა თარეში...ფოთოლზე წვეთად დარჩენა...“ - „...მართლა ტირილი მინდა, - „...სამყაროს მხილებით მე დავიზაფრები...“ - ვერ ვპოულობ სიტყვებს, ჩავსტერებივარ ფურცლებს, - „...ძველი შანდალი... რუხ დალაღებთან...“ - ყველა ლექსის... - „...ძარღვთა წრეწირი... მკერდის გამყინვარება...“ - ყველა სიტყვის ყველა ასო მხატვრული გრეხილით იყო გამოყვანილი, - „...გამაძღე ცქერით... მძინარე მთვარე აირეკლება...“ - „უაზროდ ვათვალისწინებ - „...და მაშინ შენთან მოვცოცდები...“ - ვცდილობ, დრო გავწელო, ამას კი ჰგონია, თვალს ვერ ვწყვეტ, - „...ფოთლების ბნედა...“ - ერთხელ ავხედე და კიდევ უფრო დამეწევა გული, - „...მაგრამ ქუჩები, ვით ობობები... ჭლეტიან ფილტვებში...“ - გადიდებული, მავედრებელი - რა სიტყვა ეს მავედრებელი, - „...ნებივრობ მარტო...შენით ქანაობს... უშენობით გულში დაჭრილი...“ - მოკლედ, მავედრებელი თვალებით შემომცქეროდა, მონყლიანებოდა - რა მაგარია, ე? მავედრებელი მონყლიანებული თვალები, უუხ, გამაჟრიალა ტანში, - „...ნეხარ საწოლში, ჩემი სულის სამეფო... შემკრთალი სახე... ეს გულიც მკერდში...“ - და აპარსულმა შუბლმა გადამარჩინა, დავიდიჩს ავხედე და შუბლის შავი წინწკლები თვალებში დამეჯახა, წამომაზიდა და რეალობაში დამაბრუნა, მოვახერხე რომ არ შემეჩნეოდა - ისევე მოვაცილე მზერა და ჩახედე ასოგრეხილებს.

- გამოვა რამე მეგობარო... ძმაო... ერთადერთი ხარ ვისაც ვნადე, - გავიგე მავედრებელი ჩურჩული, ეს სულ სხვა დავიდიჩი იყო, რბილი და დამყოლი. ყველაფრის ღირსი ვარ. იმის მაგივრად რო მეთქვა, წაიდი შენი დედაც მოვტყან და შენი ლექსებიც, გაიკეთე ტრაქიე ვე შენი ასოგრხილ-სიტყვა-კაზმურები და შენი მავედრებელ-მონყლიანებულები, გირჩევნია შენი საქმე ნესიერად აკეთო... მაგრამ ჩავისვარე, ოღონდაც დროზე წავსულიყავი აქედან და ჩავისვარე. ამის მაგივრად კი ვუთხარი, - იცით რა არის, უკაცრავად, თქვენი სახელი? - ნიკოლოზი - მიპასუხა, ალღევებას ახშობდა, მაგრამ არ გამოსდიოდა - ბატონო ნიკოლოზ, ძალიან გმოცოურია, ასე ვერ ნავიკითხავ, გინდათ გამაძნეოთ? (გიფი არა ვარ ეხლა?) გადავხედე, თუმიც ამ პროზას ვენერ და პოეზიის ექსპერტს მივუტყა, ჩემს მეგობარ გამომცემლებს, ჯერ სჯობს, ერთი-ორი ლექსით დავინყოთ, ეს გამომცემლებიც ხომ იცით, როგორები არიან, ეშინიათ ახალი ავტორის. თან ეს ხელნაწერი და... იქნებ... - მე წამოვდექი იმის ნიშნად, რომ მოლაპარაკება შედგა და უნდა დავიშალოთ.

- აი ნაბეჭდიც მაქვს, - ხელის კანკალით ამოაძრო თაბახის ფურცლების დასტა - ოღონდ ნაბეჭდი არა, აი, გავაკოპირე, ქსეროქსი... კარგად ავაკინძინე, წიგნივით, რომელსაც მეტყვეობ დავაბეჭდინებ, შემოიღა გადავიხადო... ყველა ხომ არ დავაბეჭდინო? ღმერთო მიშველე, მაგრამ რაღა დროსია, ხელ-

ში მეკავა დასტა. ნიკოლოზ დავიდიშვილი მიხვდა ჩემს დილომატიურ მინიშნებას - შენც დასვენება გჭირდება, განერვიულეს ამ დედ... კი არა და, - დაება ენა, მე კარისკენ გავიწიე - ამ ესე იგი... ისა... გიჟებმა, - გაჭირვებით შეარჩია სიტყვა, მე კიდევ უფრო ახლო მივიდი კართან და სახელურს მოვეჭიდე - ისე, ნამდვილი განვრთნილი მგლები არიან, ნუ, ხდება ხანდახან, - წამოგდა გასაცილებლად.

- არა, ყველას დაბეჭდვა არ არის საჭირო, რომელსაც გამოცემლები ამოირჩევენ, მხოლოდ ის დაბეჭდვით, გეტყვით მე - შემეცოდება მბეჭდავი. ნიკოლოზ დავიდიშვილი მოვიდა, კარი თვითონ გააღო და რამდენიმე წამში მომაცილებდა პოლიციის დერეფნების ჯურღმულებიდან ფიციკენ. პატარა ნათელ ოთახში წინმო და ანანო გველოდნენ.

დერეფნებში წომერ პირველ საბრძოლო მზადების ეტაპზე მყოფი პოლიციელები დაიზღაზნებოდნენ, არა, დათრთოდნენ - ეს სიტყვა ჯობს აქ. ნამდვილად დათრთოდნენ და ვინც იცოდა ჩემი ამბავი, პატივისცემანარევი სიძულვილით სავსე მზერით თუ პირიქით, სიძულვილნარევი პატივისცემით შემომცქეროდნენ.

ანანო და წინმო სიგარეტს ეწეოდნენ.

- როგორ ხარ? - მეტაკა წინმო.

- აგერ გაბარებთ უფნებელს და ჯანმრთელს, ქალბატონო წინმო - გაიბადრა ნიკოლოზ დავიდიშვილი.

- ეს არის უფნებელი? აბა მაჩვენე? - ფრთხილად შემეხო ჩალურჯებულ ყვრმალზე, - რა უფნებელი და ჯანმრთელი... ხო არ გაგიჟებულხართ, აქედან მესამედიც რომ მართალი იყოს, პასუხს გავგებინებთ - ააფრიალა ჩემი ჩვენების ასლი წინმო, მერე ტელეფონი ამოაძრო და ფოტო გადამიღო.

- ეე, რას შეგები და მოზე ეე აქ - გავლიზიანდი, ეხლადა შევატყე, რომ ანანო დაძაბული იყო და ნერვიულად, ღრმა ნაფთხებით ეწეოდა სიგარეტს.

- რა რას ვშვებ? შენ მერე დაგვლაპარაკები - შემომღრინა - ამათ რო მივხედავ. - ანანო კიდევ უფრო დაიძაბა და თვალები მოუცრემლიანდა. დავიდიშვილს შავ წინწკლებიან შუბლზე ოფლის წერილმა, მზხინვარე წინწკლებმა დააყარა.

- ისა და... - ამოილულლურა დავიდიშვილი - ჩვენ ყველაფერზე...

- ეხლა ყურადღებით მომისმინეთ ბატონო, როგორ მოგმართოთ?

- დავიდიშვილი... კი არა და... უუუუუ

- ეს რუსული მიმართება მომაცილებთ... სახელი არ გაქვთ?

- მე ბიჭო, წამო რააა, ნერვებს ნუ მიშლი - უკვე სერიოზულად გავბრაზდი.

- მე გიშლი ხო ნერვებს... როგორ მოგმართოთ?

- ნიკოლოზი.

- ჰოდა, ბატონო ნიკოლოზ, ეგ შეთანხმება ჩათვალეთ ჟურნალისტურ ხრიკად, პოლიციურ ხრიკებთან შედარებით, ალბათ, ხვდებით როგორი კეთილშობილია... მე აქედან ფეხს არ მოვიცვლი, სანამ იმათ არ დაესჯი... გამოიყვანეთ სულ ყველა, ისიც, ცოლი რო მშობიარობს... ის თუ ცოლია, მეც ცოლი ვარ და უნდა მიხედეს...

- ისა და...

- არანაირი ისა და... დავიდიშვილი...

- ქალბატონო წინმო - ვედრებით გაუღწიოთ საყვედურით ერთდროულად თქვეს დავიდიშვილი და ანანო.

- გელოდებით... თორე მთელი ჟურნალისტური კორპუსი აქ იქნება, კი იცით რა შემიძლია.

დავიდიშვილმა მხრები აიჩეჩა და შენობაში შევიდა. მერე გამობრუნდა და ლექსების ალბომი ხელიდან ამართვა - აბა თქვენ იცით - ნაწყენი ანანო უკან გაყვა. წინმო თვალი გააყოლა.

- ვიცით, ბატონო ნიკოლოზ, ვიცით.

- წამო რა - მოვეციდე ხელი წასაყვანად, თან მიხარია, თან მეჩქარება წასვლა, პოეტმა პოლიციელს რომ აჯობოს და უკან გამოიტანოს ალბომი?

- შენ კიდევ რამ გამოგაყლევა, რეები დაწერე ეს?

- ოოო, გავერთე რა, აბა რა მექნა?

- რა ხდებოდა იცი ტელევიზიაში - ბასა გაგიჟებული დარბოდა, - ამ კოტეს ცოლს ხო განსაკუთრებული დაკითხვა მოუწყეს... მართლა ეზასავე?

- აუ, ნერვებს ნუ მიშლი და წამო - ძალიან დაღლილი ვიყავი უკვე და ფეხზე მეძინებოდა.

- რა სისულელეს მელაპარაკები, ეხლა შენ გინდა რო ის სირები ეგრე დატოვო და იძახონ ვილაც გამოსირებული მწერალი დავიჭირეთ, ვეკაიფეთ, აი, ის ცნობილი ჟურნალისტი როა, იმის ქმარი, რალაც სირობები წერა... ამ სირობას მერე გამოდებენ სადმე და შენ რა გენაღვლება, შეილება რამე ლიტერატურულ ამბავზე კარგად იმოქმედოს და აბა მე მკითხე, ჟურნალისტი რო ვარ და თან ესე ცნობილი...

- აბა რა ვქნათ, ვირიგოლოთ და სასამართლოებში ვირბინოთ? თან ეხლა? შენთვის რო არავის სცალია?

- გოიმი ხარ რა...

- რატო??

- აუ, მართლა დავიწყებ გარკვევას ეზასავე თუ არა იმას და

რომელშია იდიოტკა ჟურნალისტკამ გახმარინა თავი, თან ჩემი სახელი რო დაარქვი... და საერთოდ, რა ხდება ჩემს თავს.

- გავიჟდი ხო?

- ბიჭო, ყურადღებით მომისმინე, არ ვლადაობ, ამათ ესე უპასუხოვ ვერ დავტოვებ, პოლიციელები არიან, მტერი ენდო ამათ, თან ცნობილები რო არ ვიყოთ, კიდევ შეიძლება, კაცმა არ იცის, რა აქვთ ჩანერილი და რას შეკერავენ, შენ ხო მარტო ქსეროასლი მოგცეს ჩვენების... თან ჩემთვის დანაშაუროს დაფარვა - ერთი, ჟურნალისტური უპასუხისმგებლობა - მეორე... კაცმა არ იცის, ამ დედაფეთქებულ ქვეყანაში ვის რა მოუვა თავში... შეილება ნაბიჯი არ გადაგადგეინონ წინ და არც უკან...

- აბა რა ვქნათ?

- ეხლავე... - წინმო ტელეფონზე ნომერი აკრიფა - ანანო, გენაცვალე, ბატონ ნიკოლოზს დაუძახე... ბატონო ნიკოლოზ გელოდებით... ძალიან კაი...

ხუთ წუთში ანანო ქვემოთ იყო, ოფიციალური, მკაცრი და გულნატკენი.

- წამოგმადნით.

ავედით მეორე სართულზე, ისევ დავიდიშვილის კაბინეტში შევედი. სამნი იჯდნენ, - მეოთხე? - იკითხა წინმო.

- მოვა - გვიპასუხა უხეშად დავიდიჩმა - და საყვედურით გადმოხმება, ცოლის მონა - მითხრა თვალებით და ალბომი დემონსტრაციულად, ჩემს დასანახად ჩაკეტა სეიფში.

დაახლოებით 10 წუთი ვისხედით ასე ჩუმად.

- მოეთრეს რა დროზე - ნამოიკნავლა „ალარ-დამთავრდამ“.

დერეფანში ჩქარი ნაბიჯის ხმა გაისმა. კიბეზე ვილატა ამოიბრინა და კარი გაიღო. ესეც ვიცანი. ამას ცეცა სამხედრო ქურთუკი, პირველი ამან შემაგინა.

- ესეც მეოთხე, ... როგორ არიან? - ჰკითხა ღიმილით ნინოჩო.

- კარგად, რა ვიცი, - დაიბნა შემოსული, ეტყობა ნინოჩო იცნო, უაზროდ გაელიმა, - გიორგი დავარქვი, გიორგიობის ამბავში, ნორმალურად არიან, - მოათვალიერა ოთახი და დამინახა, დაიძაბა - ისა... რა ხდება?

- გუშინდელ თქვენ ვაუჟაცოზაზე მოგიწევთ პასუხის გაცემა, ქალბატონ ნინოს ხომ იცნობ, გუშინდელი თქვენი ოპერაციის ფიგურანტი მისი ქმარია და თან ცნობილი მწერალი...

- მერე?

- მერე ეხლა რაღაცებს გკითხავთ ქალბატონი ნინო, სანამ ტელეკამერები გამოუძახია. გარკვევა უნდა, შენთვის თუ იყო გიორგიობა, მისი ოჯახისთვის არ იყო?

- აუუუჰ - გულწრფელად ამოიოხრა ოთხივემ.

- ისა... გისმენთ?

- კარგით, რახან ბავშვი გაგიჩნდათ და გეჩქარებათ, თქვენგან დავიწყოთ, ანანო, გენაცვალე, - ნინოჩო ჩანთიდან პატარა ვიდეოკამერა ამოიღო, გადასაღებად მოამზადა და ნინოჩოს მიაწოდა - აი, ჩემო კარგო, აქ დააჭირე და გადაიღე ყველაფერი, შევამონებ იცოდე და... ნაიკუზე - უთხრა ოპერს.

- რა?

- ნაიკუზე... აი, მაგიდას ხელებით დაეყრდენი.

- რას შევბი ტო? - გადავირიე.

- შენ ხო გითხარი, მერე მოგხედავ-თქო, თუ არ გსიამოვნებს, გადი, გუშინ გესიამოვნა, ხო, რო გიხმარეს კინალამ და ქმარი რო მომიკლეს კინალამ? გინდა მეორე თვალიც ჩაალურჯებინეთ, მერე ბოდიში მოვუხადოთ და თუ ნებას მოგვცემენ, სახლში წავიდეთ. დამანგრეველი არგუმენტები იყო, გავჩუმდი.

- შეშინება გვინდოდა, მეტი არაფერი - აღმწვთი დნენ ოპერები.

- ჰოდა, მეც შეშინება მინდა, ნაიკუზეთ ეხლა, სანამ მსუბუქ შეშინებას ვჯერდები, - ოპერი მაგიდას ხელებით დაეყრდნო - ჯერ იტყვი შენს სახელს და გვარს, მერე იტყვი რო 2003 წლის 23 ნოემბერს დაატერორე ესა და ეს და ეგრე ოთხივე... აბა ჰე...

მე გავიჯახუნე კარი და გარეთ გავვედი.

შეგნიდან ყრუდ მესმოდა დარტყმის ხმა, ყველას ორ-ორ პანდუსს ურტყამდა. ნამოძახილებიც ორ-ორი იყო, მოგუდული, მაგრამ გულიდან ნამოსული. ყოველი დარტყმის ხმა იმ გასროლებივით მძაბავდა, თვალებს ვხუჭავდი და მთელი ტანი მეკუმშებოდა, იატაკიც კი მიხრიალებდა ფეხებთან.

ნიკოლოზ დავიდიჩის ოთახიდან ერთიმეორეს მიყოლებით გამოდიოდნენ აჭარხლებული და გაბრაზებული ოპერები.

ჯერ კეთილი გამოვარდა, - გიჟია ეს დედა-მოტყნული - დამინახა, შეცბა, - ბოდიში - მომიგდო და გაიქცა.

მერე ახალშობილის მამა გამოვიდა, წელში მოხრილი ვერ სუნთქავდა, ზედ მომადგა, თავი ასწია და ტყვილისგან სუნთქვა შეკრულმა ამოიხავლა:

- მაგ შენ ცოლს ყვერების და ტრაკის გარჩევა ასწავლე.

- იცის, ეგ არაფერია, შვილი ხო გყავს უკვე? - მივაყოლე.

- ნადი თქვენი - დამიტოვა და გაბობლდა.

- ღირსები ვართ რაა - გამოვიდა კნავილით „ალარდამთავრდა“.

მერვე დარტყმის შემდეგ ბოროტვალეებიანი გამოჩნდა კარში, კოჭლობდა, წელს ძლივს მოათრევდა.

- რა გჭირს? - მართლა შეეწუხდი.


- კუდუსუნიი... ამას სახლში როგორ უძლებ შე ჩემისა... - და ეგრევე წვალებით ჩაუყვავა კიბეს.

ბოლოს ნინოჩო გამოვიდა.

- აჰა შენ მოთხრობის ფინალიც!... ნახე - მომანოდა ვიდეოკამერა და კიბეებს ჩაუყვავა.

- სახლში ვნახავ - ნავიბურდლუნე და გავყვები უკან. მცოდნე, მშობი და მეძინებოდა. ჰო, მეღიმე-ბოდა კიდე.

2003 წლის 24 ნოემბრის წვიმიანი საღამო იყო, მთელი მსოფლიო ახალ რევოლუციას ზეპარაკობდა, რომელიც სადღაც კავკასიაში მოხდა.



ნინა სამხარაძე

* * *

დამაგვიანდა.

ვამონებდი ყველა ჯვარედინს,
შენ სულ აღმა ხარ, შენ სულ აღარ ხარ
და გარეთ რგოლებ ჯერ არ გაჩენილ
ტირიფებს ჭრიან.

ირონიას ჩემი ყველა დიდი ჯვარიდან
ყველაზე უფრო შენზე რომ ვჯავრობ
და ამ ქართული ფართო ჭრილის
თვალების მიღმა
შენზე დარდია უფრო დიდი და უფრო
ფართო.

აი რა ხდება:

ორჯერ მოვკვდი, ბევრჯერ ვენამე,
მკერდით ჭრიან ვახუშტს ყურძენს
არ არის რთვობა,
ჯერ იენისია, შენ განმიხილავ არასწორ
ჭრილში

ისევ და შენი ბუხრიდანაც სიცივე ჟონავს.

კიდევ რა ხდება:

სამშობლოა დღეს ჩემი დარდი,
ჩემი თავიც და მესამე ხარ, სული ხარ
წმინდა,

შოშველი ბავშვის თვალებიდან
შომშოლი ყვავის
ჩემი ქვეყანა ან და მარადის! აი აქ მოკვდა.

მე? მე კარგად ვარ! ისევ ვამონებ

ყველა ჯვარედინს,
ისევ გიჟი ვარ ან და მარადის მარად და
მარად,

და როგორც შეშლილს ეკადრება

გეძებ და გკარგავ,

არა ხარ კარგი, შენ სისხლი ხარ,
ჩემ სხეულზე რომ ეკლებად ბარდნის.

მე რა გაჩუქე?! - უკვდავება.

დარჩები ფურცლებს,

რა შეუძლიათ გისახსოვრონ ამაზე

დიდი,

მე პოეტი ვარ! ალქაჯი და რკინის

კაუჭზე

ვდებ ჩემ სიცოცხლეს, სიყვარულს და
ხანდახან სიკვდილს.

ახლა გვაცვია ერთი თბილი ჭადრის
ქალაქი

ჩემი ქუჩა კი ემსგავსება ნაცრისფერ
ნაკრძალს

შენ რომ აპურებ იმ ძაღლებმა შობეს
შვილები

და ყოველ დილა ჩემ ფანჯრებთან
უცდიან მამას.


მე აღარავარ ცოცხალი და

მაინც ჩემი ხარ.

შენ პასუხს არ ცემ

მე პასუხს ვაგებ და ასე ვცხოვრობთ
იმ ქალაქში სადაც ხალხს შია,

მარად და მარად...



მძიმე

მძიმედ მიფრინავს პეპელა.

მე ფრთებზე ვუთვლი ნერტილებს
ლმერთის ხალივით წმინდას და ფერმკრთალს.

ზუსტად ამდენჯერ მინდოდა შეველა

ჩემსავე თავს რომ შევწირე

ჩემივე თავი მსხვერპლად.

კითხვის ნიშანი

საკითხავი არაფერია.

ჩემი სხეული წინ დაგიდე (იქნებ გეპოვე)

და გავაგრძელებ შენ ტანზე ჯვარცმა

მაგრამ ყველა ლმერთი უღმერთოა

რადგან თავის თავს კარგავს და
ხელის გულზე იარებთან მარტო გვტოვებენ.

ნერტილი

მე მოგიყვები როგორ გადავრჩი.

ამიტომ ახლა უნდა გადავრჩე.

* * *

ყველა გადანერვილ პირჯვარს გეფიცები,
ჩემი ლმერთის ხორცი პურის მარცვლებშია -

ახლა ფანჯრის წინ რომ ღრღნიან შოშიები.

ჩემი ლმერთის სისხლი - ყანწის სასმისივით
უბნის ლოთებს ადევნო ტუჩთან მოშიებით.

ხოლო სახარების მე ვარ განმარტება -

ყველა მოუნათლავ ბავშვად შევიცანი,

მიუტევები ხარ ფუჭი აღსარებით

რადგან ყველა ცოდვა ჩემი შენიც არი.

ყველა გადანერვილ პირჯვარს გეფიცები,

ახლა ჩემი წყალი შარის მეძავივით

ნამად ფოთლებზეა, მზეებს ეფიცება,

ახლა ჩემი ხორცი - ცხენის უნაგირი,

მინებს შემოივლის როგორც ბედისწერა.

რადგან ჩემი ძვლები შენი ჭიმკარია,

ყველა ჩემი სუნთქვა შენში შევიკარი,

უპატიები ხარ რადგან დამიჯერე,

რადგან ყველა ცოდვა ჩემი შენიც არი.

ყველა გადანერვილ პირჯვარს გეფიცები,

ჩემი ლმერთის ხორცი პურის მარცვლებშია -


ახლა ფანჯრის წინ რომ ღრღნიან შოშიები..

გადაჭრილ ხეზე ვინც მჯდარა იცის რომ არაფერი არ გვარდება ერთხელ გადაჭრით.. მანამდე თუნდაც გაზომო ასჯერ. ღამით ყველაფერს ორმაგად ამჩნევ სხვენში მორბენალ ვირთხების ტანგოს, წვეთების კაკუნს ფანჯრის მინაზე, და მთავარია არავინ გნახოს ჩაცმული როგორ წეხბარ დივანთან. იესოს ლოცვებს ფსკვნილის ნაცვლად მარგალიტის მძივზე ითვლი და რა საჭიროა ველარ ხედები ამდენი გარჯა. აქ არ დადიან მატარებლები, რელსებზე ძაღლებს სძინავთ ყინვაში უნდა ინატრო რომ დაგიფაროს ყინვამ. ერთხელ გადაჭრილ ხიდან მიათრევს ასჯერ გაზომილ ბუდეს ფრინველი და თითქოს სჯერა რომ მიატანს გაზაფხულამდე. სამყარო მინდა გაუზომავ-უკაცრიელი საკუთარ ლოკვამ ტკივილები რომ დამიამოს. ხის თეთრ რაფაზე შემომიწყო კვერცხები ჩიტმა, და სანამ ჩაი ორთქლად იქცა დამდნარ ქურაზე მეზობლის ბავშვის ტირის თოვსი უმიზნო რისხვამ შემოაწირა დედა ჩიტი დამპალ ლულას და ჩემი ცხოვრებაც თვალებს ზუსტად ისე ლულავდა ჩემი ცხოვრება ზამთრის ერთი დიდი სიმკაცრე ჩემი ცხოვრება ჩემ წინ იწვა და მე ვინვოდი მის წინაშე.


შენ თუ გინახავს როგორ გლოვობს ნასეტყვარს გლეხი, როგორ ელიან სამძიმარზე მკვდრები მნახველებს, შეგეზიზღება ყველა კანონი და ყველა წესი, ის შენი თავიცი, კუთხეში რომ ცრემლებს ახველებს. როგორ უცდიან მებადურებს მხდალი თევზები, როგორ გაისმის ნააბორტალ ბავშვთა არია, მე ვადასტურებ ათ მცენებზე მეტჯერ შეცდენით, რომ ჩემი ყველა აღსარება შემზარავია. შენ არ გინახავს გაქცეული შენიდან ღმერთი, ვით დაგლეჯილი კლავიშები სხვენში როიალს, მაშასადამე ცხოვრებაში იმდენჯერ შეცდი, რომ ვაშლის გარდა ყველა ხილი ცუდი გგონია. ჰო, მე მინახავს როგორ გლოვობს ნასეტყვარს გლეხი, როგორ ელიან სამძიმარზე

მკვდრები მნახველებს, ასე შემზიზღდა კანონი და სულ ყველა წესი, ის ჩემი თავიცი კუთხეში რომ ცრემლებს ახველებს.

ყველას უნდა შეველა. მატარებლის მძღოლს, იმ შავი ძაღლის პატრონს და ხესთან რომ შარდავს იმ კაცსაც... ჩემს სხვენში ბინა ვერთხამ დაიდო ისევ, და შეველა უნდა იმასაც. მე დღეს ჩიტები არ დავაპურე ქარია მეთქი. ქარია მეთქი გესმით? და მერე მე რომ შეველა დამჭირდა და მერე მე რომ მოველა დამჭირდა მე გავუკეთე ჩემს სხეულს ნემსი. შეველა ყველას უნდა ისევ განვიმდა. არნივებს მიაქვთ თავისი წილი ლეში სხვენიდან. მე მკვდარ ჩიტებზე პურის მარცვლებს ვანყო და მტრედებს ვეპატიუები მათ სანაცვლოდ იქნებ დავშვიდე. შეველა ყველას უნდა იმ ქერა ქალსაც აფთიაქის გრძელი რიგიდან, შაქარდაცემულს რომ დამიდა წინ და უსიტყვოდ უსიტყვოდ მომკლა, იმ შავ მამაკაცს გზაჯვარედინზე უნაგირიდან დედის გინებით რომ წავიდა, ყველას გზის მოჭრით. მეც მინდა შეველა, მაგრამ არა, მჭირდება უფრო.. იმ ავტორების ვერ გავიგე მატარებლებს რომ უგდევენ ქალებს, როცა ჩემ სხეულს ყოველ ღამე რელსებზე ვუწყობ იმ იმედით რომ ვინმე მნახავს სიკვდილზე ადრე. ხვალ ჩემს ფანჯრებთან აღარ მოვლენ ალბათ ჩიტები, და მზად ვარ ღმერთო მოვისმინო ეგ აღსარება.



ახლა ძლიერ მინდა აალება,
ანდა გაქვავება ყინულივით
მგელიც ვიყავი და სახარებაც
ავი ეშმაკიც და ქერუბიმაც
რადგან თვეც მე მერგო ნაკიანი
ცივი ნაზამთრალი უალერსო
ასე ვერ დაგვტოვებს ნაკლიანებს
სუნთქვა სიკვდილზეა უარესი.
ასე ვერ დაგვტოვებს უიმედოდ,
ასე ვერ დაგვტოვებს უსახლკაროდ
ასე ვერ დაგვტოვებთ ცას და მიწას
ღმერთიც აღარ დარჩა მოსაკლავი.
ღმერთიც აღარ დარჩა საიმედო
მხეცთან მიგდებული მომთაბარე
წუხელ სიკვდილისთვის გავიმეტე...
ზოგჯერ გზა არ არის აღმართები
ზოგჯერ სახლი ჰქვია ნასახლარებს
და მე ცხოვრებასთან დამარცხებით
სულ სხვა ცხოვრებასაც დავამთავრებ
ღმერთიც კაცია და უიმედო
მხოლოდ ჩვენ გვერჩიან ნაკლიანებს
ახლა ისე ძლიერ დავიღალე
ყელში ამოსული სახარებით
სულ სხვა ცხოვრებასაც დავამთავრებ,
სულ სხვა ცხოვრებასაც დავამთავრებ
სულ სხვა ცხოვრებასაც დავამთავრებ...



ბროწეულები

მე მოვალ
ქვაზე ამოსულ იასავით ჯიუტად მოვალ,
ყოველთვის მოვალ
გვირგვინმოტეხილ ბროწეულივით -
შიგნით ათასად შენ მყავხარ და გარეთ ლამაზად,
ბორდოსტუჩება ღიმილებს და
ხარხარს ვარიგებ.
შენ ვერ გაიგებ
რა ძნელია იყო თავთავი ზამთრის დღეებში,
უნაყოფო და გამოუდევარ ქრიზანთემებში
ისე გმარხავენ
(თვითონ ღმერთსაც კი დაუმაგრეს ჯვარზე ხელები)
ისე გმარხავენ,
რომ ხელები საერთოდ არ გაქვს...
და სამყაროში ყველა დიდი, დიდილი მშენება
სახეს გიფარავს მინით შემოსილ მონატეხებით.
მე მოვალ, ბევრჯერ მოვალ, ამაყად მოვალ,
შენ უნდა მიხვდე რომ ეს მოსვლა ისე რთულია,
როგორც კლოუნის ღიმილი და იესოს როლი
მე თუ შეშლილებს მიმანერნე იყოს სრულიად
ანდა ყველაზე გიჟი მერქვას შეშლილებს შორის.
ქედს ვერ მოვიხრი -
გვირგვინს მოვიტეხ ბროწეულივით,
შიგნით ათასი ტკივილით და გარეთ ლამაზად
ქვაზე ამოსულ იასავით ჯიუტად მოვალ,
სანამ ჭრილობებს სულ ცოტათი მაინც დავფარავ
მოვალ შენს ზურგთან რომ არ შეგრცხვეს
პირისპირ დგომის.

ლამემ დაგვიფაროს ღმერთებისგან,
იმ უიმედო ღმერთებისგან
ყველა სამრეკლოზე რომ გოლოგოთა აქვთ,
გოლოგოთა აქვთ..
და მერე ვილაც სერაფიტას
(ფერისმჭამელებიანი სახით)
გამოგზავნილს ანგელოზად
(ადამიანური მარცხით)
გოლი გააქვს -
კარში სადაც უკვე დიდი ხანია აღარ დგახარ,
კართან სადაც მარხავ მარხვით
სხვების სამარხს.
დილამ დაგვიფაროს ღმერთებისგან,
იმ უიმედო ღმერთებისგან
თითები რომ ნახშირად გვიქცეის,
და ტკივილებიც ბერდებიან
უფრო ავი ხდება სიმშვიდე და
ღმერთმა დაგვიფაროს ღმერთებისგან
ჩვენ რომ აბორტივით ვიყიდეთ.
მკვლელის ნაცრისფერი სახით და
მეტად გადაშლილი ფეხებით,
რწმენა მოშლილი მუცლიდან
უფლის და უუუფლის შენგენა
რთული გახდა...
ღმერთმა დაგვიფაროს, ღმერთებისგან
რწმენადაცლილი ღმერთებისგან,
ტკივილგამოცლილი ღმერთებისგან,
ავი, ცინიკოსი ღმერთებისგან
და მერე იქნებ ავითანოთ ჯვარიც და ჯვარზე სიმარტოვეც...
რომ არ ნახვდეთ.

ყველაფერი ასე იწყება,
რომ წვიმას ყველგან ერთი სუნი აქვს,
ზღვა ზეცაზეა მიჯაჭული როგორც პრომეთე
მეზობლის ძალის საკვებს ისევ
ჩემგან იპარავს.
ღმერთის ცოლივით შუბლშეკრულ დილას,
ჯერ ისევ ვითმენ, თავს და რუტინას
ანწყო ისევ რიგზე არ არის.
ვიცი რა ჰქვიათ არწივის შვილებს
მაგრამ არ ვიცი ჩემი სამარე
თუ არის სადმე.
„ნუ მიეყრდნობით“
მეტროშიც კი იცვლება კარი,
მე არასოდეს არ ჩავსულვარ „გოცირიძეზე“
და მიხარია რომ არა ვარ ფუჭი და მდარე,
რელსებზე მედო ფიტული და ვერ დამინახე,
რადგან არასდროს გიჭამია ბროწეულები
წელში მოხრისას რომ არ სძვრებათ გვირგვინი თავზე.
ისევ რუტინა
უბედური უკაპილარო,
წვიმა არ იცვლის სუნსა და პრინციპს
ისევ ცა უმზერს ზღვასთან იადონს
მეზობლის ძალღმაც ჰპოვა სიმშვიდე.
მე ოქტავიდან ოქტავამდე,
მოკლე ხელივით გადაჭიმული
თეთრ კლავიშებზე თითებს არ ვანყო
თეთრ კლავიშებზე მიდევს სხეული.



უოლეს სტივენსი

ლექსები

ინგლისურიდან თარგმნა მკვლად რატიანმა



უოლეს სტივენსი (1879-1955), პოეტი და ესეისტი, მეოცე საუკუნის ამერიკული მოდერნიზმის ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურა, ცხრა პოეტური კრებულის ავტორი, ბოლინგენისა და პულიტცერის პრემიების ლაურეატი.

უჩუმარი ყოფის შესახებ

პალმა გონების განაპირას, უკანასკნელი
ფიქრის მიღმა, აღიმართება
ბრინჯაოს ძეგლივით.


ოქროსფრთიანი ჩიტი ტოტზე
გალობს ჩვენი გონებისთვის მიუწვდომელ,
გულისთვის უგრძნო, უცხო სიმღერას.

და შენ ხვდები, რომ გონება ის არ არის,
რაც გვახარებს ანდა გვამწუხრებს.
ჩიტი გალობს. ბუმბული ბრწყინავს.

პალმა სამყაროს განაპირას.
ქარი ნელა დასრიალებს მის ტოტებში.
ჩიტის ბუმბული ააღდა და ჩამოიღვენთა.

ქალი უმღერის შინ დაბრუნებულ ჯარისკაცს

რაც კლავს, უსისხლო ჭრილობაა.
არავინ ჰყავს, არც მომვლელი, არც ნათესავი,
ვისზეც ის ზრუნავს. ვინც ზრუნავს მასზე.



მხოლოდ ის კვდება, ვინც არ დაეცა.
ფეხზე კვდება. ვერაფერი გადარჩება
გარდა იმისა,

რაც ყრია თეთრი ღრუბლების ქვემოთ,
ერთად მოხვეტილი, როგორც დავინყება,
მძინარე ჰაერში.

ღრუბლები სოფლის, ქალაქის თავზე,
რომელთაც მგზავრი ესაუბრება
და უჩვენებს თავის ჭრილობებს,

ხალხს კი არაფერს ეუბნება,
თუ არ ჩავთვლით შემთხვევით შემხვედრს,
ვინც, რა თქმა უნდა, სულერთია.

რამდენს ნიშნავს თავად ადგილი
და რა ცოტას ადამიანი,
ვისაც ამინდზე ესაუბრება

უდარდელოდ, სოფლის ბოლოს, მის განაპირას,
რადგან იცის, არაფერს კარგავს -
ირგვლივ ისედაც სიმშვიდეა.

მცირე სიკვდილის ბინადრები

აი, ეს ორნი ქვის კედელთან -
მცირე სიკვდილის ნამცეცები.
ბალახი მწვანეა.

მარამ არსებობს დიდი სიკვდილიც -
დავინყება. უსასრულო
სიმაღლეზე და სიღრმეში, ის
ფარავს ყველაფერს, აბნელებს გონებას.

ესენი კი, მცირე სიკვდილის ბინადრები,
კაცი და ქალი, ორი ფოთოლი,
ტოტს ეკვრიან, ვიდრე ზამთარი
გაყინავს ყველაფერს, ვიდრე გაშავდება.

უსასრულო სიმაღლეზე და სიღრმეში
უგრძნობია მდუმარების იმპერია,
სადაც უკრავს დასასრულის მუნჯ მუსიკას
უსახო სხეული.

ადამიანი თოვლიდან

უნდა ჩაგედგას ზამთრის მზერა,
რათა ხედავდე ფიჭვების დამზრალ,
თოვლით დაზნექილ ტოტებს.

უნდა გციოდეს დიდხანს,
რათა ამჩნევდე მოჭირხლულ ღვიებს,
ნაძვებს, გამოხრულს იანვრის შორი

მზის კაშკაშით; და არ იფიქრო
ტანჯვის ექოზე ქარის ხმაში,
იშვიათი ფოთლების ხმაში,



რომელიც ისმის იმ ქვეყნიდან,
სადაც სწორედ ასეთი ქარი
ასეთივე უდაბურ ველზე

ჩაესმის, ვინც მას თოვლიდან უსმენს
და ვინც, თვითონ არაფერი, არჩევს არაფერს,
რომელიც არის, არაფრისგან, რომელიც არ არის.

კიდევ ერთი მტირალი ქალი

ამოანთხიე უბედურება
შენი ზედმეტად მწარე გულიდან,
რომელსაც გლოვით ვერ დაატკობ.

შხამი მატულობს სიბნელეში.
ცრემლების წყლიდან ამოდიან
მისი შავი ყვავილები.

არსებობის დიდი საბაბი -
წარმოსახვა, ერთადერთი სინამდვილე
ამ გამოგონილ სამყაროში,

მარტო დაგტოვებს
მასთან, ვისთანაც ფანტაზია უძლურია,
და შემოდის შენში სიკვდილი.

შეშლილი მთაზე

ეს არის ყასბის ხელისგული.
მან მოკუმა მუჭი და სისხლი
გამოისხა თითებს შორის
და დაიღვარა იატაკზე.
სხეული დაეცა.


შემდეგ კი, ღამით,
როცა ქარი ისლანდიის
და როცა ქარი ცვილონის
შეხვდნენ ერთმანეთს, მოიყოლეს
ჩემი ტვინი. გაჟონეს აზრებმა.


ზღვის შავი ქარი
და მწვანე ქარი
დატრიალდა ჩემ გარშემო.
ჩემი ტვინის სისხლის წვეთები
ეცემოდა იატაკზე, მე კი მეძინა.

და მაინც იყო ჩემში ვიღაც,
ვისაც შეეძლო, ცაში აჭრილიყო,
ვისაც შეეძლო, ქარებს აწვდენოდა,
შეეძლო, ქარი დაეფლითა
და თამამად ევლო ღრუბლებში.

ქარის ცვლილება

აი, როგორ იცვლება ქარი:
როგორც ფიქრები მოხუცის თავში,
რომელსაც ჯერაც აქვს იმედი,
არავინ იცის, რის.





აი, როგორ იცვლება ქარი:
როგორც ფიქრები ადამიანის,
ვინც უარი თქვა ილუზიებზე
და იგრძნო, როგორ შემოცურდა
მის გულში ოცნება.

აი, როგორ იცვლება ქარი:
როგორც ფიქრებს დიდებაზე
ცვლის კიდეუ უფრო ტკბილი ფიქრი -
შურისძიების.

აი, როგორ იცვლება ქარი:
როგორც ფიქრები დაღლილი კაცის,
ვისთვისაც უკვე სულერთია.

ჯარისკაცის სიკვდილი

სიცოცხლე იკლებს და სიკვდილი სულ უფრო ცხადია,
 როგორც ხდება შემოდგომობით.
 მებრძოლი ეცემა.

ის არ იქნება სამდღიანი გლოვის საგანი,
 არ შეგვანუხებს თავისი წასვლით,
 არ ჭირდება გამცილებლები.

სიკვდილს ძეგლი არ ჭირდება - სრულყოფილია,
 როგორც ხდება შემოდგომობით,
 როცა ქარი უეცრად წყდება.

როცა ქარი უეცრად წყდება, მაგრამ ცაში
 ღრუბლები მაინც მიცურავენ -
 უკვე თავისით.

ნოემბრის მხარე

მძიმეა, ისევე გაიგონო ჩრდილოეთის ქარის ზუზუნი
 და დაინახო გადახრილი კენწეროები.

ირხევიან მძლავრად, ხმამალა, ირხევიან არანაკლები
 მონდომებით, ვიდრე გრძნობები, არანაკლებით, ვიდრე სიტყვები,

და საუბრობენ, გამოთქვამენ საგნების ენით
 წმინდა სიმართლეს, რომელიც ჯერ არ ქცეულა ცოდნად:

სასწაულს, რომელიც ჯერ არ მოვლენილა.
 როგორც ვილაც, ვინც გმობს ღმერთს და დედამიწას

და ყველაფერს ადამიანურს, ჩაფიქრებული რომ ჩამჯდარა
 თავისთავის ფულუროში, თავისივე წარმოსახულ უდაბნოში,

სულ უფრო მძლავრად და ხმამალა ირხევიან კენწეროები,
 სულ უფრო მძლავრად და ხმამალა, მძლავრად და ხმამალა.

ჯუჯა

მოდის სექტემბერი და ქსელი მზადაა.
 ქსელი მზადაა, უნდა ჩაიცვა.

ზამთარია, უნდა გაუძლო.
 ზამთრის ქსელი, ქარი და ქარი.


თუნდაც ფიქრებისთვის წასულ ზაფხულზე.
 თავში ჩალის თოჯინაა, ძონძების თოჯინა.

მოქსოვილია შენი ტვინი, შენი ტვინი აბლაბუდაა,
 ჭეჭა-ქუხილით გაპობილი, მზით ამომწვარი.

სულ ეს ხარ - ჯუჯა, ძაფის გორგალი.
 იქსოვები და იქსოვები, რომ ოდესმე ვინმემ ჩაგიცვას.

არც ნილაბი, არც სამოსი, მაგრამ არსება -
 ნაგლეჯი მკვდარი ზაფხულისა, არეკლილი სუსხის სარკეში.

ჩამომჯდარი ლამფის შუქზე - ლიმნისფერ წრეში
 ყავის ფინჯნით... წვერმოყინული.



იუნ ლი

სრული დუმილი

ინგლისურიდან თარგმნა თინათინ ფალიაშვილმა



ნელინადში რამდენჯერმე, ჩინური დღესასწაულების დროს, მინი იღებდა ელექტრონულ წერილებს კაცისგან, რომელიც სულ ორჯერ ჰყავდა ნანახი. ყოველ 3 ნომბერს, მინის მორიგ დაბადების დღეს (რაც კაცს არასოდეს ავინწყდებოდა) თავის ფოტოსურათს უგზავნიდა და მინსაც სთხოვდა, გაეგზავნა თავისი ფოტო. თურმე, უკანასკნელი თორმეტი წლის განმავლობაში კაცის შვილიშვილების რაოდენობა ოთხჯერ გაზრდილიყო. უფროსს კოლეჯი დაემთავრებინა და კარგ სამსახურში მონყობილიყო ნიუ-იორკში. მომდევნო ორი კოლეჯში სწავლობდა. კიდევ რამდენიმე შვილიშვილი დასავლეთ სანაპიროზე ცხოვრობდა. ყველაზე უმცროსს ბაბუა გარეგნულად იულიუს კეისარს ამსგავსებდა და ამიტომ მეტსახელად ჯეი-სი-ს ეძახდა. კაცს მეუღლე 2012 წელს გარდაცვლიდა, თვითონ კი, შვიძლება ითქვას, ჯანმრთელი იყო, თუ არ ჩავთვლით მოხუცებისთვის დამახასიათებელ დაავადებებს - სისხლის მაღალ წნევას და მესხიერების დაქვეითებას. მის წერილებში საუბარი იყო სხვა ამბებზეც: რომ ერთი კვირა ისვენებდა პავაის კუნძულებზე; რომ ფერმერთა ორი ახალი ბაზარი პროდუქტებს აწვდიდა დაწყებით სკოლას, შაბათ-კვირას კი მოცვით ვაჭრობდა; რომ მისი საყვარელი რესტორანი მაღალი საიჯარო გადასახადის გამო დაიხურა. ნებისმიერი სხვა ქალი დიდი ხნის წინ

გაუგზავნიდა კაცს წერილს, სადაც მკაცრად მოსთხოვდა, ელექტრონულ წერილებს ნულარ გამოგზავნიო; და თუკი კაცი გაჯიუტდებოდა, დაბლოკავდა მას.

„გასულ კვირას ოთხმოცდაოთხი წლისა გავხდი“, - ასე იწყებოდა ბოლო წერილი. - „მაიმუნის წელს დაიბადე. გიგზავნი საოჯახო ფოტოსურათს, რომელიც ჩემს დაბადების დღეს გადავიღეთ. შენ კი, თუ კარგად მახსოვს, ვირთხის წელიწადს დაიბადე, ესე იგი, ორმოცდაოთხი წლისა ხარ. იქნებ, ფოტოსურათი გამომიგზავნო? მაინტერესებს, როგორ გამოიყურები ახლა“.

ლამის სამი საათი იყო, როდესაც სიეტლის გარეუბანში მცხოვრებმა კაცმა მოხუცებულთა თავშესაფრიდან (მისი უფროსი ვაჟიშვილის სახლიდან ხუთი წუთის სავალზე) წერილი გაუგზავნა მინს, რომელიც სან-ფრანცისკოს სამხრეთ ნაწილში ცხოვრობდა. ქალს ქრონიკული უძილობა აწუხებდა და ტელეფონით გამოგზავნილმა წერილმა კიდევ უფრო დაუფრთხო ძილი. დააპირა, მიენერა კაცისთვის, გეყოთ, თავი ნუ მომაბეზრეთ, როგორ არ გრცხვენიათ.

მაგრამ მეორე დილას, როდესაც მინს ტყუპები სკოლაში მიჰყავდა, უხაროდა, რომ კაცს არაფერი უპასუხა. შესაძლოა, სიკვდილამდე ბევრი დრო აღარ დარჩა, ფიქრობდა. მოუთმენლად ელოდა იმ დღეს, როდესაც კაცი წერილების წერას შეწყვეტდა.

- დედა, უთხარი ემის, რომ ცდება! - თქვა დინამ.
- დედა, უთხარი დინას, რომ ცდება!...

ნინა დღეს გოგონებმა უთხრეს მისს, რომ სკოლის ბაღში, საქთმეში, ორი წინილა გამოიჩეკა. მათ „ფუნთუშა“ და „ღვეზელი“ დაარქვეს. ემიმ თქვა, რომ მალე შეძლებდა წინილების გარჩევას ერთმანეთისგან, დინამ კი სამართლიანად შენიშნა, რომ წინილა, რომელსაც ემი „ფუნთუშას“ ეძახდა, შეიძლება „ღვეზელი“ ყოფილიყო. მინმა აუხსნა ბავშვებს, რომ ორივენი მართალს ამბობდნენ და ბოლოში დაამატა - „გარკვეულწილად“, - სიტყვა, რომელსაც ხშირად იყენებდა, როდესაც გოგონები კამათობდნენ. ბავშვებმა შეთანხმებულებივით, ერთად გააკრიტიკეს დედის ნათქვამი.

- თემა ხომ არ შევცვალეთ? - შესთავაზა მინმა.
- ანელაიმ თქვა, ადრე წინაკიანი პატარა ბალონი საქმაში მეგონაო, - თქვა დინამ.
- ანელის კიდევ ერთი სახელი ჰქვია და ის პასტის სახელწოდებაა. - თქვა ემიმ.
- არა, ყველის სახელწოდებაა. - დაიჟინა დინამ.
- შეიძლება ორივე იყოს, - თქვა მინმა. - გარკვეულწილად, - გაიფიქრა მან, ეს სახელწოდება შეიძლება ყველსაც ერქვას და პასტასაც.
- კევის რესპუბლიკელები მოსწონს. - თქვა ემიმ.

ჩაფიქრებულ მისს, როგორც ჩანს, გოგონების საუბრიდან რაღაც გამორჩა.

- საიდან იცით?
- ტრამპს წერილი მისწერა, - დასძინა ემი.
- მისწერა: „ძვირფასო მისტერ ტრამპ, თქვენი მხარდამჭერი ვარ. გათხოვთ, ისე მოიტყვეთ, რომ ადამიანებმა კიდევ უფრო შეგიყვარონ?“ - თქვა დინამ. - დანარჩენებმა ჰილარის მისწერეს.

მინმა უკანა ხედის სარკეში ტყუპებს თვალი შეაღწა. მათ თავი დაუქნიეს. თურმე ნინა დღეს, იმ ღონისძიების დროს, რომელსაც „არჩევნების შედეგთა გააზრება“ ერქვა, მესამე კლასის ყველა მოსწავლემ მისწერა წერილი მისის ქლინტონს ან მისტერ ტრამპს. ავტომანქანების სასკოლო სადგომზე მინმა კევის დედა, სანდრა შენიშნა. ტირიდა. იცი თუ არა, რომ კევინმა ტრამპს წერილი მისწერაო, ჰკითხა მისს სანდრამ. მინმა აღიარა, ვიციო.

- მასწავლებელს ვთხოვე, რომ ეს წერილი მონიტორიდან წაეშალა. - თქვა სანდრამ. - თავდაპირველად ჩემი აზრი უნდა შეეცყოთ. კევის ხომ წარმოდგენა არა აქვს, რას ნიშნავს იყო რესპუბლიკური პარტიის მხარდამჭერი.

- საჩუქრეულო აქ არაფერია, - დაუყვავა მეგობარს მინმა.

- ახლა მოსწავლეები ამ ამბავს მშობლებს ჩაუკაკლავენ. შეიძლება, უკვე ყველამ იცის, როგორ მოიქცა კევინი. - ამოიხსრა სანდრამ.

შემდეგ კი, როდესაც შორიახლოს მშობლებს ჯგუფი დალანდა, შესთავაზა:

- წამო, ყავა დავლიოთ.

სანდრა და მინი ბოლო ორი წლის განმავლობაში მშობელთა სასკოლო კომიტეტში თანამშრომლობდნენ, მანამდე კი - ტილეთთან ბრძოლის ჯგუფის წევრები იყვნენ. მისს მოსწონდა სანდრა, რომელსაც შეეძლო სუპერმარკეტში თუნდაც თხუთმეტწუთიანი უმნიშვნელო შეხვედრის შესახებ საინტერესოდ მოეყოლა, მისს კი უყვარდა ამგვარი ამბების მოსმენა.

მისს სანდრა აგონებდა დედამისს, რომელიც ნადრევად დაქვრივების შემდეგაც კი გამოდგებით ჰყვებოდა საინტერესო ისტორიებს, სხვებს აცინებდა და თვითონაც იცინოდა.

დედის ეს უნარი მისს არ გამოჰყოლია. როდესაც ტყუპები საბავშვო ბაღში დადიოდნენ, მასწავლებელი საყვედურობდა მისს. ეუბნებოდა ხოლმე - „თქვენი შვილები კარგად კითხულობენ, მაგრამ ამ ქვეყანაში არსებობს ტრადიცია, რომ უფროსებმა უნდა უკუითხონ ჩვეს ბავშვებს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მათ დამოუკიდებლად კითხვა შეუძლიათ. ეს მათთან ურთიერთობის განმტკიცებში გვეხმარება“.

სიტყვებს „ამ ქვეყანაში“ კალიფორნიის კარგ სკოლაში არავინ იტყოდა. ამიტომ მინმა გადაწყვიტა, თავისებურად მოქცეულიყო. როდესაც გოგონები დამოუკიდებლად კითხულობდნენ, თითოეულ გვერდს უფრო ცოცხლად აღიქვამდნენ, ვიდრე მაშინ, როდესაც წიგნს მინი უკითხავდა. თუკი მასწავლებელი კვლავ დაარბიებდა ჭკუას, მისს შეეძლო ეთქვა, რომ სურდა, ბავშვებში კრეატიულობა განეხილათ. „კრეატიულობა“ უნივერსალური პაროლი იყო.

ახლა სანდრა ყავას სვამდა და არჩევნების ღამეს იხსენებდა.

- მანამდე ავფორიაქდი, სანამ ხმების დათვლას დაიწყებდნენ. მეორე სართულზე ავედი და კევის სადღესასწაულო კოსტიუმის გადაკეთება დავიწყებარ მომწონდა. ჰიკაუს ცალი ყური მოღრეცილი ჰქონდა. კევინმა მითხრა, დედა, კოლონი ხომ უკვე გავიდაო, მე კი ვუპასუხე, რომ კოსტიუმის გადაკეთება მინდოდა, რომ მერე ვინმესთვის გვეჩუქებინა. რაც უფრო მეტად ვცდილობდი, მით უფრო არ მემორჩილებოდა ხელები. შემდეგ ჩაკი შემოვიდა. ყვიროდა, ტრამპი იმარჯვებს, ტრამპი იმარჯვებს, ტელევიზორი რატომ არ უყურებთო... კევინი ძირს ჩავიდა, ჩაკი კი განაგრძობდა:

- ხომ ვამბობდი, გაიმარჯვებს-მეთქი, ხომ ვამბობდი? რატომ არ გავჯერად?

ვიცოდი, რომ თუ არ გავცელებოდი, მთელი ღამის განმავლობაში ასე იყვირებდა. ამიტომ ძირს ჩავედი და კევის ვუთხარი, დაიძინე-მეთქი. მან მიპასუხა, ჯერ ადრეაო. მამამისთან ერთად ტელეგადაცემების ყურება უნდოდა. ჩაკმა მითხრა:

- არაფერი დაშავდება, ჩემთან ერთად რომ იზეიმოს.

მინის სახლში არავის უყვირია. ის არც ქმართან-რიჩთან ერთად მსჯელობდა არჩევნების შესახებ; არცერთი მათგანი არ ფორიაქობდა. მისს არასოდეს უთქვამს სანდრასთვის, რომ რიჩი ტრამპის მომხრე იყო.

ჩაკი სარეცხი საშუალებების მწარმოებელი კომპანიის მუშაობს იყო. ამ საქმიანობას მისი ოჯახის მესამე თაობა უძღვებოდა უკვე, მეკინის ლარი რაიონში გაზრდილი რიჩი კი, რომელმაც დიდი ხნის წინ შეიცვალა სახელი, ტექნოლოგიური პროდუქციის მწარმოებელ კომპანიაში მუშაობდა.

უნდა ეთქვა თუ არა მისს სანდრასთვის, რომ მათი ქმრები ქვეყნის მოსახლეობის იმ ოც პროცენტში შედიოდნენ, რომელთაც ხმა ტრამპს მისცეს?

სანდრას თქმით, მან ჩაკს პირდაპირ უთხრა, ფანატიკოსი ხარო. ჩაკსაც შეურაცხმყოფელი სიტყვებით მიუმართავს ცოლისთვის. მისს კი რიჩი არ გაუღანძლავს. რიჩი სწორედ იმიტომ დაქორწინდა მინ-



ზე, რომ ის თავშეკავებული ქალი იყო. მათ მხოლოდ ერთხელ ისაუბრეს არჩევნების შესახებ. ჩვეულებრივ კი, ბავშვთა ჯანმრთელობის, პროდუქტებისა და დასვენების შესახებ ლაპარაკობდნენ. რიჩმა ტრამპს ხოტბა-დიდება შესახა, ხოლო როდესაც მინმა უთხრა, ხმა ქლინთონს უნდა მიეცეო, რიჩმა ცოლს უთხრა, „უტყინო ქალი“ ხარო, „თმაგრძელი და ჭკუაშიკლე“ -ო. ის ანდაზა გაიხსენა, რომელსაც მამამისი იმეორებდა ხოლმე, უფრო ადრე კი - ბაბუა.

- განა არასოდეს გინატრია ვინმეს სიკვდილი ისე ძლიერ, რომ ამ სურვილის გამო კინალამ მართლა მომკვდარიყო ეს პიროვნება? - ჰკითხა ახლა მინმა.

- ეს გრძნობა ბევრს განუცდია.

- ოჰ... - თქვა მინმა. რა თქმა უნდა, ტრამპზე არ ფიქრობდა.

- ვის გულისხმობ? იმედი მაქვს, რიჩის სიკვდილს არ ნატრობ.

- სულაც არა.

- მაშინ ვის?

მინმა იცრუა, რომ კითხულობდა რომანს, რომლის უარყოფითი პერსონაჟი, ლამის იყო, მოეზრჩო. საკმაოდ ტლანქი სიცრუე იყო, რასაც სანდრა მიუხედავად, საკუთარ პრობლემებზე ნაკლებად რომ ფიქრობდა.

არცერთმა სხვა ბავშვმა არ მოიწონა კეინის საქციელი. მინმა გააფრთხილა ტყუებები, რომ არავისთვის ეთქვათ, მამაჩვენი ტრამპს უჭერს მხარსო. გოგონებმა უპასუხეს, რომ ამგვარი სისულელის ჩადენას ნამდვილად არ აპირებდნენ.

კაცმა, რომელიც მინს წერილებს უგზავნიდა, ერთგვარად, ბიძგი მისცა მის გათხოვებას რიჩზე, მაგრამ ყოველთვის, როდესაც მინი ამაზე ფიქრობდა, თავის თავს ახსენებდა რომ რიჩზე იძულებით არ გათხოვილა.

ცხრამეტი წლისა იყო, როდესაც პირველად შეხვდა ამ კაცს, რომელზეც უთხრეს, შენი პოტენციური მამამთილიაო. ის ლინგვისტიკის პროფესორი იყო პეკინის უნივერსიტეტში და სამი ვაჟი ჰყავდა, რომლებიც ამერიკაში ცხოვრობდნენ. უფროსი ვაჟი, მაჭანკლის თქმით, მაიკროსოფტის კომპანიაში მუშაობდა. ოჯახის სურვილით, მას მინი უნდა შეერთო, მაგრამ თუ ერთმანეთი არ მოეწონებოდათ, მინს შეეძლო გათხოვილიყო მის რომელიმე ძმაზე.

მინი აკადემიური კარიერის გაკეთებას არ აპირებდა. პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი დაამთავრა, სადაც მდივნებს ამზადებდნენ, შემდეგ კი უნივერსალურ მალაზიაში მუშაობდა. რატომ ეძებს ეს ოჯახი სარძლოს ჩინეთში, როდესაც ამერიკაში უამრავი გოგონაა? - ეკითხებოდა ის დედამისს. ალბათ შენნაირი კარგი გოგონები ამერიკაში არ არიანო, პასუხობდა დედა. მინი ხედავდა, რომ დედამისს ხიბლავდა ამერიკაში შვილის გათხოვების პერსპექტივა.

მინი მეორე კლასში იყო, როცა ფოლადსადნობ ქარხანაში მომხდარი უბედური შემთხვევის გამო მამა დაეღუპა, ის აქ თვრამეტი წლიდან მუშაობდა. ამის შემდეგ მინის და დედამისს ძლიერ გაჰქონდათ. მათი შემოსავალი მხოლოდ ის ფული იყო, რომელსაც მინის დედა გაზეთების კიოსკში მუშაობით მოულობდა. ის თანხა, რომელიც ქარხნის დირექციამ თანამშრომლის დაღუპვის გამო მისცა ოჯახს, დედამ მინის გასამზიხთვად გადაიხაზა.

სკოლაში სწავლისას მინს ერთი ბიჭი მოსწონდა, მაგრამ მასთან ჰაემანი არ ჰქონია. ლამაზი იყო - მინის დინასტიის დროინდელ სურათებზე დახატულ გოგონებს ან ისტორიული ფილმის პერსონაჟს წაავადდა. ნაზი მხრები ჰქონდა, მაღალი ყელი, კრილა სახის კანი და დაწყობილი ნაკვეთები.

ადრე მინი ფიქრობდა, რომ კარგი შვილი იყო და ოდესმე კარგი რძალი, დედა და ცოლი იქნებოდა. ახლა კი აღმოჩნდა, რომ არც კარგი შვილი იყო, არც - კარგი რძალი, დედა ან ცოლი, მაგრამ ამის მიზეზს ვერ ხვდებოდა. მისგან განსხვავებით, ტყულების თანაკლასელთა დედებს ცხოვრებით უკმაყოფილების რეალური მიზეზები ჰქონდათ: ქმრის ლალატი, ბავშვის ავადმყოფობა, სკოლის კომიტეტში ხელისუფლების შეცვლა.

შესაძლოა, ისინი ყველანი უზარმაზარ თოჯინების სახლებში ცხოვრობდნენ. ზოგიერთს, ისევე, როგორც ემის და დინას თოჯინებს, მძიმე ცხოვრება ჰქონდათ გადატანილი, უამრავი სიუჟეტით, დრამითა და მღელვარებით; სხვები იმ ერთადერთ თოჯინას ჰგავდნენ, რომლებიც მინს ჰქონდა ბავშვობაში - პლასტმასის პატარა ფიგურა, რომლის გაფშეკილი ხელები და ფეხები ტანთან მრგვალი ბუდეებით იყო შეერთებული. მინი სულ თან დაატარებდა თოჯინას, მაგრამ არასოდეს იგონებდა მასზე რაიმე ისტორიებს. ერთადერთი კატასტროფა, რომელიც თოჯინას შეემთხვა, ზამთრის იმ ღამეს მოხდა, როცა მინმა თოჯინა ფანჯრის რაფაზე დატოვა. მოულოდნელად ელექტრობა გაითიშა და ბინაში ტემპერატურა დაეცა, თოჯინას კი ცალი ფეხი მოძვრა და ველარ მიაბეს. ვერც მინი და ვერც მისი მშობლები ვერაფრით მიხვდნენ, რა შეიძლება ყოფილიყო ამის მიზეზი.

ახლა მინს ცალფეხა თოჯინა ჰყავდა, მაგრამ ამის გამო არ დანაღვლიანებულა. ბოლოს და ბოლოს, ეს ხომ თოჯინა იყო და თანაც, მინი მგრძნობიარე ბავშვი არ ყოფილა.


მინი დაეთანხმა დედას, რომ პროფესორთან შეხვედრით არაფერი დაშავდებოდა. ცხრამეტი წლის ასაკში ის ზუსტად ისეთი ქალიშვილი იყო, როგორსაც ნებისმიერი მშობელი ინატრებდა სარძლოდ - ლამაზი, სათნო, გონიერი. მეოცნებე და მიაშიტი არ გახლდათ, და არც გულჩათხრობილი გამხდარა - მამის სიკვდილის შემდეგაც კი.


მინი სამამამთილოს დედასთან ერთად მაჭანკლის ბინაში შეხვდა. ჩაის დალევის შემდეგ მაჭანკალმა მინის დედას შესთავაზა, მახლობელ პარკში გავისეირნოთო. კაცთან მარტო დარჩენილმა მინმა არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, რომ მისი მონონება დაემსახურებინა. კაცი ისეთ პროფესორებს ჰგავდა, კინოში რომ აჩვენებდნენ. წვრილწარჩოიანი სათვალე ეკეთა, ჭალარა თმა უკან ჰქონდა გადავარცხნილი. როდესაც რაიმეს ეკითხებოდა მინს, იმ ტერმინებს ხმარობდა, რომლებიც მინს მამის პირიდან არასოდეს გაუგონია. რას ფიქრობთ სამყაროს შესახებ? რა აკეთებთ საკუთარი პოტენციალის ასამაღლებლად? გოგონა დაიბნა - არ იცოდა, რა უკასხუბა, კაცმა თქვა, რომ განათლების და თვითრეგულაციის პროცესი ისეთივე რთული იყო, როგორც მდინარეში დინების საწინააღმდეგო მიმართულებით ცურვა, მაგრამ „ცდა ბედის მონახვერეაო“, დაასკვნა ბოლოს. შემდეგ ამოიღო სახელმძღვანელო, სახელწოდებით „ინგლისური ენის ახალი კონცეფცია“ და მინს ჰკითხა, რომელი დონის ინგლისურს ფლობო. მინს სახელმძღვანელოებისა არაფერი გაეგებოდა. კაცმა მას სათვალის ზემოდან თვალი შეავლო და უთხრა, თუ ამერიკაში ცხოვრება გინდა, ინგლისურის სწავლა ახლავე უნდა დაიწყო.

მინს ეგონა, რომ სამამამთილო დაინუნებდა, მაგრამ ამის გამო დიდად არ ღელავდა.

კაცი მინს მიუჯდა და მეორე წიგნი გადაშალა. სთხოვა, ერთად წაეკითხათ პირველი გვერდი. „კერძო საუბარი“. როდესაც ისინი წიგნზე დაიხარნენ, გოგონამ კაცის მხრებისა და თეძოების სიახლოვე იგრძნო და დაიძაბა.

შესაძლოა, კაცი მხოლოდ მამობრივი გრძნობების კარნახით ზრუნავდა მინზე. წიგნები მისცა და სთხოვა, მომდევნო შაბათ-კვირას დამირეკო თან თავისი მუშაობის განრიგის ისე აწყობას დაჰპირდა, რომ მინს სამეცადინოდ დრო დარჩენოდა. მინის დედასთან და მაჭანკალთან სიტყვაც არ დაცდენია,





გოგონას მეცადინეობის შესახებ. მხოლოდ ის თქვა, რომ მისი ვაჟი საზოგადოებრივ არდადეგებზე ჩამოსვლას აპირებდა და ახალგაზრდები ერთმანეთს მაშინ გაიცნობდნენ.

მინს მისთვის არ დაურეკავს. ბინაში ტელეფონი არ ჰქონდა, ქუჩის ბინძური ტელეფონები კი ეზიზღებოდა. როდესაც კაცმა მაჭანკლის პირით შემოუთვალა, რომ მასთან შეხვედრა სურდა, მინმა არაფერი უპასუხა. წიგნები ძველი გაზეთების ქვეშ შეინახა. რამდენიმე კვირის შემდეგ ეჩვენებოდა, რომ არასოდეს შეხვედრია კაცს, რომელსაც დამშვიდობებისას ღიბხანს ეჭირა მისი ხელი.

ერთხელ მინს დედამ უთხრა, პროფესორს არ მოეწონო. ისეთი ჭკვიანი ამ ისეთი ბევრით არ ხარ, რომ მისი ინტელექტუალური ოჯახის ღირსი იყო. ეს განაჩენი მინის დედას მაჭანკალმა აცნობა.

- გახსოვს ის ფოტოსურათი, ჩვენ რომ გვიჩვენა? - ჰკითხა მინს დედამ - პროფესორის ვაჟი ჯერ ოცდაათისაღ არაა, მაგრამ უკვე სულმთლად მწოდია. თუ პროფესორს ის აწუხებს, რომ შენი შვილები ინტელექტუალები არ იქნებიან, მე კიდევ იმაზე ვფიქრობ, რომ მის ვაჟს შეუხედავი შვილები ეყოლება.

მინს და დედამისს მეზობლები „ობოლს და ქერის“ ეძახდნენ. სხვა ადამიანების გარემოცვაში ისინი სოლიდურ იერს ინარჩუნებდნენ, მაგრამ მარტოდ დარჩენილები ამაზე ბევრს იცინოდნენ.

რამდენიმე დღის შემდეგ, სადილის დროს, ემიმ გამოაცხადა, რომ თანაკლასელებმა კევინი აითვალუნუნეს.

- მე არ ამითვალუნუნებია, - თქვა დინამ. - თქვენ დაგმეთ მისი საქციელი.

- ჯერ ტყუილზე რძე არ შეგშრობია, პოლიტიკისა რა გესმის, - შეუტია რიჩმა.

- ეივოსტი ხარ, - მიახალა ემიმ მამას.

მინი გრძნობდა, რომ ქმარი სადაცაა აფეთქებული, მაგრამ რიჩმა მხოლოდ ცივი მზერა ესროლა ემის, შემდეგ დინას მიუბრუნდა და ჰკითხა, დღემ როგორ ჩაიარაო. განვილიშა წლებმა ნერვების მოთოკვა ასწავლა. უფროსი შვილის, მაქსის მიმართ განსაკუთრებით მკაცრი იყო. ალბათ, ამიტომაც მოხდა, რომ კოლეგის დამთავრებისთანავე მაქსი სინგაპურში გადასახლდა. მინი დიდად არ იტანჯებოდა შვილის უნახაობით, თუმცა ფიქრობდა, რომ, წესით, უნდა მონატრებოდა ვაჟი. მაქსი ოცდაერთი წლის ასაკში გაუჩნდა და ნაადრევმა დედობამ შვილისადმი სიყვარული თანდათან გაუფერულა. უყვარდა თავისი ვაჟი, ჯერ კიდევ უყვარდა - ამაში დარწმუნებული იყო, თუმცა არ იცოდა, მაქსს უყვარდა თუ არა დედა. შეიძლება თუ არა, თან გიყვარდეს ადამიანი, და, თან, იმედგეროვლად, არც გიყვარდეს?

მაქსი და რიჩი ერთმანეთს ვერ ეგუებოდნენ, მაგრამ ერთნაირად აღიქვამდნენ ცხოვრებისეულ მოვლენებს. ორივეს მიანიჭა, რომ ცხოვრებაში ყოველნაბიჯს, ყოველ ძალისხმევას თურქვეული მატერიალური ღირებულება ჰქონდა; თუკი სხვაზე უპირატესობის მოპოვება შეეძლოთ, უკან არასოდეს იხევდნენ. ზოგჯერ მინს ებრალებოდა თავისი მომავალი რძალი და სურდა, რომ ის უფრო გონივრულად გათხოვილიყო.

მეორე შვილის გაჩენა რიჩმა გადაწყვეტინა, მაშინ, როდესაც, ათი წლის წინ, ის-ის იყო, ერთმანეთს უნდა დასცილებოდნენ. განქორწინება სასიკეთო არა-

ვისთვის იქნებოდა, ამტკიცებდა რიჩი; მათ, მოზარდ ვაჟს მძიმე სულიერი ტრავმის გადატანა მოუხდებოდა; რიჩს ფინანსური პრობლემები შეექმნებოდა, რითაც მინიც დაზარალდებოდა, რადგან რიჩი ყველაფერს იღონებდა, რათა მისი ზარალი მინიმალური ყოფილიყო, ცოლისა კი - მაქსიმალური. მინმა იცოდა, რომ რიჩი აქტივებს ჩინეთში გადარიცხავდა, რათა ალიმენტის გადახდის ვალდებულება თავიდან აეცილებინა. ყველაფერს იღონებდა იმისათვის, რომ ვაჟიშვილის აღზრდა მინს დაკისრებოდა. მაგრამ რიჩმა არ იცოდა, რომ მინს არც არც ქმრის ფული სჭირდებოდა და არც შვილი. რაც შეეხებოდა მატერიალურ მხარეს, მას შეეძლო იოლად გაეტანა თავი იმ ხელფასით, რომელსაც მაქსის ყოფილ დანაშაულებით სკოლაში ბუღალტრად მუშაობის წყალობით იღებდა.

მაგრამ რომელი დედა იტყვის უარს თავის შვილზე? თუ ქმარი არ უყვარს საკმარისად, შვილის შეყვარება მაინც უნდა სცადოს. შესაძლოა, კიდევ ერთი შვილის ყოლა მართლაც სწორი გადაწყვეტილება იყო.

- ამისხენი, რა საშუალებები გველის, თუკი ქლინთონს აირჩევენ? - ახლა რიჩმა ჰკითხა გოგონებს. მინი სადილობისას სულ ჩუმად იყო, რიჩს კი სწორედ ამ დროს უყვარდა ლაპარაკი. თავისი ამ საუბრებით ის ცდილობდა, ბავშვები რეალურ სამყაროში შესასვლელად მოემზადებინა. თუკი ესა და ეს საკითხები არ იცით, უფლება არა გექვს, მაგიდასთან პოლიტიკაზე ილაპარაკოთ, ეუბნებოდა ხოლმე გოგონებს.

ემიმ მალულად ენა გამოყო. დინამ, რომელიც რიჩს განსაკუთრებით უყვარდა (და გოგონამ ეს იცოდა, რადგან მამამ ერთხელ უთხრა, დაზეც და დედაზეც უფრო ჭკვიანი ხარო) ნიკაპქვემ მუშტებით ამოიღო.

- რა საშუალებები გველის, მამა?

- მაგალითად, ნებისმიერი ბიჭი შეძლებს გოგონების საპირფარეშოს გამოყენებას სკოლაში, თუკი მონინდომებს. - თქვა რიჩმა. - განა ეს მოგეწონება?

- მეონი, შევთანხმდით, რომ პოლიტიკაზე არ ვილაპარაკებდით, - შენიშნა მინმა.

- გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ჩემს შვილებს რჩევა-დარიგებას ვაძლევ, - მიუღო რიჩმა.

მინი ნამოდგა და სამზარეულოში გავიდა. მაცივარი გამოაღო, თითქოს იქ რაღაც დაეინყნოდა. თარიღზე ბოთლით ღვინო იდგა, რომელიც რიჩმა მოიტანა. მან მინს იარლიყზე გაკეთებული წარწერაც წაუკითხა და ფასიც უთხრა; განსაკუთრებული სასმელი ვიყიდე, შაბათს მეგობრები აპირებდნენ მოსვლას, არჩევნების აღსანიშნავად, თქვა მან. მინს მოუწონდა, ბოთლი თარიღიდან ძირს გადმოეგდო. თუ ამას იზამდა, რიჩი გოგონებს საწოლ ოთახში გაისტუმრებდა და მინს ჩხუბს დაუწყებდა; მინი ეტყოდა, შემთხვევით დამივარდაო, რიჩი კი მიუგებდა, რომ არ სჯეროდა მისი, და, შემთხვევითაც რომ დავარდნოდა, ვერ აპატიებდა. რა სისულელეა, ერთი ბოთლი ღვინის გამო რატომ გაცხარდით? ჰკითხავდა მინი, და დასძინდა, შენი პატიება სულაც არ მჭირდებაო. რიჩი კიდევ ბევრ რამეს იტყოდა, მაგრამ ამ დროს საწოლი ოთახიდან ემი გამოვიდოდა და ლაპარაკს შეანწყვტინებდათ. ის დინასავით მომთმენი არ იყო და მათი კინკლაობის დასასრულს არ დაელოდებოდა. რაზე კამათობთ? - იკითხავდა ემი, რიჩი კი შეცდებობდა, თავი მოეთოკა და იტყოდა, რომ ზრდასრული ადამი-

ანები ხშირად მსჯელობენ სხვადასხვა საკითხებზე. ჰოდა, რაზე მსჯელობთ? - ჩააცივდებოდა ემი. იმაზე, როგორი განსხვავებული ადამიანები ვართო, უპასუხებდა მინი. განქორწინებას აპირებთო? დაინტერესდებოდა ემი. რა თქმა უნდა, არაო, ერთად მიუგებდნენ მშობლები.

ამგვარი სცენები მისს არაერთხელ ენახა ფილმებში, მაგრამ მის ოჯახში მსგავსი არაფერი მომხდარა. მინი და რიჩი ისე დაქორწინდნენ, რომ არავითარი ილუზიები არ ჰქონიათ ერთმანეთის შესახებ. თუმცა, თუ ცოლ-ქმარს ერთმანეთი უყვარს, მათი ოჯახური ცხოვრება ილუზიებით უნდა დაიწყოს. რიჩის და მინის ოჯახური ცხოვრება ამინდს წააგავდა: ისინი საღად აზროვნებდნენ, ერთმანეთს საკმარისად კარგად იცნობდნენ და პროგნოზირების უნარიც შესწევდათ.

პროფესორთან შეხვედრიდან რამდენიმე კვირის შემდეგ დედამ უთხრა მინს, რომ ერთ ახალგაზრდა კაცს, რომელიც ამერიკაში მუშაობდა და ახლა მშობლებთან იყო ჩამოსული, მინთან შეხვედრა სურდა.

- მისი მშობლები, - თქვა დედამ, - ჩვენნი არიან უბრალო ადამიანები არიან და არა ინტელექტუალები.

მინი და რიჩი რვა თვე წნერდნენ ერთმანეთს წერილებს და ტელეფონითაც საუბრობდნენ. მინი გულგრილი არ იყო რიჩის მიმართ, თუმცა არასოდეს გადაუკითხავს წერილები, რომლებშიც საკმარისი მას რჩევა-დარიგებებს აძლევდა. „კარგ ტანსაცმელს დიდი მნიშვნელობა აქვს, - წერდა რიჩი ერთ წერილში და უხსნიდა, რომ საუკეთესო ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის ტარება აუცილებელია სტატუსის ასამაღლებლად და თავდაჯერების განსამტკიცებლად. „უნდა რცხვენოდეს მას, ვისაც გამდიდრება არ სურს, განსაკუთრებით - ამერიკაში“, - წერდა ის მეორე წერილში. რიჩმა მიუთითა მინს, რომ ინგლისური ენა უნდა ესწავლა და მათემატიკაშიც განაფულიყო, რადგან, მისი ჩანაფიქრით, მინს საბუღალტრო კურსები უნდა დაემთავრებინა. ამის შემდეგ ადვილად იმოვიდა სტაბილურ სამუშაოზე საშახლურს, მოგვიანებით კი - მაღალ პენსიას მიიღებდა ან, თუკი საკმარისად პატივმოყვარე და გონიერი აღმოჩნდებოდა, შეეძლო რომელიმე ფირმაში მაღალანაზღაურებადი სამსახურიც ეშოვა.

რიჩის უწინდელი ცხოვრება (ჩინეთში) მინისას წააგავდა. მამამისი მუნიციპალური აბანოს საქაბეში მუშაობდა, დედა კი სკოლის სასაბუღალტრო. ალბათ, რიჩი, მისი მრავალი თანაკლასელის მსგავსად, სკოლის დამთავრების შემდეგ ფაბრიკაში იმუშავებდა, რომ არა ერთი შემთხვევა. რიჩმა პირველად უამბო მინს ეს ამბავი ხანგრძლივი სატელეფონო საუბრის დროს და მოგვიანებით სიამოვნებით უყვებოდა მას შვილებსაც.

თურმე, რიჩმა და მისი მეგობრებმა ერთხელ გაცვეთილები გააცდინეს. მეორე დღეს მასწავლებელმა, იმის ნაცვლად, რომ დაესაჯა ბავშვები და მათთვის დამატებითი მასალის სწავლა დაევალებინა, ისინი თანაკლასელების წინაშე დააყენა და მოსწავლეებს სთხოვა, წარმოედგინათ, როგორები იქნებოდნენ ეს ბიჭები ოცი ან ოცდაათი წლის შემდეგ.

ბავშვებს არაფერი უთქვამთ. მაშინ მასწავლებელი ბიჭებს მიუბრუნდა:

- თუ არ ისწავლით, იმ უბადრუკ, გაუნათლებელ,

ლიზგადმოგდებულ კაცებს დაეწვავს, რომლებიც ზაფხულობით, რომ მოსალამოვდება, ქუჩებში სხედან, ლუდს სვამენ, სიგარეტს ეწევიან და თავდაჯერება რომ მოემატოთ, ცოლ-შვილს უყვირიან, - თქვა მასწავლებელმა. - აი, ასეთი მომავალი გელით. და თუ თქვენს მშობლებს არ შერცხვებათ თქვენს გარწმუნებთ, რომ თქვენს შვილებს უეჭველად შერცხვებათ.

თხრობას რიჩი ყოველთვის მასწავლებლის სიტყვებით ამთავრებდა, მაგრამ მინმა იცოდა, რომ ეს ამბის დასასრული არ იყო. რიჩის მამა იმ უბადრუკი, გაუნათლებელი, ლიზგადმოგდებული კაციებიდან ერთი იყო. მინი პეკინში რომ დარჩენილიყო, სწორედ უბადრუკი, გაუნათლებელი, ლიზგადმოგდებულ კაცი გათხოვება მოუწევდა. რიჩმა მინს განსხვავებული პერსპექტივა შესთავაზა. მინი კი სამომავლოდ, რიჩს თვინიერი, კარგად აღზრდილი შვილების გაზრდას დაჰპირდა, რომლებიც მამას მოწინებთ მოექცეოდნენ. როდესაც რიჩი და მინი შეთანხმდნენ (ტელეფონით), რომ დაქორწინდებოდნენ, დედა ჩაეკითხა მინს, დარწმუნებული იყო თუ არა ამ გადაწყვეტილების სისწორეში.

მინმა იცრუა, დარწმუნებული ვარო. ეს გადაწყვეტილება პროფესორის ვიზიტის შემდეგ მიიღო, ჯერ კიდევ მანამ, სანამ რიჩი დაქორწინებას შესთავაზებდა. მინის დედა გაზეთების კოსკში იყო, როცა გოგონას პროფესორი ეწვია და ბინაში ისე შევიდა, თითქოს მინი მას ელოდა. პროფესორმა თვალი შეავლო ძველ ავეჯს, მაგ-თეთრ თორმეტდღიმიან ტელევიზორს, და მინს მიუბრუნდა.

- მეგონა, დამირეკავდი, - თქვა მან. - დაპირება რატომ არ შეასრულე?

მინს არ შეეძლო თავი მოეკატუნებინა, თითქოს ეს კაცი არასოდეს ენახა. ცდილობდა, რაიმე მარჯვე ტყუილი მოეგონებინა, მაგრამ პროფესორმა არ აცალა.

- იმისთვის მოვედი, რომ შევთანხმდეთ, ინგლისურში როდის გამეცადინო.

მინმა მადლობა გადაუხადა და თქვა, ეს აუცილებელი სულაც არ არისო.

- რატომ? არ გინდა, უკეთეს მომავალზე იფიქრო?

- მეგონა, სარძლოდ დამიწუნა-მეთქი, - თქვა მინმა.

- ახლა ასე არ მგონია. დაუშუშავებელი აღმასიხარ და შემიძლია, ბრილიანტად გაქციო.

მინმა უკან დაიხია, მაგრამ პროფესორი მიუახლოვდა და მხარზე ხელი დაადო.

- გესმის? - ჰკითხა გოგონას. - შემიძლია ბევრი რამით დაგეხმარო.

- მაპატიეთ, მაგრამ თქვენი დახმარება არ მჭირდება.

- რატომ? ჩემი სტუდენტების მიმართაც კი არ გამოიჩინია ასეთი ყურადღება.


მინმა თავი გადააქნია. პროფესორმა მხარზე თითები მოუჭირა.

- ერთ ყმანვლს ხვდები.

- როგორ? ორი თვის წინ თანახმა იყავი, რომ ჩემს ვაჟს გაჰყოლოდი.

- თანახმა არ ვიყავი.

- ვინაა შენი შეყვარებული? გახსოვდეს: შემიძ



ლია დაგეხმარო, რომ ამერიკაში გაემგზავრო და იქ დასასლდე.

- ამერიკელი შეყვარებული მყავს. - თქვა მინმა. - მასზე გათხოვებას ვაპირებ.

რისხვა, რომელიც პროფესორის თვალეში გამოკრთა, შემოთებული მამის რისხვას არ ჰგავდა, რაც ცხრამეტი წლის მინმაც კი შენიშნა. ეს იყო დამცირებული მამრის შეცბუნება.

- ესე იგი, ჩემი გამოყენება გინდოდა. ახლა კი იპოვე სხვა კაცი, რომელსაც უკეთ გამოიყენებ. - თქვა პროფესორმა. - უნდა მცოდნოდა, რომ შენნაირი გოგონებისგან წესიერ ქცევას არ უნდა ელოდო.

სხვა გოგონას გაეცინებოდა, ამ კაცს შემლილს უწოდებდა, მის ხელს მოიშორებდა და კარისკენ მიუთითებდა.

- ვწუხვარ, რომ იმედები გაგიცრუეთ, - თქვა მინმა. - ვერაფრით დაგეხმარებით.

- შემძლია ინგლისური ენა გასწავლო. აუცილებელია არაა, რომ ჩემს ვაჟზე გათხოვდე. უბრალოდ, მოდი ხოლმე ჩემთან. ხომ მოხვალ?

კაცის უმწეო თხოვნამ მინს გული აუჩუყა. ხომ არ შეიძლება, არავითარი განსაკუთრებული ღირსებები არ მქვს, ერთი ჩვეულებრივი გოგო ვარო, უნდა ვიქცე.

წლების შემდეგ მინი ცდილობდა დაეინყებინა ეს ყოველივე, მაგრამ როდესაც კაცის წერილებს კითხულობდა, ხშირად ფიქრობდა, რომ კაცი კი არ იყო შემლილი, არამედ თვითონ მოიქცა შემლილივით. ამჯობინა გათხოვილიყო რიჩზე, რომელსაც შემლილი, მონუსხული მზერით არასოდეს შეუხედავს მისთვის, და ეგონა, რომ ის კარგი ქმარი იქნებოდა. მაგრამ, შესაძლოა, სიყვარული დაავადებაა, რომელიც ცოლ-ქმარმა უნდა მოიხადოს, რათა შემდეგ ერთად გამოჯანმრთელდნენ. ზოგიერთი ამას წარმატებით ახერხებს, სხვები მარცხს განიცდიან. მაგრამ, ნებისმიერ შემთხვევაში, ბედნიერი ქორწინებისთვის აუცილებელია, რომ ცოლ-ქმარმა მოიხადოს ეს ავადმყოფობა.

- არ მინდა, რომ გოგონებს პოლიტიკაზე ელაპარაკო, - უთხრა რიჩმა მინს მას შემდეგ, რაც ტყუებმა დაიძინეს.

მინმა არაფერი უპასუხა.

- არ მინდა, რომ ჩემი შვილები ამ მემარცხენე ნაციონალისტების გავლენის ქვეშ მოექცნენ.

ამ თემაზე ალბათ სანდრას სახლშიც საუბრობენ,

მაგრამ - გაცილებით უფრო მეტი გზებით. ალბათ, ნაიკელავდნენ კიდევ. და მაინც, სანდრა ჩაქონ ცოლად დარჩებოდა, ისევე, როგორც მინი დარჩება რიჩის ცოლად.

- დაიმასხოვე, - განაგრძო რიჩმა, - თუკი გოგონები გკითხვენ, ხმაყის მიეციო, უპასუხე, რომ ტრამპს მიეცი, ან უთხარი, რომ არჩევნებზე არ წასულხარ.

მინს გულში გაელიმა, რადგან გოგონებმა უკვე იცოდნენ, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ. რამდენიმე წელიწადში წამოიზრდებიან. მგრძნობიარე ემი ვერ შეძლებს თავისი გუნება განწყობის დაფარვას, უფრო მტკიცე ხასიათის მქონე დინა კი მამის ავტორიტეტის წინააღმდეგ ამხედრდება. შესაძლოა, მინმა მოთმინება უნდა მოიკრიბოს და დიცადოს, სანამ ტყუებები გაიზრდებიან. ალბათ, ამავსე გრძნობა დედამისი ქმრის სიკვდილის შემდეგ, ალბათ, ისიც ფიქრობდა, რომ ბავშვები გაიზრდებოდნენ და ისინი გადაჭრიდნენ იმ პრობლემებს, რომელთა გადაჭრაც მშობელმა ვერ შეძლო.


მაქსი დაწყებით სკოლაში სწავლობდა, როდესაც პროფესორმა მინს პირველი წერილი მისწერა. მისი თქმით, ის ათი წლის წინ გადასახლდა ამერიკაში და ამ ზაფხულს, პირველად უნდა სწევოდა პეკინს. და რატომღაც მინის ძველ სახლში უნდოდა დაბინავება.

„სახლების კომპლექსი არ დაუნგრევიათ და დედაშენი კვლავ იქ ცხოვრობს. სწორედ ამან მიბიძგა, შენთვის მომწერა, - წერდა პროფესორი, - როგორც ძველი მეგობრისთვის“. მინი ფიქრობდა, რომ პროფესორი მარტოობის ან ნოსტალგიის გამო წერდა. მინს პასუხი არ გაუცია, მაგრამ იცოდა, რომ დუმილი გამოსავალი არ იყო. მომდევნო თვეს პროფესორმა კიდევ ერთი წერილი გამოუგზავნა და შეახსენა, რომ მის წარმოსახვაში მინი კვლავაც ნორჩი, ლამაზი და დამყოლი გოგონა იყო. როგორც ჩანს, მინის სრულმა დუმილმა პროფესორის უსაზღვრო ფანტაზია ვერ დააჩლუნგა.

იმ ღამეს მინს ძილი არ ეკარებოდა. მან კაცის წერილი გახსნა და მსხვილი შრიფტით, რომლის ნაკითხვაც მოხუცებულს არ გაუჭირდებოდა, დაწერა: „გთხოვთ, ნულარ მწერო“.


შემდეგ დაფიქრდა, ეს სიტყვები წაშალა და ახლიდან დაწერა: „თავიდან მომწყდით. ჯანდაბამდე გზა გქონიათ“.

The New Yorker
16 აპრილი, 2018



მალხაზ ხარბედია

ჭიქების ხმა „პიკვიკის კლუბის ჩანაწერებიდან“



რას ნიშნავს „პიკვიკის კლუბი“? ვინ არიან „პიკვიკელები“?

კლუბი მისტერ სამუელ პიკვიკის სახელს ატარებს, ვინც „შემასტედიის დიდებული ტბორები გამოიკვლია და თავისი მახათას თეორიით მეცნიერების სამყარო შეარყია“.

რა არის მახათა?

თეგზია. თეორიაზე კი ნურაფერს მკითხავთ, მეც არ ვიცი ბოლომდე რას ნიშნავს „მახათას თეორია“. შეიძლება დიკენსის თანამედროვე დარვინმა იცოდეს.

კლუბის წევრები არიან, თავად მისტერ პიკვიკი,

ესკვარი, ტრეისი ტაპმენი, ესკვარი, ავგუსტუს სნოდ-გრასი, ესკვარი და ნათანიელ უინკლი, ესკვარი. „მათ ევალებათ ხანგამოშვებით წარმოადგინონ პიკვიკის კლუბში, რომელიც ქ. ლონდონში მდებარეობს, თავიანთი მოგზაურობათა და გამოკვლევათა უტყუარი ანგარიშები და ხალხსა და მათ ზნე-ჩვეულებებზე დაკვირვების შედეგები. მათ უკლებლივ უნდა აღწერონ თავიანთი თავგადასავლები ყველა იმ ამბისა და ჩანაწერის დართვით, რომელსაც საფუძვლად ადგილობრივი სანახაობა და ამ ნიადაგზე წარმოშობილი ფიქრები დაედება“. მოგვიანებით პიკვიკი თავად აზუსტებს: „აღამიანთა ბუნებას ვუკვირდები მხოლოდ“!

მემგონი ბრწყინვალე შესავალია, ერთგვარი ირონიული *Ars Poetica*, დიკენსის ამოცანა თუ მწერ-
ლური ინტენცია, იუმორით შეზავებული, როგორც
პუნში ან გროგი.

მოგზაურობა, რომლის უტყუარი ანგარიშები
უნდა წარადგინონ პიკიკისტებმა, 1827 წლის 13
მაისს იწყება. ამ წელს თბილისში ძლიერი მიწის-
ძვრაა, სოლომონ დოდაშვილი ამთავრებს პეტერ-
ბურგის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულ-
ტეტს, კავკასიაში აგზავნიან პასკევიჩს, კვდება ბეთ-
ჰოვენი. ალბათ კიდევ ბევრი რამე ხდება 1827 წელს,
მაგრამ ახლა ჩვენ მხოლოდ პიკიკისტების მოგზა-
ურობა გვაინტერესებს, რომელსაც პირობითად შეგ-
ვიძლია ვუწოდოთ მოგზაურობა, ეს უფრო სასიამ-
ოფრო და სასაცილო დროსტარებაა, ჭამა-სმით გა-
ნერცობილი სტუმრობები, გასვლები და დაბრუნე-
ბები, ფსევდოელეგანტური არამზადების (იუჰან
ბორგენის სიტყვებით) ხრიკები და დაზარალებულ-
თა ღირსეული სატყელები, ნადირობები, სიყვარუ-
ლი და დევნები, შეცდომები, ხუმრობები, ეჭვები,
სისუსტეები და გამჭრიახობანი.

არიან ადამიანები, რომლებისთვისაც „პიკიკის
კლუბის ჩანაწერები“ ნამდვილი პედინერების, სი-
ხარულის ნივანია. სიხარულის და სიამოვნების. და
ეს სიამოვნება ხშირ შემთხვევაში ყველაზე ადამია-
ნურ გრძნობებს, ჭამა-სმას, ძილს, სასიყვარულო
მელანქოლიასა და სიკეთის სიმარჯვეს უკავშირ-
დება. ისევ ბორგენის შეფასებას გავიხსენებ, როცა
პერსონაჟებს იგი გულისამაჩუყებლად დაბნეულებს
და კომიკურად სერიოზულებს უწოდებს. და ეს კო-
მიკურბამდე სერიოზული ადამიანები, მეცნიერე-
ბის, პოეტების, სპორტსმენების ნიჭით დაჯილდო-
ებული პიკიკისტები, მამა-შვილი უელერები, მის-
ტერ ჯინგლი და ჯობ ტროტერი, ბობ სოიერი და
ბენჯამინ ალენი, ქალთა მიოლი გუნდი - ნიშანბრე-
ბი თუ ქვრივები, დანიშნულები თუ გათხოვილები,
ქმნიან იმ უზარმაზარ სამყაროს, როგორიც არც მა-
ნამდე და არც შემდეგ არ უნახავს ლიტერატურას.

ეს რომანი ალბათ ერთ-ერთი ყველაზე უცნაუ-
რი მოვლენაა მწერლობის ისტორიაში, თავისი დე-
ტალებით, წვრილმანებითა და მხიარული ჭკერებით.
უცნაურია ეს ნივანი თავად დიკენსის შემოქმედ-
ებისთვისაც. უცნაურია ეს წერილიც, რომელიც მხო-
ლოდ პიკიკისტურ ჭამა-სმას და ლიტერატურულ
ჰედონიზმს უღრმავდება, უფრო სწორად აღწერს
და ახარისხებს ამ სიამოვნებებს.

ამ რომანში ყველა სვამს. სვამენ ნებისმიერ
დროს, დილიდან - დღამდე. აქ, როცა სასმელზე
უარს ამბობენ, მაშინაც კი „დიას“ იგულისხმება და
ნებისმიერი თანამეგობარ ადვილად ხვდება ეს „არა“
სინამდვილეში რას ნიშნავს. მაგ., ვინმე მისტერ პერ-
კერი სთავაზობს მისტერ ლაუტენს ერთ ჭიქა ღვი-
ნოს, რაზეც ის უარს ამბობს, პერკერი კი დამაჯე-
რებლად პასუხობს: „მე მგონი, თქვენ გინდოდათ
გეთქვათ დიას“ და ამ სიტყვებზე სურას და ჭიქებს
გამორილებს კარადიდან. როგორც ყოველსმდენდენ
ავტორისგან ვიგებთ, მისტერ ლაუტენს მართლაც
სურდა ეთქვა: „დიას“.

ასევე შესანიშნავია სემ უელერისა და მისტერ
სტიგნიზის სცენა. სემი მას შეეკითხება, თუ რომელ

სასმელს ანიჭებს უპირატესობას, სტიგნიზი კი ღრმა-
აზროვნად, თითქოს კათედრიდან, პასუხობს: „ჩე-
მო საყვარელო პატარა მეგობარო, ყველა სასმელი
ამაოა“ და სემი შემდეგნაირად აზუსტებს შეკითხვას:
„მინც რომელი ამაოება გირჩევნიათ? რომელი ამა-
ოება უფრო ეფინება თქვენს გულს, სერ?“

დიდი ხნის წინ ერთი ნივანი ჩამივარდა ხელში,
გუსტავ შპეტის „ჩარლზ დიკენსის „პიკიკის კლუ-
ბის ჩანაწერები“ კომენტარები“. ამ ნივანი ამო-
კითხე პირველად ჩესტერტონის მახვილგონივრუ-
ლი შეფასება დიკენსის ალკოჰოლური უსასრულო-
ბის შესახებ: წარმოდგენილი რაოდენობის სასმე-
ლი, რომელიც დიკენსის რომანების ყველა გვერ-
დზე ისმება, მხოლოდ დამნის ამდენივე ჩხვლელსა
შეგვიძლია შევადაროთ დიუმას რომანებში. შპეტი
აზუსტებს, ჩესტერტონი ცდება, როდესაც ამტკი-
ცებს, რომ დიკენსი ხოტბას ასხამდა ღრეობასა და
ლოთობებს, რომ აღფრთოვანებულ ჰიმნებს უძღვნი-
და ამგვარ დროსტარებას, თუმცა ეს თავად ცო-
ტას სვამდა. არადა ღვინოს ჰიმნებს თავად ჩესტერ-
ტონი უძღვნიდა, დიკენსი კი ღრეობების მიმართ
უფრო მორალურ ინდიფერენტულობას ამჟღავნებ-
და. შესაბამისად, დიკენსთან სმა და თორბა მომ-
ხიბუღელი მომხიბვლები პერსონაჟებიან და უხამ-
სია უხამს პერსონაჟებთან, მხიარული გმირები მხი-
არულად სვამენ, პირქუშები კი უგუნებო მსმელები
არიან. იგი მის თვალში ადამიანის ხასიათის ინგრე-
დიენტია, მისი ერთ-ერთი თვისება, მისი თანდაყო-
ლილი ნიშანი. ეს ხასიათები სასმელის არჩევანშიც
ჩანს და თორბის პერიპეტებშიც. არჩევანი კი ნამ-
დვილად დიდია ამ რომანში. გაზავებული სასმელით
დანყებულნი - ცეცხლივით სპირტებით დასრულე-
ბული.

გროგიდან - შამპანურამდე

„პიკიკის“ სასმელებზე საუბარი ღვინით მინ-
დოდა დამეწყო, როგორც ყველა სხვა ალკოჰოლუ-
რი სასმელის არქეტიპზე და პირველსახეზე, თუმცა
მალე გადავიფიქრე, რადგან დიკენსთან ატმოსფე-
როს უფრო სხვა სასმელები ქმნიან. გაზავებულები
და არა სუფთები, შეკაზმულები და არა შეურევლე-
ბი. ამიტომ, სანამ ბრენდინზე, ჯინზე ან რომზე ვიტყო-
დეთ რამეს, ჯერ გროგი, პუნში და სხვა მათნირები
უნდა ვახსენოთ, სითხეები, რომელთაც ყველაზე
ხშირად, ნებისმიერ სიტუაციაში ენაფებიან დიკენ-
სის გმირები.

საერთოდ, ადელვებულ გულს ცხელი სასმლით
იშოშმინებენ „მისტერ პიკიკი“ და ყველაზე ხში-
რად გროგს აზავებენ. გროგი ბრენდის ან რომის და
წყლის ნახავია, ხანდახან შაქრით. ეს სიტყვა (grog)
XVIII საუკუნის შუა წლებში გარჩდა ინგლისურში,
როდესაც ადმირალმა ედუარდ ვერნონმა (1684-
1757) ლოთობასთან ბრძოლის მიზნით დააკანონა,
რომ რომი 1/4-ზე გაზავებულიყო, რაც ნიშნავდა,
რომ ნახევარ პინტ რომში (0,285 ლ.), ერთი კვარტი
წყალი (1,14 ლ.) უნდა გაერეათ და დღემდე ორჯერ
გაეცათ, 11 და 17 საათზე. ბრიტანეთის სამეფო
ფლოტში ამ წილს, რომელიც მეზღვაურების რაცი-
ონში შედიოდა, tot ერქვა და იგი სალაპარაკო ენაში

სირჩასაც ნიშნავს და ყლუშსაც, თავად ედუარდ ვერნონს კი მეზღვაურებმა ბებერი გროგი შეარქვეს (საინტერესოა, რომ ეს ტრადიციის ბრიტანეთის ფლოტში 1970 წლის 31 ივლისამდე გაგრძელდა). სასმელის სახელწოდება ადმირალის მოსახსამიდან (program cloak) მომდინარეობს, რომელსაც იგი შტორმის დროს იცვამდა ხოლმე (ინგლისური program < ფრანგული gros grain, უხეშად ნაქსოვს ნიშნავს).

გროგი პირველივე გვერდებზე ჩნდება რომანში და მისი გაზავება მთელი ამ ვრცელი ნიგნის ბოლო თავამდე გრძელდება. სცენაში, როდესაც პიკვიკელებს მეეტლე დაერევა (პოლიციის ჯაშუშობის ბრალდებით), ინციდენტის დასრულების შემდეგ გროგიც გამოდის ასპარეზზე. სხვათა შორის, საჭმელსაც პირველად სწორედ აქ ახსენებენ, ოღონდ ცოტა უცნაურ კონტექსტში. საქმე ისაა, რომ დალილავებული თვალის მოსაშუშებლად უმი ხორცის ნაჭერს მოითხოვენ, ხოლო გულის გადასაყოლებლად ცხელ-ცხელ გოგს, მაგარსა და ტკბილს. ეს იდეა მწვანესერტუკიან უცნობს ეკუთვნის, რომელიც უცებ გამოტყვერება საიდნაღაც და შემდეგ რომანის ერთ-ერთი მთავარი უარყოფითი გმირი ხდება. მისტერ ჯინგლია მისი სახელი. იგი ისლმოუთქმელად დაარტყამს ნახევარ პინტა ორთქლიან გროგს და უდარდელად ჩაეშვება სავარძელში.

გროგს სვამენ ბატონებიც და მსახურებიც, მეეტლეებიც და მეკუბოვეებიც, მოსამართლეებიც და დამნაშავეებიც. ერთი სიტყვით, ყველა. სვამენ რომიანსაც და ბრენდიანსაც, კარგ ხასიათზეც და ალელებულებიც. III თავში, სადაც ზემოთ არწერილი მოვლენები ვითარდება, გაცხარებულ მისტერ პიკვიკს გროგს ასმევენ და ისიც მალევე მოდის აზრზე. პიკვიკი სასმელს ელვის სისწრაფით სვამს და ჩვეულებრივ კეთილ გამომეტყველებას იღებს.

გროგთან წყურვილი, სურვილი და სიამოვნებაა დაკავშირებული, მაშინ როცა პორტვინი ხანდახან შეიძლება იძულებითაც კი შეუკვეთონ, ვთქვათ სასტუმროს საკეთილდღეოდ ან მასპინძლის გულის მოსაგებად.

უფროსი უელერი ნახევარს ნახევარზე აზავებდა გროგს, თუმცა ყოველთვის, როდესაც წყალი ზედმეტი მოსდიოდა, ასე იტყოდა: „თანაბრად არ გამოდის“ („It's unekal“). გროგის დიდი მოყვარულია უფროსი უელერის მეუღლის, სემის დედინაცვლის მეგობარი, ნათელცხვირა მისტერ სტიგინზი, რომელსაც მამა-უელერი დაქვრივების შემდეგ სახლიდან აპაწლურებს, სწორედ იმ დროს, როდესაც იგი თავის საყვარელ ანანასის რომიან გროგს მიირთმევს. ვისკიან გროგს, ე.წ. ტოდის (toddy) სვამენ XLIX თავში, შოტლანდიაში ძალზე პოპულარულ სასმელს. აქ ერთი საეჭრო აგენტი ბიძამისის ისტორიას ჰყვება, რომელსაც ცოტა ზედმეტი ტრდი მოუვიდა ერთ-ერთ თავყრილობაზე. აგენტი გრძლად გვიამბობს ბიძამისის ამბავს, ამიტომ უბრალოდ ზოგიერთ დეტალს ამოვკრებ:

ჯერ ნოყიერ შოტლანდიურ საუზმეს ახსენებს მთხრობელი, რომელსაც ბიძამისი ლოკოკინებს აყოლებს, ათიოდე ბოთლ ელს და ერთ ჭიქა ვისკის, შემდეგ სადილზე გადადის ბიძა და კიდევ უფრო ნოყი-

ერ ვაზაშამაც გემრიელად გეაზღვებათ. ეს კაცი მართლა მაგარი მჭამელი და მსმელი ყოფილა, მთელ დანდის მოსახლეობას ისე დაათრობდა, თვითონ ფეხიც არ შეეშლებოდა შინ დაბრუნებისას. რძის ფაფასავით ირგებდა ყველაფერს, მაშინ როცა სმაში სახელოვანი დანდებები ნელ-ნელა ტოვებდნენ თურმე ბრძოლის ველს. ერთ ასეთ ვახშამზე, ორაგულია და ვირთევზას შაშხებთი, ცხვრის თავით, ჰეგისით (Haggis, მოკუპატო კერძია, ცხვრის შიგნულთა და საკმაზეულით დატენილი, რომელსაც კუბიდონის მუცელს უნოდებს ეს ბიძა) და მრავალ სხვა კერძით. ინყებო ტოდის სმა, შემდეგ სიმღერასაც შემოსძახებენ: „ვილიმ ლუდი მოხარშა“ და ნელ-ნელა სუფრის წვერები გონებას კარგავენ. ბოლოს ყველას ჩამოეძინება ბიძის გარდა. ის იფიქრებს: „ასე ერთბაშად რომ წავიდე, უთუოდ უზრდელობაში ჩამომართმევნენ. ამიტომ თვითონვე აირჩია თავი თამადად, კიდევ ერთი ჭიქა ტოდი შეამზადა და წამოედა, რომ საკუთარი თავი ედღეგრძელებინა. მართლაც, ბრწყინვალე, ქებით სავსე სიტყვა წარმოთქვა; სადღეგრძელოც დიდი აღფრთოვანებით შესვა; მაინც არავის გაეცვიდა. მაშინ მან კიდევ ერთი ჭიქა დალია, ოღონდ ამჯერად წყალი აღარ გაურევია, შეეშინდა, ვაითუ მანყინოსო; მერე ქუდს დასტაცა ხელი და ქუჩაში გამოვიდა“. რამდენიმე გვერდის მანძილზე დაწვრილებითაა მოთხრობილი ბიძამისის სვლა კენონგეტიდან ლიტ-უოკისაკენ (ედინბურგში ხდება ამბავი). უამინდობა, ჟილეტის ჯიბეებში გაყრილი თითები და შემდეგ ერთ უცნაურ ადგილას ჩათვლება, ვისკიანი გროგით გამოწვეული მოლანდებებითა და სიზმარეული აჩრდილებით.


გროგს თავისი განსაკუთრებული როლი აკისრია პოლიტიკურ ბრძოლებშიც. მაგ. ლურჯებისა და ყვითლების წინასაარჩევნო ბრძოლისას გროგს ოპიუმიტაც კი უნამალავდ ერთმანეთს ოპონენტები, სხვები კი გროგს გასართობადც იყენებენ. მაგ. შეიძლება ჩაძინებულ, ხელში გროგის ჭიქიან მთვრალ თანამეინახეს დამდნარი სანთელი ჩაუწვეთონ.

გროგთან დაკავშირებული ერთ-ერთი საუკეთესო სცენაა მამა-შვილი უელერების მიერ სასიყვარულო წერილის დაწერის სცენა: დაიდგამენ შემთხვევით გროგს, სამეღნეს და წერილს თხზავენ, თან ერთმანეთს გროგიან ჭიქას სტაცებენ ხელიდან.

და ბოლოს, ერთი გროგით გამომთვრალი კაცის „სიბრძნე“ უნდა ვახსენოთ: „დამიანს ორი რამ უნდა უყვარდეს. ჯერ საკუთარი თავი და მერე ქალები“.

პოპულარობის მიხედვით მეორე ადგილს ალბათ პუნში დაიკავებს „პიკვიკის კლუბის ჩანაწერები“. სახელი (punch) სასკრიტიდან მოდის (pain) და ხუთს ნიშნავს, რაც გულისხმობს სასმელის ზუთ ძირითად შემადგენელს - ალკოჰოლს (შემადგერბული ღვინო, რომი და ა.შ.), შაქარს, ჩაის, წყალს და ლიმნის წვენს. შეიძლება დაემატოს სანელებლებიც და რძეც კი.

პუნში ყველა სვამს, თუმცა არიან ნამდვილი თავყანისმეტყველებიც. მაგ. ტომ სმარტი, ჩართული ნოველიდან „ვაჭრობის აგენტის თავგადასავალი“. იგი ჭკუას კარგავს პუნშზე და ბედზე ერთ ქვრივს



გაიცნობს, რომელსაც ბადალი არა ჰყავს პუნშის დამზადებაში. გარეთ სასტიკი ქარიშხალი მძვინვარებს, ძველი, მამაპაპური სახლის ყველა კოჭი ჭრი-ალებს, ტომ სმარტი კი პუნშს ენაფება, როგორც უკვდავების წყაროს და ფიქრებში იძირება. ბოლოს მორფეუსიც წარიტაცებს და სიზმრად არც მეტი არც ნაკლები ისევ პუნშით სავსე ჭიქებს ხედავს.

ცივ პუნშს სვამენ მისტერ უორდლის მიერ მოწყობილ პიკნიკზე და ისე გაუტკებნაბთ, რომ პუნშის უცნობი შემქმნელის სადღერძელოსაც მიირმევენ. სიცხის გამო ცივი სასმელი სწრაფ მოქმედებას იწყებს, მისტერ პიკვიკს სახეზე მზიური ღიმილი გადაეფინება, თვალზე აუციმციმდება, სიმღერის ხასიათზეც დადგება, თუმცა ტექსტს ვერ იხსენებს. შეეცდება პუნშის კიდევ რამდენიმე ჭიქით გაიხსენოს სიტყვები, მაგრამ პირიქით ხდება, სიმღერის ტექსტი კი არა, ყველა სიტყვა ავინწყდება და მეტყველების უნარსაც კარგავს.

ქართულ თარგმანში შიგადაშიგ რატომღაც ფუნჯსაც უწოდებენ პუნშს, ამიტომ, ნუ გაგიკვირდებათ, თუკი ასეთ წინადადებას შეხვდებით: „ფრიად ბევრი ფუნჯი მივირთვიო“.

პუნში ხან ცხელია, ხან ცივად სვამენ. ცხლად მიირთმევენ მისტერ პიკვიკი პუნშს ყინულოვან წყალში ჩაჯარდნის შემდეგ. იგი მხოლოდ შეხურებით არ კმაყოფილდება და რამდენიმე ჭიქას ზედიზედ ურ-

ტყამს, სამაგიეროდ მეორე დღეს ნიკრისის ქარების ნატამალსაც ვერ გრძნობს. მისტერ ბობ სოიერი კი აღნიშნავს: „თუ ოდესმე ამ ნამალმა ვინმეს ვერ უშველა, ეს უთუოდ იმიტომ მოხდა, რომ ავადმყოფმა უგუნური შეცდომა დაუშვა და აღნიშნული სასმელი საკმაო რაოდენობით არ მიიღო“.

იგივე ბობ სოიერი პუნშით უმასპინძლებდა სტუმრებს თავის ბინაში, ბოროლზე. მწვანემაუდგადაფარებული მაგიდა, ბანქო და სასმელი, სხვა რა უნდათ მსუბუქი გართობის მოყვარულებს. თამაშობენ „ოცდაერთს“ (ფრ. *Vingt-et-un*) და თან წრუპავენ.

ერთ-ერთ შემდეგ თავში ბობ სოიერი უკვე დიდ სანაყში აზავენს პუნშს, რძესაც ურევს, ზემოხსენებული ვაჭრობის აგენტის ბიძის ამბავში კი პუნშის დამზადებაში და სმაში შეჯიბრსაც კი აწყობენ.

გაზავებულ სასმელთან ერთად საინტერესო თემაა ნაყენებიც, რომელსაც რომანის პერსონაჟები ამზადებენ. მაგ. ერთ-ერთ თავში მღვდელი და მისი მეუღლე ჩნდებიან, „ჩასუქებული, წითელლოყება ასაკოვანი მანდილოსანი, რომელსაც აშკარად ეტყობოდა, რომ გარდა იმისა, რომ განაფული იყო ახლობლებისათვის შინაური ნაყენების დამზადებაში, საკუთარ ნახელავს თავადაც ხშირ-ხშირად უსინჯავდა გემოს“. აქვეა ნახსენები ალუბლის ნაყენი მაგარი ლუდით და ანწლის ცხელ-ცხელი ღვინო, ბრენდით და სუნელით.

მაგარი სასმელების კარი ბრენდით უნდა შევალთ, რომელსაც ხშირად მათართაც დაატარებენ და ერთგან ასეთ გამოთქმასაც კი გაიგონებთ ნასმურევე: „თავს რომ ბრენდის მოსიარულე ბოთლივით არა ვგრძნობდე, უფრო მაგრად ვიდგებოდი ამ დილით ფეხზე“-ო. ამას სემ უელერი ამბობს, ყველაზე ენამახვილი და ხალისიანი მსახური. იქვე სემის კიდევ ერთი შესანიშნავი შედარებაა: „მხიარული ყმაწვილი ჩანხარ, კირით სავსე კალათში ჩაგდებულ კალმასს რომ არ ჰგავდე“.

ბრენდის ნებისმიერ დროს სვამენ, პიკნიკზე, მგზავრობისას, ბანქოს თამაშისას, მას უკვეთავენ დამწუხრებულებიც და რაც მთავარია, მხიარული განწყობის შესანარჩუნებლად. ბრენდით იმხნევენ თავს დუელის წინ. ბრენდისგან ამზადებენ სხვადასხვა ნაყენებსაც. მაგ. ჩერი-ბრენდი (cherry-brandy), ალუბალზე და შაქარზე დაყენებული ბრენდი, რითაც მისტერ უორდელ უმასპინძლებდა დინგლი დელში როჩესტერიდან დაბრუნებულ პიკნიკისტებს.

ბრენდის სმა მიდის XX თავში, როცა ამაყი მამა, უფროსი უელერი მისტერ პიკნიკს თითო ჭიქის ჩარტყმას სთავაზობს. ელსა და ბრენდის სვამენ მისტერ პიკნიკი და მისი მეგობრები მაგლტონიდან სასტუმრო „ლურჯ ლომამდე“ მგზავრობისას, მოგვიანებით კი ბრენდისთან დამწნილებულ ლოკოკინებსაც მიირთმევენ.

კარგი ბრენდის გამო სტუმრადაც უფრო დიდხანს რჩებიან და მეტიც, სასტუმროშიც კი შეიძლება ერთი-ორი ღამით მეტი გაათიონ, მით უმეტეს, თუკი სიგარები და ღორის კატლებიც კარგი აქვთ იქ.

ბრენდის ხანდახან პატენტირებულ კუჭის მოსანელებელს უწოდებენ. თუ დილაა, წყლით გაზავებულს სვამენ, თუმცა უმრავლესობა გაუზავებელ, შეულახავ ბრენდისაც მშვენივრად ურახუნებს უზმოზე.

რომანს ერთი გმირი ჰყავს, ბენჯამინ ალენი, რომელსაც ბრენდის დალევისთანავე გული უჩუყდება. იგი ბრენდის ბურნას, მისტერ ბობ სოიერს სტუმრობს და ხათრს ვერ უტყუხავს, ისიც იძულებულია მასთან ერთად სვას ეს ცეცხლოვანი სასმელი, რის გამოც ხან სულ მთვრალია, ხან კი სულ შეჭიკჭიკებული.

მოკლედ უნდა ვთქვა ჯინის შესახებაც, რომელიც XIX საუკუნის ლონდონის უმთავრესი მაგარი სასმელი იყო და დიკენსის რომანების ნამყვანი ჩასარტყმელი. ამის მიუხედავად პიკნიკში საკმაოდ იშვიათ ახსენდებათ მისი არსებობა. მაგ. სემ უელერისა და ტროტერის გაცნობის სცენაში ნასმურევი სემი დილის სირჩაზე პატიუბებს ტროტერს და „დასალევი ოთახისკენ“ გავლენ, სადაც კალის ჭურჭელში ბრიტანულ და შოტლანდიურ არაყს სურნელოვანი მიხაკის ესენციით აზავებენ. იგივე „შოტლანდიური არაყია“ მისტერ უორდელის საშობაო ამბის მთავარი გმირი, რომელმაც გაბრიელ გრაბის ხილვებამდე მიგვიყვანა. ერთხელ, საშობაოდ, საფლავის თხრისგან გრაბი „შოტლანდიური არაყით“ შეისვენებს, ამოადგრობს თავის მოწონულ მათარას და გადაჰკრავს. თან ხუმრობს, „კუბო საშობაოდ, საშო-

ბო საჩუქრად! ჰა ჰა ჰა!“ მალე ავიწილდნარკადდება, რომელიც ცოტათი გაკვირვებულიც კია, გრაბი მარტო რომ სვამს ჯინს ღამით, სასაფლაოზე თანაც შობის ღამეს. შემდეგ სხვა სულებიც გამოჩნდებიან და მესაფლავებს რალაც ცეცხლოვან სასმელს ასმევენ ძალით. ამბავს შემდეგი „სიბრძნე“ აგვირგვინებს: „თუ ადამიანი შობის საღამოს მოილუშება, მარტოდმარტო დაიწყებს სმას, იგი, შესაძლოა, თვითონვე დარწმუნდეს, რომ უზასიათობა მას სიკეთეს არასოდეს მოუტანს, სულელობა კიდევაც რომ თავს იდონ მისი გამოსწორება, მით უფრო, რომ საერთოდ ძნელი დასაჯერებელია ისეთი სულების არსებობა, როგორიც გაბრიელ გრაბმა გამოქცაბულში ნახა“.

ჯინს ასევე ყიდიან ფლიტის ციხეში, სადაც მისტერ პიკნიკი იხდის სასჯელს, თუმცა ციხეში მაგარი სასმელი აკრძალულია და მხოლოდ კონტრაბანდის სახით აღწევს. ასევე უნდა გავისენოთ ლოთობასთან ბრძოლის ებენიზერის გაერთიანებული საზოგადოების ბრიკლინის განყოფილების კომიტეტის მიერ დასახელებული ერთი სასმელიც, სახელწოდებით „ძაღლისცხვირა“ (dog's nose), რომელიც ჯინის, შემთბარი პორტერის, შაქრის ვაჟინისა და ჯავზის შერევით მზადდებოდა.

ვისკი ერთი-ორჯერაა ნახსენები რომანში და აქაც მოჩვენებების, ლანდების და ავი სულების კონტესტში, სამაგიეროდ რომს უფრო ხშირად შევეხვებით. ზემოთაც იყო და აქაც ვახსენებ ანანასის რომს, რომელიც დიდი რაოდენობით ისმება „პიკნიკის კლუბის ჩანანერებში“. ძირითადად მისტერ სტიგინზი ურტყამს. 3 პენისს რომს უკვეთავს დარცხენილი ვეკილი მისტერ პელი, რომელსაც ვითომ არ ჩვევია დილადრიან სმა, მაგრამ მაინც ვერ ამბობს უარს ცდუნებაზე (მალე ამ ჭიქას მეორეც მოჰყვება და შესაძლოა მესამეც, ზუსტად არ მახსოვს) კიდევ ერთი სცენაა, ჩართული ამბავიდან, სადა ვინმე მრისხანე მისტერ სლერკს გროგს სთავაზობენ და იგი პრინციპულად, მხოლოდ რომს უკვეთავს.

ახლა შედარებით მსუბუქ სასმელსაც მივხედო და ელვსა და ლუდებს მივაკითხოთ. აქ რამდენიმე სტილის ლუდი ისმება, ძირითადად კი ელვები, სტაუტები და პორტერები. პიკნიკისტები მგზავრობისას (კერძოდ ცხენების გამოცვლისას) აუცილებლად ჩაუფენენ ხოლმე ელს. ბევრი ლუდია კრიკეტის თამაშისასაც: „ლუდი ზღვრასავით... კასრებით. ხორცი გორებად... მთელ-მთელი ძროხები და ხორები... მლოგვი ურმებით...“. შესანიშნავია ფლიტის ციხეში პორტერის სმის სცენა. სემი გაიფიქრებს რომ ერთი პინტა პორტერი სუფთა ჰაერზე უფრო კარგად გამატარებინებს დროს, ვიდრე სხვა გასართობი, რაზეც ხელი მიიმიდებოდა და ციხის დუქანში შევა, აიღებს პორტერს, სამი დღის გაზეთს, დადგება კეგლის სათამაშო მოედანს და თანმიმდევრულად დაიწყებს დროსტარებას. სცენა პანტომიმასავითაა ან ბეკეტის რომელიმე უსიტყვო პიესასავით:

„უბრერეკეს ყოვლისა, მან ამ გამაგრილებელ ხალისის მომგვრელი ლუდის ერთ ყლოუს ყელში გადაუძახა, შემდეგ ფანჯარას ახედა და ლუდის, რ-

მელიც იქვე იდგა და კარტოფილს თლიდა, თვალი ჩაუკრა. შემდეგ გაზეთი გაშალა, უნდოდა ისე გადაეცემა, რომ სასამართლო ქრონიკა წაეკითხა, მაგრამ ეს ძნელი და ფრიალ გამაღიზიანებელი საქმეა, როცა ნიაგი ოდნავ მაინც ქრის. ამიტომაც, გადაეცემა თუ არა გაზეთი, მაშინვე კიდევ ერთი ყლუპი ლუდი გადაკრა, ორიოდ სტრიქონი წაიკითხა და გაჩერდა. ახლა ამ ორ კაცს გადახედა, რომლებიც მოედანზე თამაშს უკვე ათავენდნენ და დაამთავრეს თუ არა, სემმა მოწონების ნიშნად გამამხნეველად დაიძახა: „ძალიან კარგიაო“, თანაც აქეთ-იქით მაყურებლებს გადახედა, თუ მეთანხმებიანო. ამან გამოიწვია მალა ფანჯრებისკენ ახედვის აუცილებლობაც. რაკი ის ახალგაზრდა ლედი ჯერ კიდევ იქ იდგა, ბოლოს და ბოლოს, უბრალო თავაზიანობა მოითხოვდა, ერთხელ კიდევ თვალი ჩაეკრა მისთვის და მუნჯურად კიდევ ერთი ყლუპი ლუდით მისი სადღეგრძელო დაეღლია;...

ლუდს, როგორც უებარ საშუალებას მიმართავს სემი გამხდარი და გაღუული ჯობ ტროტერის აზრზე მოსაყვანად და მოსალონეებლად. ძალით წაათრევს სალუდემი, შეუკვეთავს პორტერს და ამბობს: „აბა, გამოცალეთ და ჭიქაც გადმოაპირქვევით. მინდა დავინახო, როგორ მიიღებთ წამალს“.

სემი კიდევ ბერგან ასწევს ელიან ჭიქას, ხან მაიმოსთან ერთად, ხანაც მარტო ან სხვა ვინმე თანამეინახებთან, თუმცა ყველაზე დასამახსოვრებელი სცენა მაინც ისაა, თავისი ბატონის ციხიდან გათავისუფლების აღსანიშნავად მთელ დანაშოგს 25 გალონ (100 ლიტრზე მეტია) პორტერში რომ დახარჯავს და ყველა პატიმარს დაპატიჟებს ლუდის ამ დღესასწაულზე.

გადავიდეთ ღვინოზე, რომელიც უფრო მეტად სადღესასწაულო შეხვედრებთანაა დაკავშირებული, თუმცა ხანდახან ღვინო საკმაოდ უცნაურ კონტექსტშიც გვხვდება. ღვინოში ძირითადად ან ბოროლს კლარეტი იგულისხმება ან პორტვინი, თუმცა გვხვდება ხერესებიც და ცქრილა ღვინოებიც.

კრიკეტისტებთან სადილზე პიკიკისტები ძველისძველ პორტვინის და კლარეტს სვამენ, რის შემდეგაც გაგრძელება მოუწდებათ და თავიანთ მასპინძელთან დაბრუნებულები კიდევ ერთ ბოთლს მოითხოვენ.

ღვინოს წრუპავენ მისი ბერძლი (მისტერ პიკიკის მასპინძელი და მომჩივანი) და მისი „დაქალები“ სემ უელერთან ერთად, როცა იგი ბერძლი-პიკიკის საქმეზე ეწვევა მას. ღვინოს (კლარეტს) სვამს ბრისტოლელი მეცნიერი „ფილოსოფიური ხასიათის“ ტრაქტატის წერისას. იქვე უდგას მოზრდილი ბოთლი, ისხამს, სვამს და „შთაფონების მომლოდინე ხან იატაკზე გაფენილ ხალიჩას დააჩერდებოდა ხოლმე, ხან ჭერსა და კედლებს შეჰყურებდა“. კლარეტია რომანის ფინალური სცენის სანაძილოს თავიანთი, კერძოდ, 6 ბოთლი კლარეტი, რომელიც ეცოტავენბათ და საბოლოოდ 12 ბოთლზე დანაძილედებიან.

ღვინო ციხეშიც ისმება, ფლიტში. პიკიკი მარტო გრძნობს თავს ციხეში და ფიქრობს ერთ ბოთლს ღვინოზე, რითაც უცებ მოიპოვებდა მეგობარ პატიმრებს. ბოლოს ხერესს იშოვიან და ხერესით იწყებენ

ბენ გაცნობას. ამავე ციხეშია ე.წ. „სასტვენი დუქანიც“, სადაც ეს ღვინოები იყიდება.

პირველი ღვინო, რომელიც რომანში გამოჩნდება, თუ არ ვცდები პორტვინია. იგი ტკბილულთან ერთად შემოდის. შემდეგ შაქრითა და ლიმონით გაზავებულ პორტვინის, ე.წ. ნიგესს (negus) ვხვდებით, რომელსაც სხვაგან ბიოპასაც უწოდებენ.

ნიგნში პორტვინის და ხერესის ფასებსაც კი ვხვდებით. ერთგან ძველებური პორტვინი ერთი შილინგი და ცხრა პენსი ღირს, აღმოსავლეთიდური ხერესი კი გაცილებით იაფი, თოთხმეტი პენსი.

გარდა ამისა, თუ არ ვცდები, მხოლოდ ერთი ორჯერაა ნახსენები მადერა და შამპანური, რომელშიც ყოველგვარ უსიამოვნო მოგონებას ახრჩობენ.


სხვათა შორის, უსიამოვნო მოგონებები ბარაქიან სუფრასთანაც ადგილად ქრება. ამ რომანის საუზმეები, სადილები თუ ვახშმები ასეთი ამბების დავინწყების ადგილია, სამაგიეროდ სუფრის წევრებს ბევრი სხვა, საინტერესო ამბავი შეიძლება გაახსენდეთ და სადღეგრძელოებს შორის თხრობითაც შეიქცეონ თავი.

საუზმეები, სადილები, ვახშმები

საუზმე ჩვენს ნიგნში, როგორც ნესი, ნოყიერია და მას ავტორი შიგადაშიგ მაცდუნებლაც უწოდებს. სუფრა განყოფილია შემწვარი ლორით, კვერცხით, სვამენ ჩაის, ყავას და სხვადასხვა ალკოჰოლურ სასმელს. აქ შეხვდებით ქონით დატენილ ცივად მოხარშულ ქათამსა და მრავალ სხვა კერძს. ბოროუს ბაზრობაზე სავაჭროდ ჩამოსული გადაღლილი ფერმერის მსუბუქი საუზმე 2 გირვანქა ცივად მოხარშული ძროხის ხორცი და ერთი-ორი ჭიქა პორტვინია. იგი მცირე სასტუმროში დაბინავდა და დილას ამით იმაგრებს გულს.

საუზმის მოლოდინში ყველა ფეხზლად და მხიარულადაა. სემ უელერი განსაკუთრებული ხალისით ალაგებს ხორავს თავისი ბატონისთვის, ამოიღებს კალათიდან ხბოს ღვეხელს, დიდის ამბით დადებს ბალახზე და ხოტბას შეასხამს მის შემოქმედს, მანდილოსანს, ვინც სხვებსავით კატის კი არა, ხბოს ხორცისგან მოამზადა ეს კერძი. როგორ თუ კატისგან? იკითხავთ თქვენ. იგივე კითხვა გაუჩნდება მისტერ პიკიკსაც. ამაზე სემი ერთი ისტორიით უპასუხებს, სადაც მისი ნაცნობი მზარეული ლამის ყველა კერძს (ბიფშტექსს, მოტაფულ თირკმელებს, ცხვრის და ხბოს შეჭამანდებს), ყველაფერს კატისგან ამზადებდა. შემდეგ ენის ჯერი დგება, რომელიც მშვენიერი საქმელია, თუკი „ქალისა არ არის“. ბალახზე დაიდება პური და სხვა დანარჩენი ნუგბარი და რაც მთავარია, თიხის დოქებით, ლუდი და ცივი პუნში ჩაიდგმება. სუფრის გაშლას ისევ სემის სიტყვები აგვირგვინებს: „ასე მიმართეს ინგლისელებმა ფრანგებს და ხიშტებით ერთიმეორეს შეებნენ“.

საუზმეს ხან ხის ძირას შლიან, სუფთა ჰაერზე, ხანაც სასადილო ოთახში, ხშირია საუზმეები მოგზაურობისას, სასტუმროებსა თუ სამიკიტნოებში და რაც მთავარია, მსუყედ საუზმობენ ხანგრძლივი მგზავრობის წინ. ლონდონში გამგზავრებამდე მის-



ტერ უელერი (სემის მამა) ცივად მოხარშული ხორცის ნაჭერს უტრიალებს, კარგა მოზრდილ პურის ნაჭერთან ერთად და იქვე ერთი დოქი ელიც უდგას, რომელსაც მალე მოულოდნელად შემოხეტებული ვაჟი დაუღევს და მამის ულუფა ხორცსაც დააყოლებს ზედ. უფროსი უელერი კიდეც ერთ პინტს მოითხოვს, ორ მესამედს შთანთქავს და დანარჩენს გაუს გადასცემს, ჩასამთავრებლად.

ელთან ერთად მადერასაც მიირთმევენ საუზმეზე, მეორე წიგნის ბოლოსკენ, სასტუმრო „ზარში“. თან პუნშის მათარასაც გაავსებენ და გზას გაუყვებიან. სადილად ტიუესბერის სასტუმროსთან ჩერდებიან, სადაც ასევე ბლომად შთაინთქმება ელი და მადერა. ისმება პორტვინიც. კიდეც ერთხელ შეიგსება მათარა პუნშით და კიდეც ერთხელ გააგრძელებენ გზას, სანამ დიდი სამრეწველო ქალაქი ბირმინგემი არ გამოჩნდება.

დგება სადილის დროც, აქ კი მწერლისა და პერსონაჟების მადა და ფანტაზია კიდეც უფრო მძაფრდება. რომანი ერთ-ერთ ასეთ სადილზე მიპატიჟებით იწყება, ასეცნებენ შემწვარ ქათამს სოკოთა და ჩვენც ვაგრძელებთ კითხვას სადილის მოლოდინში. ერთი-ორი გვერდის შემდეგ ირკვევა, რომ ქვაბში ზღვის ენა იხარშება, ჩვენთან რომ ხშირად ქამბალაში ერევათ და რომელიც თურმე ლონდონიდან ჩაჰქონდათ პროვინციებში ეტლების მეპატრონეებს. სადილს უხვი „ჩაფენა“ უძღვის წინ სადღეგრძელოებსაც ამბობენ და ამ დროს შემოდის სადილი. მას როგორც წესი სადილის შემდგომ განცხრომა მოჰყვება, ხილითა და პორტვინით ასხვა მისაყოლებლით. ღვინის ბოთლი ხელიდან ხელში გადადის და ცდილობენ არასდროს მოცდეს ბოთლი: „ერთიც შემოვატაროთ... ჭიქა შეავსეთ და ბოთლი გადმომანოდეთ სერ!... მზის მიმართულებით.



ქობა არ ჩატოვოთ...“ - გაისმის სუფრასთან. შეზარხოშებულები ხუმრობის ხასიათზეც დგებიან. ერთმანეთი შეიძლება ჩასუქებულ, ჩამრგვალებულ, კასრიდან გადმობრძანებულ ბახუსს შეადარონ, ფოთლოვან გვირგვინჩამოცლილსა და მაუდში გამონყობილს.

სადილები იმართება სხვადასხვა კლუბში, პოლიტიკურ თუ რელიგიურ შეკრებებზე, პროფესიულ ჯგუფებში. კრიკეტისტებთან, როგორც ზემოთაც ითქვა, ძველი პორტვინი, საუცხოო სიმღერები და კლარეტია, თევზით. იურისტები სხვანაირად სადილობენ, განსხვავებული მოლხენა იციან ფლიტის ციხეში.

სადილობისას ოთახიდან ახლადანყობილი როიალისა და შეუწყობელი სიმღერის ხმა მოისმის, შესასვლელსა და კიბეს კი შემწვარი ხორცის გამაბრუნებელი სურნელი ეფინება. თუკი ხასიათზე ვერ არიან, სადილს აგვიანებენ, თუმცა საკმარისია სევდის სიმწვავე შენელდეს, რომ ადრიაინი სადილიც შეიძლება მიირთვან, რომელსაც აუცილებლად მოჰყვება ნამდვილი, საფუძვლიანი სადილი - ოთახის შუაში „ქათამთა სუფრაგადაფარებული მაგიდა შებრაწული ქათმებით, ღორით, სასმელით და სხვა ამგვარი სანოვავით“ იზიქება.

მისტერ პიკვიკის მსახურს, სემ უელერს ეკუთვნის ასეთი სიბრძნე: „ადრე რომ ვსადილობ ვახშამსაც უკეთ ვინებო“. თავად მისტერ პიკვიკმა კი სადილის უკეთ მოსანელებლად შეიძლება აბრეშუმის ხელსახოციც გაიკრას შუბლზე, სავარძელში განცხრომით გადაწვეს და ფეხები ბუხრის რიკულზე შეაწყოს პორტვინით გაბუფებულმა.

ციხის სადილია აღწერილი XLIV თავში, სადაც სამ საათზე სემს ცხვრის შემწვარი ბარკალი და უზარმაზარი თევზით პასტეტი შემოაქვს, რომელიც იქვე, ციხის სამზარეულოშია მომზადებული და რომელსაც ლუდით სავსე ტოლჩები და 6 ბოთლი საუცხოო ღვინოც მოჰყვება. შემდეგ ჩაისაც სვამენ და მანამ ნებივრობენ, სანამ ციხის ზარის ხმა არ გაისმება.

სადილის მომზადებას ხან მთელი დღე უნდებოდა, ხანაც სახელდახელოდ, რამდენიმე წუთში შლიან სუფრას, როგორც მაგალითად სასტუმროში „სარკინოზის თავი“: უცებ გამოიტანენ ქათამსა და ხბოს ხორცის კატელეტებს, ფრანგულ მუხუდოს, კარტოფილს, ტორტს და რაც მთავარია, კეთილ გულს. ხო მართლაც, ბარაქიანი სადილის შემდეგ ხშირად ლაქები მიადგებიან ნარჩენებს და ისინიც ილხენენ.

იგივე ხდება ვახშმობის შემდეგაც, უბრალოდ ვახშამი ზოგჯერ ღამისთევამდე შეიძლება გადაიზარდოს. ვახშამი წმინდათაწმიდა რამაა, მას, როგორც მისტერ უორდლი ამბობს IX თავში, არავის გამო არ დაგვიანებენ, არადა მისტერ უორდლის დას, რეიჩელს და მისტერ ჯინგლს, რომანის მთავარ უარყოფით გმირს ელოდება ყველა. ისინი ცოტა ხნის წინ გაიპარნენ. სუფრის ნევრებმა ეს ჯერ არ იციან, შემოდის ძროხის შესანიშნავად შემწვარი ხორცი, მისტერ პიკვიკი მოზრდილ ნაჭერს გადაი-

ლებს, ჩანგალს მოიმარჯვებს, პირსაც დააღებს და უცებ ყველაფერს ფარდა ახედება. ვახშმის ნაცვლად, დევნა იწყება.

ვახშმის გამო ყველაფერი წყდება, თამაშები, საუბარი, პროვინციული გაზეთიდან ამოკრებილი მარგალიტების გამომზეურება. ხანდახან ვახშამი უბრალოა, მაგრამ ნოყიერი და როცა მთელი საზოგადოება ბუხრის წინ იყრის თავს, ბედნიერებისა და სიმაძღრის ნამდვილი დღესასწაული იწყება, სადაც მისტერ პიკვიკს ასეთი სიტყვებიც კი წამოცდება: „არასოდეს ასე ბედნიერად არ მიგრძენია თავი და, თუმცა სწრაფად წარმავალი, მაგრამ მეტად საამო წუთებით ასე გულით არ მომილხენია“.

ვახშმობისას მეკობრის ფორმაში გამონყოფილი მისტერ ტაშმენი შეიძლება ასთაკვის სალაითი ხელში მიადგეს ხნიერ მანდილოსნებს, თავის მხრივ ხნიერი მანდილოსნები კი, მისი ბერდლის თამადობით, ნოყიერ ვახშამს (ღორის მოხრაკული ფეხები და ჰოლანდიურ ლუმელში შემწვარი ყველი) ტკბილ ჩაის აყოლებენ. სხვათა შორის, ეს კონკრეტული ქალბატონები ისეთი მაღიანები აღმოჩნდნენ, რომ ძვლებიც კი არ გადარჩენიან, ლაქებისთვის.

დიკენსი საშობაო ვახშმების გარეშე წარმოუდგენელია, ამიტომ ისინიც ვაგისხენოთ. არ რომანის მთავარ საშობაო სცენაში ჯერ კუკუდამალობანას თამაშობენ მოზიემები, შემდეგ კიდევ ერთ საშობაო თამაშს წამოიწყებენ, „სნეპ დრეგონს“ (Snapdragon - თავისუფლად რომ მოვთარგმნოთ, აღრენილი დრაკონი), რომლის არსიც შემდეგში მდგომარეობს: ფაილაზე ან ჯამში ასხამენ ბერნდის, ცეცხლს უკიდებენ და იქ ჩაყრილ ქიშმიშებს და შაქარყინულებს იღებენ. ამ დროს, როგორც ნესი, ხელებს იწვავენ ხოლმე და დიკენსთანაც, თითებდათუთულნი მიუჯდებიან საშობაო ვახშამს. იქვე ცეცხლზე უზარმაზარი სპილენძის ქვაბი დგას. მასში კობტად შებრანული ვაშლები შიშხინებენ. სვამენ უოსელს, ტრადიციულ საშობაო სასმელს - დამტკბარი ელია, შიგნით შებრანული ვაშლებია ჩაყრილი და ჯავზითა და სხვა რამეებითა შეკმაზული. უოსელზე შევტიც წერდა, რომ ეს სახელი ერთ საქსონელ ქალს უკავშირდება, ვინც თურმე ბრიტების მეფეს დახვდა ჩვენი ქართლის დედასავით, ჯამით ხელში, სიტყვებით wass-heil (დიკენსთან - wassail), რაც ნიშნავს, „გავიმარჯოს“. სცენის ბოლოსკენ მასპინძელი, მისტერ უორდლი დაიძახებს: „სასმისები შეავსეთ! ნახეთ, ეს ჯამები ისეთი დიდია, რომ კარგა ხანი გავა, ვიდრე სქელი უოსელიდან ფსკერი გამოჩნდებოდეს. ახლავე სიმღერასაც მოგართმევთ“, და იწყება საშობაო სიმღერა, უოსელით სავსე თასს კი სუფრაზე ჩამოატარებენ, თანაც არაერთხელ.

ასე ვახშმობენ დიდ ოჯახებში, განსხვავებით ორი უცოლო, ნაქირავებში მცხოვრები მამაკაცის მიერ მონყოფილი ვახშმისგან. ისინი იძულებული არიან ჯერ მსახური ქალი გააღვიძონ, რომელსაც სამზარეულოს მაგიდაზე ჩამოუდია თავი და ძინავს, შემდეგ ამ მსახურს უხსნიან, რა უნდა გააკეთოს და რაც მთავარია, „კაცი, რომელსაც ლოკოკინები? შე-

უკვეთეს, არ გააფრთხილეს, რომ ისინი იქვე, დუქანში გაეხსნათ და ისე მოეტანათ სუფრაზე. პოდა მოგვხსენებთ, რა ძნელია მათი გახსნა ჩვეულებრივი დანიიდან ან ორწვერა ჩანგლით!"

დიკენსი აგრძელებს: „ამიტომ ლოკოკინები (ხამანკები) ბევრმა ვერც იცემა. ძროხის ხორციც ყველას არ ეყო და არც ლორი, რომელიც იქვე მახლობლად ძეხვით მოვაჭრე გერმანელთა დუქანში იყიდეს. სამაგიეროდ, თითბრის ჯამში უხვად ჩაესხათ ლუდი და ასევე დიდი წარმატება ხვდა ყველს, რადგან გემოთი ძალიან მარტივად აღმოჩნდა... საბოლოო ჯამში, ვახშამი ჩინებული გამოვიდა". ვახშმის შემდეგ სიგარები და მაგარი სასმელიც შემოდის, რომელსაც სასმისებთან დაკავშირებული პრობლემები მოჰყვება (ასეთი გასაქირავებელი ბინებში მაშინდელ ლონდონში ყოველთვის ჭირდა საკმარისი რაოდენობის სასმისის პოვნა).

პროვინციაში ვახშმის მოსაწვევში შეიძლება შეცდომებიც ერიოს და ამაზე დიკენსი კარგად ხუმრობს. მაგ. სემ უელერს საღამოს წვეულებაზე (Soiree) პატივებენ და ასეთ წერილს უგზავნიან: „ქალაქ ბათის მსახურთა რჩეული საზოგადოება გულითადად მიესალმება მისტერ უელერს და უმორჩილესად სთხოვს, რომ მან პატივი დასდოს მათ საზოგადოებას და ეწვიოს მეგობრულ სვარზე (swarry), რომელიც შედგება ცხვრის მოხარშული ბარკლისაგან, ჩვეულებრივი გარნირით. სვარე სუფრაზე იქნება ზუსტად ათის ნახევარზე“.

წერილის ხმაძალად ნაკითხვას სემის ხუმრობა მოჰყვება: „ჩემმა მზემ, აქამდე არც გამოიგონია, რომ ცხვრის მოხარშულ ბარკალს სვარეს ეძახდნენ, ეს თუ ასეა, ნეტავ შემწვარს რაღას დაარქმევენ?“.

„სუარეს“ კი ასე აღწერს ავტორი:

„ოთახის შუაგულში მიჯრით იდგა ორი მაგიდა, რომელსაც სამი თუ ოთხი სუფრა, აშკარად სხვადასხვა დროს შეძენილი და სხვადასხვა დროს გარეცხილი, ისე ეფარა სიგრძეზე, თითქოს ერთი მთლიანია... სუფრაზე ეწყო დანები და ჩანგლები შვიდ თუ რვა კაცზე. ზოგი დანის ტარში მწვანე იყო, ზოგის ნიითელი, ზოგის ყვითელი; ჩანგლები კი ყველა შავი იყო და ამიტომ ფერთა ასეთი შეხამება ნარუშულელ შთაბეჭდილებას ტოვებდა მაყურებელზე. თევშები... ზუზრის რიკულის უკან შრებოდა. მის წინ კი თვით სტუმრები თებობდნენ“.

იწყება „სვარე“, შემოაქვთ ცივად მოხარშული ცხვრის ბარკალი კაპარის სოუსით (caper sauce ქართულ თარგმანში, რატიმლა, ჯონჯოლად გადმოიტანეს), თალგამით (turnip ხილად თარგმნეს) და კარტოფლით. ბოლოს კი ყველა თავის საყვარელ სასმელს იღებს, ზოგი ცივ, ზოგი ღრუბს (Schrub - რომი ან ბრენდი შაქრით, წყლითა და ციტრუსით), სხვები კი შეზავებულ ჯინს ან პუნშს.

ბოკვერა და მემთვრალენი

დიკენსის სამზარეულოები ერთმანეთს ჰგავს. აქ აუცილებლად უზარმაზარი ზუზარი. იატაკი ხშირად ნიითელი ავჯირთაა მოგებული, ჭერზე ჰკიდია ლორი, ხახვის სახმულები. ზუზრის თავზე ხან სარკეა, ხანაც საათი. თაროებზე წილით სავსე დერ-

გებია, ოქროსიარლიყებიანი მწვანე ზოლები, მურაბის ქოლები, ყველის თავები, სუფრის გაშლამდე კი თაროებს ცივად მოხარშული ღორის ბარკლები და შემწვარი ხორცი ეკავებს. სამზარეულოს კედლებზე სხვადასხვა ნივთსაც ჰკიდებენ - შოლტს, ალირს, უნაგირს, დაშნას, ხმალს ან სულაც ძველ თაძველ მუშკეტს.

სამზარეულო და ზუზარი ზამთარშია კარგი, ზაფხულში კი ყველას გარეთ მიუწევს გული. პიკნიკები პიკიკელების (და მათ გარშემო შემოკრებილ გმირების) საყვარელი საქმიანობაა. დაამაგრებენ ეტლის ბოლოს ხორავით სავსე კალათას, რომელიც თავდახურულია და მოშივებულ მოპიკნიკეებში წარმოსხვას აძლიერებს, ფიქრებს აღძრავს - ცივად მოხარშული ქათმის, შემწვარი ენისა და ღვინის შესახებ. ღვინოს ხანდახან ეტლის კოფოზევე სვამენ, იკვლევენ მტრედის პაშტეტის შემადგენლობას, აფასებენ ამათუმი კერძს. პირველი პიკნიკის სცენაში გამოდის ასპარეზზე „ლაჟღაჟა, ლოყებგაფუებული ყმანელი“, მეტსახელად ბოკვერა, უორდლების მსახური, რომელიც შემდეგ მთელი რომანის განმავლობაში გაივლევს ხოლმე და ძალიან ართობს მკითხველს. ბოკვერა სიყვარულით მისჩერებია მსუქან ყვერულს (და კოდლიო მამალა), რომელთან დაშორებაც ძალიან უმძიმს. იგი პატრონის შეძახილს ოხვრით პასუხობს და გულდამწვარი კიდევ ერთხელ დახედავს ჩასუქებულ ფრინველს. დარდი დიხანს არ გრძელდება, სულ მალე ბოკვერა ხორცის ღვეზელს დაითრევს და ცოტათი გულზეც მოეშება.

ბოკვერას ძილი უყვარს. ფეხზე მდგარსაც კი სძინავს და ყველანი დღენიდან მის გაღვიძებაში არიან. ამის გამო მას ხშირად დაცინიან, პატრონი ეუბნება, რომ ამაყობს მისით და არაფრის დიდებით თავიდან არ მიმოშრებს: „საოცრებაა, ნამდვილი საოცრება!“ ამ დროს კი ბოკვერა თავალებს იფშენებს, ყლაპავს ღვეზელის ვეფხერთელა ლუკმას, რომელსაც ჩაძინებისას ღეჭავდა და მისტერ უორდლის ბრძანების შესრულებას იწყებს, თევშებს ალაგებს და კალათაში აწყობს, თან ხარბად შეექცევა ნადიმის წარჩენებს.

ბოკვერას სახეს დიკენსი ბევრი სასაცილო დეტალით ავსებს. მაგ. როცა იგი თანხმობის ნიშნად ან რაიმეს დასაბუთებლად თავს აქიცინებს, მსუქანი ლოყები ბლომანყესავით უთამაშებს (blanc-mange like motion to his fat cheeks). როგორც კი დროს მოიხელთებს, აუცილებლად რაღაცას კბენს, ღეჭავს და ყლაპავს. თუკი დაასაქმებენ, „ნაღვლანრევი სიხარულით ზევრავს დანებისა და ჩანგლების ტრიალს და საუკეთესო ნაჭერების მოგზაურობას სინებიდან პირდაპირ სტუმრების პირში“. ჩაფიქრებულს მხოლოდ მაშინ ელიმება, როდესაც შემწვარი ბარკალი და გემრიელი საწებელი მოაგონდება. ხანდახან ბოკვერა საკმაოდ მოხერხებულიცაა, განსაკუთრებით მაშინ, როცა მისი პატრონი ზურგით მოუტრიალდება ან ყურადღებას მოაღწევს. ბოკვერა წაშლი ითვისებს და ბოლომდე ანადგურებს რაც კი ხელში მოხვდება, ღვეზელიდან დანყებულ - სხვა კერძებით დამთავრებული. ვერაფერი შეედრება სემისა და ბოკვერას გაბაასებებს, სადაც სემის უბასრესი იუმორი ბატონობს ყველაფერზე. იგი ხან სას-

მელზე პატივებს ბოკერას, ხან მისაყოლებელს გამოუჩენს რამეს და თან გაეხუმრება კიდეც.

სემისგან ხშირად სიბრძნეებსაც გაიგონებთ ან უბრალოდ, გასტრონომიული შინაარსის მოსწრებულ გამოვლით. მაგ. ერთხელ შეეკითხებოდა, ძალიან დაკავებული ხართ? რაზეც სემი უპასუხებს, რომ ყელამდე საქმეშია, თუმცა არაფერი უჭირს, გაკოტრებით არ გაკოტრდება და გამდიდრებითაც არ გამდიდრდება, „მოხარშულ ცხვრის ხორცს კაპარის გარემოც კარგად გეახლებით და თუ ძროხის ხორცი გვაქვს, პირშუშას აღარ დავუძებთ“-ო.

ასეთი სიბრძნეების გარდა სადღერძელოებასაც შეხედებით რომანში. ისინი ხან გარკვეულ წესრიგს ქვემდებარებიან, ზოგჯერ კი სრული თავისუფლებით წარმოითქმებიან. დღევანდელი სიტყვების თავის მოსაქონადაც ამბობენ და გულახდილადაც. მაგალითად, თაღლითი მისტერ ჯინგლი გაცნობისას ჯერ თითოეული პიკიკელის სადღერძელოს ცალ-ცალკე ამბობს, შემდეგ კი ყველას ერთად ლოცავს. აქ ასევე უყვართ მხიარული სადღერძელოები, განსაკუთრებით, როცა რამეს აღნიშნავენ, დღესასწაულობენ, შობა ღამეს კი სადღერძელოებს ბოლო არ უჩანს: მთავარ საშობაო ნაძიმზე მისტერ პიკიკის გრძელი სიტყვის შემდეგ მისტერ უელერი თავად პიკიკის ადღერძელებს, შემდეგ პიკიკი მცოვანი მანდილოსნების სადღერძელოს შესვას, „მისტერ სნოდგრასმა მისტერ უორდლს უსურვა დღევანდელი და მისტერ უორდლმა, რაღა თქმა უნდა, სამაგიერო გადაუხადა. ერთ-ერთმა ღარიბმა ნათესავმა მისტერ ტაპმენი ადღერძელო, ხოლო დანარჩენმა ღარიბმა ნათესავებმა - მისტერ უინკლი. ყველა იღებდა, ყველა ბედნიერად გრძნობდა თავს. მხოლოდ მაშინ, როდესაც ორი ღარიბი ნათესავი საიდუმლოდ გაქრა მაგიდის ქვეშ, მხოლოდ მაშინ გაახსენდათ სტუმარ-მასპინძლებს, რომ ქეიფის მოთავეების დროც დამდგარიყო“.

მაგიდის ქვეშ გაუჩინარებაზე გამახსენდა. „პიკიკის კლუბის ჩანაწერებში“ მხოლოდ ხასიათზე მოსასვლელად არ სვამენ, არამედ თრობისთვის. ხანდახან ძლიერი, მაგარი თრობისთვისაც. აი როგორაა აღწერილი თრობის ერთ-ერთი პირველი სცენა რომანში:

„ღვინო, რომელმაც მისტერ სნოდგრასზე და მისტერ უინკლზე ძილისმოძვერელი ძალა გამოიჩინა, ეტყობა, მისტერ პიკიკისაც შეუფდა თავში. თანდათანობით მან განვლო ყველა საფეხური, რომელიც წინ უსწრებს ნოეიერი სადილისაგან გამოწვეულ ლეთარგიას. ნეტარების მაღალი მწვერულიდან იგი ნელ-ნელა სასონარკვეთის უფსკრულში დაეშვა და სასონარკვეთის უფსკრულიდან კვლავ ნეტარების მწვერულზე აფრინდა. ქუჩის ფარანივით, რომელიც ქარის ნაშოქროლაზე ნამიერად იღვებს, მისტერ პიკიკიც, უეცრად მჭევრმეტყველ ქადაგად იქცა, ცეცხლივით აენთო; შემდეგ ერთბაშად შუქი მოაკლდა - ბრწყინვალე ქადაგება გაუფარულ ლულულში გადაუვიდა; ოდნავ შეყოვნება და იგი კვლავ გაჩაღდა, შემდეგ კვლავ შეტორტმანდა და ჩაბჟუტა და საბოლოოდ ჩაქრა; თავი განიერ მკერ-

დზე ჩამოუვარდა და ამიერიდან ამ დიდსულოვანი ადამიანის არსებობაზე მხოლოდ გახსენებული, დროდადრო ხუთვანრევი ხვრინვალა ღალატებდა“.

სიმთვრალის პერიოდი ხშირად არ ახსოვთ, არ ახსოვთ, რომ ტანსაცმელი გამოიცვალეს, არ ახსოვთ ვის გამოელაპარაკენ ქუჩაში. იქნებ შეურაცხყოფაც მიაყენეს ვინმეს? სიმთვრალეში აქტიურ არშეიყობას იწყებენ - „ჩემი ჭიკიდან მიერთვით ჩემო ცუგრუმელავ, თქვენი ლამაზი ტუჩები ამ ჭიქის პირს მიაღეთ და მაშინ ამ შუამავლის მეოხებით საშუალება მომცემია, გეამბოროთ“.

აქვე შეხედებით გალოთებულ ღვთისმსახურებს, ყოფილებსაც და მოქმედებსაც. ერთ-ერთი მისტერ სტიგინზია, ზემოთაც რომ ვახსენეთ. ბოზ სოიერი ერთ-ერთი ყველაზე ალკოჰოლდამოკიდებული გმირია „პიკიკის კლუბის ჩანაწერებში“. ერთ სცენაში იგი ეტლის სახურავზეა ნამომჯდარი. ცალ ხელში ვეებერთელა სენდვიჩი უჭირავს, მეორეში კი ბარაქიანი მათარა. ჩაბეჩს - მოიყუდებს, ჩაბეჩს - მოიყუდებს, თან „ერთფეროვნების თავიდან ასაცილებლად“ (დიდება დიკენსს) დროდადრო კივის. მასთან ერთად „უბერავენ“ მამა-შვილი უფლებებიც. ზემოთნახსენები მათარა მომდევნო რამდენიმე გვერდის მთავარი გმირია. ვინ არ მოიყუდებს მას, რა სადღერძელოს არ იტყვიან. თან დაზუსტებით ისიც არ იცინ, რა ასხია შიგ. მარჩიელობენ, აჭაშნიკებენ, ტუჩებს აცმაცუნებენ, ცდილობენ გამოაცონონ.

პაბები და სამართლის მადა

რომანში ათეულობით პაბი და დუქანია ნახსენები: „გვირგვინი“ მაგლტონში (სენდვიჩები სარდალა თევზით, პილპილმოყრილი შემწვარი თირკმლები), „ლურჯი ლომი“, „თეთრი ირემი“ („სადაც ლაქები უესტმინსტერის სკოლის შევირდებს შვანან, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ უფრო უკეთ უჭირავთ თავი“), „ფარშავანი“, სასტუმრო „მარკიზი გრანზი“ (სემის დედინაცვლის საკუთრება), „ჯორჯი და ფასკენჯი“, „ლურჯი ტახტი“, „თეთრი რამის სარდაფი“, „მელია მისი ძირას“, „მეფის ძეგლი სასტუმრო“, „კუნძი“. რა არ ხდება ამ პაბებში! ერთხელ ერთმა დახლიდარმა ქალმა სასმლის გამეორებაზე უარი უთხრა ოფიცერს, რაზეც ოფიცერი ხიშტი იმარჯვა და მხარში დაჭრა გოგონა.

პროვინციული პაბები განსხვავდება ლონდონურებისაგან, სხვადასხვანაირი ქუჩის სახელდახელო საკევიც. მაგ. კენტის საგრაფო ვაშლებით, ალუბლით, სვითა და ქალებითაა განთქმული. მისტერ პიკიკის აღწერით სტრაუდის, როქსტერის, ჩეტმისა და ბრომპტონის მთავარი მახასიათებელი ნუშის ყანდი, ვაშლები, ქაშალა და ხამანკე-ბია. ხამანკებს სილატაკესთანაც აწყვილებენ დიკენსთან. ეს სემის მორიგი სიბრძნეა. მისი სიტყვით, „სილატაკე და ხამანკეები ერთად მოგზაურობენ რაც უფრო ღარიბია ადგილი, სერ, მით უფრო მეტია ხამანკეზე მოთხოვნილება. ერთი შეხედვით, სერ, ყოველი ექვსი-შვიდი სახლის შემდეგ ხამანკის დუქანია, ქუჩა ამ დუქნებით არის სავსე. მიწა გამისკდეს, თუ არ ფეჭირობდე, რომ ღარიბი ადამიანი სახლიდან სასონარკვეთილი გამოვარდება თუ

არა, პირდაპირ სამანქანო ეცემა“.

ცალკე კატეგორია მადიანი ან მწყურვალ მოსამართლეები. ასე ამბობენ, კეთილგანწყობილი, კმაყოფილი, კარგად დანაყრებული მსაჯულის ხელიდან გაშვება ცოდვეს, უკმაყოფილო და მზიერი კი მუდამ მოსარჩელეს დაუჭერს მხარს. მოსამართლეები არასდროს არღვევენ სადილის წესს. ზუსტ დროს გადიან სხდომათა დარბაზიდან და ცხვრის კატელეს მიერთებენ, ზედაც ერთი ჭიქა ხერხისით. ან ებერნეტის ბისკიტსა და ძხვს გეახლებიან. შემდეგ ძხვის ნარჩენს იმავე ჯიბეში ინახავენ, სადაც იურიდიული საბუთები უდევთ. ასევე უკვეთენ როსტბიფს, ლოკოკინებს, პორტერს. ლორით დატენილი სენდვიჩები კი პროფესიულ ნიშნადაც კი ითვლება.

მოსამართლის სამუშაოსანი რომის სირჩეები ზემოთაც ვახსენე, ამიტომ აქ ერთ დეტალს გავიხსენებ. ვეკილი მისტერ პელი ერთ-ერთ გამოსვლას ასრულებს სიტყვებით: „ცრემლი დაგვალვრევინა“ და ამ დროს ცხვირსახოცსაც ამოიღებს, მაგრამ ცრემლის ნაცვლად რომის წვეთს შეინიშნებს, რომელიც ზედა ტუჩზე აქვს შერჩენილი.

როდესაც მოსამართლეს ან ვეკილს ეკითხებიან, „საქმეს ხომ არ შეუდგა?“, მას ყოველთვის ეჭვი უჩნდება, მართლა საქმისკენ მოუწოდებენ თუ გროგზე, პუნშზე ან „სხვა ამგვარ, წმინდა პროფესიონალურ სასმელზე“ პატიუბენ.

აქვე დიკენსის წერის ხერხებზე და მის უცნაურ დაკვირვებებზეც მინდა ორი სიტყვა ვთქვა. მაგ. დეტალბისადმი ყურადღება ძალიან ართობს მკითხველს და განუშორებელ ატმოსფეროს ქმნის ნიგნში. აქ შილინგით ცხვირს მოისრესენ, დარცხენილი კი ისე წითლდებიან, რომ სარწყავისფერი ედებათ. ერთ ძალს პონტი ჰქვია და მან, როგორც ჩანს, კითხვაც იცის, რადგან არაფრის დიდებით არ შედის ეზოში, წარწერით: „დარაჯს ნაბრძანები აქვს მოკლას ყველა ძალდი, რომელიც შემოღობილში შემოვა!“ სხვა თავში ცხენი გვერდულად მიჩანჩალებს, თავი ქუჩის ერთ მხარესა აქვს მიქცეული, კუდი კი მეორე მხარეს.

დიკენსი, როგორც „ყოვლისმცოდნე ავტორი“, თავს იმის უფლებასაც აძლევს, რომ ზოგ-ზოგი რაღაცა დაგვიმალოს და ამით ჩვენი ფანტაზია უფრო გააღვივოს. ავიღოთ თუნდაც მის უორდლისა და მზაკვარი მისტერ ჯინგლის სასიყვარულო თავგადასავლის ამბავი. ამ გულგამგმირავი ამბის მაღალმხატვრული აღწერა მისტერ პიკვიკმა დაგვიტოვა. მთხრობელი ამბობს: „აგერ ახლა, ჩვენ წინ მისი ცრემლებით დანაშული უბის ნიგნაკი დევს. ერთი სიტყვაც კმარა და იგი გადმოცემლის ხელში აღმოჩნდება. მაგრამ, არა! ჩვენ გვმართებს სიმტკიცე გამოვიჩინოთ და არამც და არამც არ დავუტანჯოთ გული ჩვენს მკითხველს ამ საშინელი წამების აღწერით“.

სემი, ისევე როგორც ბერ სხვა ეპიზოდში, ამ დეტალების მთავარ გმირადაც წარმოგვიდგება. მისი გამოჩენისთანავე რკვევა (იგი ლაქიად მუშაობს ერთ-ერთ სასტუმროში), რომ სემს ფეხსაცმელების მიხედვით ჰყავს დაზეპირებული სტუმრები (ტყავის პაჭიჭები N13-ში, ყელმოკლე წაღები - საეჭრო

ოთახში და ა.შ.). გარდა ამისა, სემმა შეიძლება არაღაც პანტომიმურ სცენაში გაიღვოს ანაც მისმა ჭვრეტებმა მიიტციოს ყურადღება. საუბარს დაასრულებს და გადახედვას ჯერ სპილენძის ქვაბს, შემდეგ შებრანულ ყველს, კედელს, ჭერს და ა.შ.

მწერალს არ ავიწყდება აღნიშნოს, რომ ბატონთან საუბრის დაწყების წინ მსახური ქუდს შეახებთ ხოლმე ხელს. სემიც ასე იქცევა. თუმცა ქუდთან დაკავშირებით ყოველთვის მინაც მისტერ პიკვიკის მიერ ქარში საკუთარი ქუდის დევნის სცენა გაახსენდება ამ რომანის ერთგულ და დაკვირვებულ მკითხველს. აუცილებლად სრულად უნდა მოვიყვანო ეს გენიალური ეპიზოდი, ბრწყინვალე ფილოსოფიური ფრაგმენტი:

„საკუთარი ქუდის დევნა - ეს არის ადამიანის ცხოვრებაში ჭეშმარიტად იშვიათი განსაცდელი - სასაცილო და, ამავე დროს, სამწუხარო - რომელიც მაყურებელში ესოდენ მცირე თანაგრძნობას იწვევს. ქუდის დაჭრა არც თუ ისე ადვილია და ამ საქმეში კაცს უთუოდ დიდი მოთმინება და ჭკუის მოხმარება მართებს; თუ ძალიან აქარდა - დევნის საგანს გადასწრებს, თუ მეორე უკიდურესობაში გადავრდა, სულაც დაკარგავს მას. ამ შემთხვევაში კაცი მეტად ფრთხილად და წინდახედულად უნდა მოიქცეს; არამც და არამც დევნის საგანს არ უნდა ჩამორჩეს, ხელსაყრელი შემთხვევა შეურჩიოს, თანდათან გადასწროს ქუდს, შემდეგ სწრაფად ჩამოხლოს, ცაში ჩააფრინდეს და თავზე მაგრად დაიხუროს, თანაც ამ ხნის განმავლობაში სულ მზიარულად უნდა ილიმებოდეს, თითქოს ეს ამბავი როგორც სხვებისათვის, ისე მისთვისაც, მხოლოდ თავშესაქცევი ოინი იყოს და მეტი არაფერი.“

ნაზი სიო მინდორს ელაშენებოდა და მისტერ პიკვიკის ქუდაც მხიარულად მიაგორებდა წინ. ქარი მშვინავდა, მისტერ პიკვიკი ქმინავდა და ქუდი კი ხტუნვა ხტუნვით ისე სწრაფად მიქროდა წინ, ისე უდარდელად, თითქოს ცქციტი დელფინი ყოფილიყო, ძლიერი მოქცევის დროს წყალში რომ შეითამაშებს ხოლმე. ვინ იცის, როდემდ გაგრძელდებოდა ეს თავგანწირული შეჯიბრება, რომ ბედზე, მოულოდნელ დაბრკოლებას არ შეერყებინა იგი.

ის იყო ღონებისდილ პიკვიკელს ხელი უნდა აეღო დევნაზე, რომ ქარმა უეცრად ქუდი ჰაერში აიტაცა და რიგში ჩამოკრეფებულ იტლებლის ერთ-ერთ ბორბალს მიახებთა. მისტერ პიკვიკმა დრო იხელთა, ელვის სისწრაფით ჩააფრინდა ძვირფას საუნჯეს, თავზე ჩამოიფხატა და სულის მოსათქმელად შერედა“.

კიდევ ბევრი დეტალის გახსენება შეიძლება, შესანიშნავი უზარმაზარი გულქვა ვირთვზას ეტლზე დაბინავების სცენა, მიძვების გადაყლაპვისა და მუცელში ხმაურობის სცენა, ძხვში აღმოჩენილი ლილები და მრავალი სხვ.

ბოლოს, სიგარები!

ყველა სუფრას ბოლოს კვამლის ღრუბლები და ნისლები ავირგვინებს და დანაყრებულ-შეჭიჭიკებულზე სიგარები და ჩიბუხები ბატონობენ. აქ ადამიანებს ჩიბუხის კვამლისგან სახეებიც კი ერუ-



ჯვრებით, ქუჩები კი თამბაქოს სუნიტაა გაჟღერებული. ოთახებს კვამლისგან ჭუჭყიანი ელფერი აქვს, წითელი ფარდები კი მუქად მოჩანს. აქ თუთუნს ეწევიან, ყნოსავენ (princes' mixture-ს უწოდებენ ერთ-ერთ ასეთ საყნოსო თუთუნს) და ლეჭავენ კიდევც. ხანდახან ერთმანეთს ურჩევენ, თამბაქოს ნაცვლად ჩიბუხი გრძნობებით გასტენონ, ხან ტკბილ საუბარს იწყებენ გაბოლებიან, ხან რაღაცას აკვირდებიან, ან შტერდებიან, დაძაბულნი ფიქრობენ, მშვიდდებიან, გემოს ატანენ მოსაწევს, სიამოვნებას იღებენ, ყლუპებად სასმელს აყოლებენ. ერთი ჯენტლმენი ამბობს, „თამბაქო ჩემთვის სასმელ-საჭმელიცაა და ადგილ-მოსასვენებელიც“, რაზეც მისტერ პიკიკი გაიფიქრებს, უკეთესი იქნებოდა თამბაქო მისთვის აბანოც ყოფილიყო. თუმცა პიკიკის ძალიან მოსწონს, როცა ვინმე სიგარას ეწევა, მოუხედავად იმისა, რომ თავად არ ეწევა. ადამიანებს ხან კუბის იაფფასიანი სიგარების სუნი უდით რომანში, ხან უფრო კეთილშობილი თამბაქოს სურნელებს დააქროლებენ.

თამბაქოს რა თქმა უნდა, დამწუხრებულებიც ბევრს ეწევიან. ერთი სცენაა, ახლადდაქვრივებული მისტერ უელერი მრგვალ მაგიდასთან ზის ბუხრის პირას, ცეცხლს ჩასჩერებია სევდიანად და ჩიბუხს ეწევა.

ჩიბუხებიც ნაირნაირი აქვთ, სხვადასხვა მერქნისგან დამზადებული, ძვლით და ოქრო-ვერცხლით განყოფილი. ეს ჩიბუხი ხომ თან გასართობივითაა, დატენვებით, საღვინართან თამაშით, გაკიდებებით, ფერფლის გადმოფერთხვით, ტომსიკის მოსინჯვებით.

ერთი 19-20 წლის ყმაწვილი უკვე დილის 10 საათზე ურტყამს წყლიან ჯინსს და სიგარას აყოლებს. შემუშებული სახე კი იმაზე მიუთითებს, რომ ბოლო 2 წელია ძირითადად ამით ირობს თავს. სხვაგან ელი და სიგარა იწვევს იგივეს. სადღაც ღუქანში ჯმუხი ყმაწვილები სხედან, რომელთაც ძლივს გაარჩევ თამბაქოს კვამლში. ისინი ხმამაღლა იგინე-

ბიან, ლუდს ტოლჩებით სვამენ და გაქონილი ჯოტით ბანქოს თამაშობენ. ბობ სოიერი და ბენ ალენი თამბაქოს სუნის გაყვანასაც ახერხებენ, როცა სჭირდებათ - რაღაცა მყარად წამალს აპკურებენ ოთახში, თუმცა რომანში იმდენს ეწევიან, რომ ვერანაირი წამლის თუ bouquet du roi-ს სურნელი (ნიგნში ნახსენები ერთი მაშინდელი სუნამოა) ვერ გადაფარავს მას და ვერაფერი გაფანტავს კვამლის იმ უსასრულო ნისლეტს. სწორედ ამ ნისლეტში მინდა დავასრულო ეს განელილი ამბავი და ორი ფინალური აბზაცი მოვიყვანო ბოლო თავიდან. დიდებული აბზაციები, რომლებიც ამ უცნაური ნიგნის ერთგვარ გასაღებასაც წარმოადგენენ:

„დაე, ასეთ საამო და ბედნიერ წუთს დავშორდე სამუდამოდ ჩვენს მეგობარს. ასეთი წუთები ბევრი როდია. ისინი ატკბობენ და ამშვენებენ ჩვენს წარმავალ ცხოვრებას. ამ დალოცვილ დედამინაზე მრავლადაა მუქი ჩრდილები, მაგრამ მათ შორის კაშკაშებს და ბრწყინავს მზის ნათელიც. ზოგიერთი ადამიანი, ლამურას ან ჭოტის მსგავსად ლამის წყვდიადმი უფრო კარგად ხედავს, ვიდრე დღის სინათლეზე. ჩვენ მხედველობის ასეთი ორგანოები არ გავაჩნია, და ამიტომ, გვირჩევნია სამუდამოდ გამოვეთხოვოთ კეთილ მეგობრებს, რომელთაც მარტოობის მრავალი მძიმე წუთი შეგვიმსუბუქებს ისეთ დროს, როდესაც მათ უხვად უნათებდა მზის კაშკაშა შუქი...


ასეთი გახლავთ ზვედრი ადამიანთა უმეტესობისა, რომლებიც განგებას გაუჩენია. ყმაწვილობის უამს ისინი ჭეშმარიტ ერთგულ მეგობრებს იძენენ და მერე კვლავ კარგავენ მათ იმავე განგების ძალით. ასეთივეა ზვედრი ყველა მწერლისა ან მემატინისა - ისინი წარმოსახვით ქმნიან მეგობრებს და კვლავაც კარგავენ მათ, არა განგების ძალით, არამედ შემოქმედის კანონების თანახმად. მაგრამ ეს კიდევ ცოტაა: მკითხველი მათგან მოითხოვს ზუსტ ანგარიშს - რა ბედი ეწია თითოეულ მის გამირს“.



ლევ ტროცკი

სელინი და პუანკარე

რუსულიდან თარგმნეს ნორიკ ბადოიანმა და გიორგი ფირცხალაიშვილმა



ლუი-ფერდინან სელინი ისე შევიდა დიდ ლიტერატურაში, როგორც სხვები შედიან საკუთარ სახლში. სელინმა, დაღვინებულმა ადამიანმა ექიმისა და შემოქმედის დაკვირვებათა უზარმაზარი მარაგით, აკადემიზმის მიმართ უკიდვარად გულგრილობით, ცხოვრებისა და ენის ინტონაციათა საოცარი შეგრძნებით, დაწერა ნიგნი, რომელიც, მიუხედავად იმისა, დაწერს თუ არა სელინი სხვა ნიგნებს და იქნებიან თუ არა ისინი პირველის სიმძლევები, - მაინც დარჩება. „მოგზაურობა ღამის დასაღიერში“ პესიმისმიის რომანია, ნაწარმოები, უფრო მეტად შთაგონებული ცხოვრების წინაშე ძრწოლით და მისგან მოგვრილი დაღლილობით, ვიდრე აღშფოთებით. აქტიური აღშფოთება დაკავშირებულია იმედთან. სელინის ნიგნში იმედის ნასახივ არაა.

პარიზელი სტუდენტი მდაბოთა ოჯახიდან, რეზონანსი, ანტიპატრიოტი, ნახევრადანარქსიტი - ასეთი ტიპებით სავსეა ხოლმე ლათინური კვარტლის კაფეები - სამხედრო საყვირის პირველსავე ხმაზე, თავისდა მოულოდნელად, მოხალისედ ეწერება ჯარში; აღმოჩნდება ფრონტზე და ამ მექანიზმულ სასაკლაოზე შურით იღვსება ცხენებისადმი, რომლებიც ადამიანებივით იხოცებიან, თუმცა ყალბი ფრანგების გარეშე; ბრძოლაში დაჭრილი და მედლით დაჯილდოებული, მოივლის პოსპიტლებს, სადაც მარჯვე ექიმები არწმუნებენ, რაც შეიძლება მალე დაბრუნდეს, ბრძოლათა აღმოდებულ სასაფლაოზე; ავადმყოფობის გამო ჯარიდან დათხოვნილი აფრიკულ კოლონიაში მიემგზავრება და ადამიანური სიმდაბლის, გვალვისა და

ტროპიკული მალარიისაგან იტანჯება; მალულად ჩადის ამერიკაში, სადაც ფორდის ქარხანაში მუშაობს, ხოლო მეძვე ქალში ნაზ საყვარელს პოულობს (ნიგნის ჭეშმარიტად ფაქიზი გვერდები!); ბრუნდება საფრანგეთში, ხდება ღარიბების მკურნალი და, სულიერად დასნებოვნებული, წუთისოფლის ღამეში ერთნაირად უბადრუკ, გარყვნილ და ბედკრულ ავადმყოფებსა და ჯანმრთელებს შორის დაეხეტება.

სელინის მიზანი საერთოდ არაა საფრანგეთის სოციალური პირობების მხილება. მიუხედავად ამისა, ის არ ინდობს არც სასულიერო პირებს, გენერლებს, მონისტრებს და რესპუბლიკის პრეზიდენტსაც კი. თუმცა თხრობა მუდმივად მმართველი კლასების დონეზე გაცილებით დაბლა ეშვება - მდაბიოების, ჩინოვიკების, ვაჭრების, ხელოსნების, კონსიერჟების გარემოში და თან ორჯერ სცდება საფრანგეთის საზღვრებს. სელინისთვის არსებული სოციალური წყობილება ისეთივე უვარგისია, როგორც ყველა სხვა - წარსულისა თუ მომავლის. საბოლოო ჯამში, სელინი უკმაყოფილოა ადამიანებითა და მათი საქმეებით.

რომანი ჩაფიქრებული და, ამასთან, შესრულებულია, როგორც ცხოვრების აბსურდულობის, მისი სასტიკის, კოლოზიების, სიცრუის, გამოუვალობისა და უიმედობის პანორამა. უნტეროფიცირი, იქამდე რომ ტანჯავს ჯარისკაცებს, სანამ მათთან ერთად არ დაიღუპება; ამერიკელი რანტიე ქალი, საკუთარი არარაობისგან ევროპულ ოტელებში რომ ანიავეს ქონებას სიძუნწისა და უიღბლობისგან გამოღენეებული ფრან



გი კოლონიალიზტი ჩინოვნიკები; ნიუ-იორკი, დოლარების არმქონე ინდივიდებისადმი თავისი ავტორიტეტული გულგრილობით, ადამიანთა ძვლებიდან ტვინის გამოწოვის ტექნიკური სრულყოფილებით; კვლავ პარიზი; სწავლულთა მენერლობა და ბოლმით აღსავსე სამყარო; შვიდი წლის ბიჭუნას ხანგრძლივი, მოკრძალებული და მორჩილი კვდომა; გოგონას ტანჯვა; ნესიერი წერილი ბურჟუეზი, ეკონომიის გამოც კლავენ საკუთარ დედას; მღვდლები, - ერთი პარიზში, მეორე შუაგულ აფრიკაში, - რომლებიც მზად არიან რამდენიმე ასეულ ფრანკად გაყიდონ ადამიანი: პირველი შეკრულია ცივილიზებული რანტიესთან, ხოლო მეორე კანბალბთან... თავიდან თავამდე, გვერდიდან გვერდამდე ცხოვრების ფრაგმენტები ბიძაშური, სისხლიანი და კომპარული აბსურდის მოზაიკად ერთიანდება. სინამდვილის პასიური ჭვრეტა და გამაფრეული მგრძნობელობა მომავლისადმი სწრაფვის გარეშე - აი, ნამდვილი საფუძველი სასონარკვეთისა, გულწრფელი სასონარკვეთისა, რომელიც თავისსავე ცინიზმს ეჯახება.

სელინი მორალისტია. მხატვრული ხერხების საშუალებით ის ნაბიჯ-ნაბიჯ შეურაცხყოფს ყველაფერს, რაც, ჩვეულებრივ, საზოგადოებაში განსაკუთრებული თავყვანისცემის საგანია - სოციალურ ფასიულობებს, პატრიოტიზმით დაწყებული, პირადი ურთიერთობებითა და სიყვარულით დამთავრებული. სამშობლო საფრთხეშია? „როცა მეპატრონეს სახლი ეწება, მდგომარი არაფერს კარგავს. სხვა მეპატრონე მოვა ან იგივე დარჩება. გერმანელი იქნება, ფრანგი, ინგლისელი თუ ჩინელი, პირველივე შემთხვევისთანავე გადასახადის ქეითარს წარმოგვიდგენს. მარკებში ან ფრანკებში. გადახდის მომენტის მიხედვით...“⁴¹ სელინს არ სჭირდება ისტორიული კრიტიკირებები. დანტონის ომი არაფრითაა პუანკარეს ომზე აღმატებული: აქაც და იქაც „პატრიოტული მოვალეობა“ სისხლით ანახლავდა. სიყვარული მონამდულია ანგარებითა და პატრიოტული მოვალეობით. იდეალობის ყველა ასპექტი - მხოლოდ და მხოლოდ „მალაფარდოვანი სიტყვებით შემოსილი უბასი ინსტინქტებია“. სელინი დედის ხატსაც კი არ ინდობს. დაჭრილი შვილთან შესხედრისას მან „ბევრი ისლუკუნა, იმ ძალის დაემსგავსა, რომელსაც დეკვი დაუბრუნეს... თუმცა ჭუჭუნას ბევრად ჩამოუვარდებოდა, რადგან ნათქვამის სჯეროდა და ეგონა, აქედან ნამიყვანდა“.

სელინის სტილი მის მსოფლშეგრძნებას ემორჩილება. ამ, თითქმის, მოუწესრიგებელ, არასწორ, შეკუმშულ, მაგნებარე ენაში ცოცხლობს, ფეთქავს და ჩქეფს ფრანგული კულტურის ნამდვილი სიმდიდრე, დაიდი ნაციის შეგრძნებების და ფიქრების გამოცდილება, მთელი თავისი სისახისითა და უსტაფიზის ნიუანსებით. და, ამავდროულად, სელინი იცნავს, რომ, გეგონება, პირველი იყო, ვინც ენას შეება. ხელოვანმა საფუძვლიანად შეარყია ფრანგული ლიტერატურის ლექსიკონი. ბუესავით ცვივა კაცვეთილი სიტყვათმთავნებები. სამაგიეროდ, აკადემიური ესთეტიკისა და მორალის მიერ ხმარებიდან გამოდევნილი სიტყვები შეუდარებელია ცხოვრების სიტლანქისა და სისაძაგლის გამოსახატად. ეროტიკული ტენიზები მხოლოდ და მხოლოდ ეროტიკის დაკნინებას ემსახურება. სელინი ისე ოპერირებს მათით, როგორც სხვა ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებათა სახელებით, რომელთაც არ აღიარებს ხელოვნება.

რომანის პირველივე გვერდებზე მკითხველი მოუ-

ლოდნელად პუანკარეს² სახელს აწყდება: როგორც Temps-ის ახალი ნომერი იწყება, რესპუბლიკის პრეზიდენტი დილით პატარა ძაღლის გამოფენის გასახსნელად გაემართება. ეს დეტალი სელინს არ მოუგონია. პრინციპომდე მოდუნულ უკანასკნელ ნომერს მოაქვს ცნობა: „პ-ნი ალბერ ლებრენი, რესპუბლიკის პრეზიდენტი, მისი სამხედრო ძაღბის პოლკოვნიკ რიუპიეს თანხლებით, დღეს დილით ძაღლების გამოფენას ეწეა“. როგორც ჩანს, ეს რესპუბლიკის პრეზიდენტის ერთ-ერთი ფუნქციაა და მისი საწინააღმდეგო ვერაფერი გვექნება. მაგრამ სელინთან ეს გესლიანი საგზეო ცნობა სახელმწიფო მეთაურის განდიდებას ამკარად არ ემსახურება. საერთოდ კი, ფრენოლოგებს ახალ მწერალთან მისხალი პატივისცემის აღმოჩენაც კი გაუჭირდებოდათ.

ამასთან, ყოფილი პრეზიდენტი პუანკარე, საფრანგეთის ყველა მოღვაწეთა შორის ყველაზე პროზაული, მშრალი და უგრძნობი, - რესპუბლიკის ყველაზე ავტორიტეტული პოლიტიკური ფიგურაა. მისი ავადმყოფობის დროიდან მოყოლებული ის კერპად იქცა. არამხოლოდ მემარჯვენეები, არამედ რადიკალებიც არ ახსენებენ მის სახელს, თუ ამავდროულად პათეტიკური აღიარების გამოძახებელი სიტყვები არ მოაყოლეს. პუანკარე, უდავოდ, ბურჟუაზიის წმინდა პროდუქტია, ისევე, როგორც ფრანგული ნაცია ყველა ერთა შორის ყველაზე ბურჟუაზიული ნაცია, უზომოდ რომ ეამაყება თავისი ბურჟუაზიულობა - სხვა დანარჩენი კაცობრიობის წინაშე მისი პროვიდენციალური როლის წყარო. ნატიფი გარეგნობით შენილბული ფრანგული ბურჟუაზიის ნაციონალური ქედმაღლობა საუკუნეთა განმავლობაში დაგროვილი ლექია. წინაპრებმა, რომელთაც გააჩნდათ დიადი ისტორიული მისია, შთამომავლებს გააჩნდათ მორთულობათა მდიდარი კოლექცია, რომელიც ყველაზე მედგარი კონსერვატიზმის დასაფარად გამოიყენება. საფრანგეთის მთელი პოლიტიკური და კულტურული ცხოვრება წარსულის კოსტიუმებში თამაშდება. ისევე, როგორც ჩაკეტილი ვალუტის ქვეყნებში, საფრანგეთის ცხოვრებაში ფიქტიურ ღირებულებებს ფორსირებული კურსი გააჩნიათ. სინამდვილისგან დიდი ხნის წინათ მონყვევითი განმათავისუფლებელი მესიანიზმის ფორმულები პოპულარობასა და გავლენას კვლავაც ინარჩუნებენ. ფერ-უზარალი სახეზე ჯერ კიდევ შეგვიძლია მივიჩნიოთ პირველობად, მაგრამ ნილაბი უკვე აღარ არის სიყალბე, ის უბრალოდ იარაღია. ნილაბი სხეულისგან დამოუკიდებლად არსებობს და მის შესტებასა და ხმას იმორჩილებს.

პუანკარე თითქმის სოციალური სიმბოლოა, რომლის მაღალი რესპუბლიკატულობა ქმნის მის პიროვნებას. სხვა არც გააჩნია. ისევე როგორც საყმაწვილო ლექსებში, - მას ჰქონდა სიყმაწვილე, - მოხუცებული პუანკარეს მემუარებში კი ერთ ინდივიდუალურ ნოტასაც ვერ ნახავთ. ბურჟუაზიის ინტერესი - აი, მისი მორალის ნამდვილი დასაყრდენი, მისი ცივი პათოსის წყარო. ფრანგული პოლიტიკის დამკვიდრებული ღირებულებები პუანკარეს სისხლსა და ხორცზე აქვს გამჯდარი. „ამ ბურჟუა ვარ და არაფერი ბურჟუაზიული ჩემთვის უტყბო არ არის“. პოლიტიკური ნილაბი შეერწყა სახეს. ფარისევლობა, აბსოლუტური ხასიათის მიღების შემდეგ, თავისებურ გულწრფელობად გადაიქცა.

პუანკარეს მტკიცებით, საფრანგეთის ხელისუფლება იმდენად მშვიდობისმოყვარეა, რომ მონინაღ-

მდგის მხრიდან ფარული აზრების დაშვებაც კი არ შეუძლია. „საოცარი მიმდობლობა ხალხისა, რომელიც თავისი კეთილშობილებით სხვებს აჯილდოებს“. ეს უკვე არც ფარისევლობაა და არც სუბიექტური სიყვარული, არამედ რიტუალის აუცილებელი ელემენტი, ისეთივე, როგორცაა მზაკვრული ხელშეკრულების ნიადაგზე დადებული ერთგულების პირობა. რურის ოკუპაციის პერიოდში გერმანელი მწერალი ემილ ლუდვიგი ეკითხებოდა ჰუანკარეს: „ფიქრობთ თუ არა, რომ ჩვენ არ გვსურს ან არ შეგვიძლია, გადავიხადოთ?“ რაზეც ჰუანკარე პასუხობდა: „თავისი ნებით არავინ იხდებოდა“. 1931 წლის ივნისში პრეზიდენტი ტელეგრაფით სთხოვდა დახმარებას, რაზეც ჰუანკარემ უპასუხა: „ის-ნაგლეთი ტანჯავ“. ბურჟუაზიის მოუსყიდველი ნოტარიუსისთვის უცხოა ლმობიერება.

გაცხდება თუ არა განსაზღვრულ მიჯნას, პიროვნული ეკიოზმი იწყებს საკუთარი თავის სანსვლას. ასეა კონსერვატიული კლასის ეკიოზმის შემთხვევაშიც. ჰუანკარეს სურდა, ჯვარს ეცვა გერმანია, რათა ერთხელ და სამუდამოდ საფრთხისგან ეხსნა საფრანგეთი. ამასობაში კი, შოვინისტური ტენდენციები, ჰუანკარეს თვალში, დანაშაულებრივად შემწყნარებლურმა ვერსალოის ზავმა, რომ გამოიწვია, გერმანიაში შიტლერის საზარელ ფიგურაში განსვლდა. რურის ოკუპაცია რომ არა, ნაციონტები ასე მარტვად ვერ მოვიდოდნენ მთავრობაში. ხელისუფლების სათავეში მოქცეული შიტლერი კი ახალი ომების პერსპექტივას გვიშლის.

ფრანგული ნაციონალური იდეოლოგია სიცხადის კულტურა, ანუ ლოგიკის ეფუძნება. მაგრამ ეს არ არის სიმამაცით შთაგონებული XVIII საუკუნის ლოგიკა, რომელმაც მთელი მსოფლიო დაამხო, არამედ ძუნწი, ფრთხილი, ნებისმიერ კომპრომისზე წამსვლელი მესამე რესპუბლიკის ლოგიკაა. თავის მემუარებში, აღმატებულობის იმ ამპარტყანული განცდით, რომლითაც მოხუცი ოსტატი თავისი ხელოვნების საიდუმლოს განმარტავს, ჰუანკარე საუბრობს „გონების ამ რთულ ოპერაციებზე: არჩევანზე, კლასიფიკაციაზე, კოორდინაციაზე“. ოპერაციები, რა თქმა უნდა, არცისე მარტივია. მაგრამ თავად ჰუანკარე აწარმოებს მათ არა ისტორიული პროცესის სამგანზომილებიან სივრცეში, არამედ დოკუმენტის ორგანოზომილებიან სიბრტყეზე. ქქმპარიტება მისთვის მხოლოდ სამართალ-წარმოების, შეთანხმებებისა და კანონების „გონივრული“ განმარტების პროდუქტია. მმართველი საფრანგეთის კონსერვატიული რაციონალიზმი დაახლოებით ისე მიემართება დეკარტს, როგორც შუასაუკუნეების სქოლასტიკა არისტოტელეს.

განდიდებული „ზომიერების განცდა“ გადაიქცა მცირე ზომების განცდად, რომელიც აზრს მოზაიკურობისკენ გადახდის. როგორი სიყვარულითა და გამოწვევით გვიხატავს ჰუანკარე სახელისუფლებო ხელობის ყველაზე უბადრუკ ეპიზოდებს! დანიის მეფისგან მიღებულ თეთრი სპილოს ორდენს ის აღგვიწერს, როგორც ძვირფას მინიატურას: სულელური ფლარუნის ზომები, ფრმა, ორნამენტული და მოხატულობა - მის მემუარებში არაფერია გამოტოვებული. ჰუანკარე პოლიციის საუკეთესო პროტოკოლის კეთილსინდისიერებით მოგვითხრობს, როგორ ეწვია დიდი ბრიტანეთის სამეფო წველთან ერთად ცხენითა დოღს: ზუბიკას, „ტრიბუნისკენ მიტრიალებულს, ავიწყდება ფსონები, ყურადღებას აღარ აქცევს ცხენებს და თავისი ლორწებებით დაფინებით გვაკვირდება“. მეფისა და პრეზიდენტის გამო მოჯირითე ცხენებისადმი გულ-


გრილობა გადამეტებული პატრიოტიზმის თვისებაა!

ჰუანკარეს ლიტერატურული სტილი ისეთივე უსიკვლოა, როგორც უხუცესი ფარაონის სამარხი. ეს სიტყვები მხოლოდ რეპარაციის ოდენობის განსაზღვრად, ან რიტორიკული მოკაზმულობისთვის სჭირდება. ელისეს სასახლეში ყოფნის პერიოდს ის ადარებს სილვიო პელიკოს პატიმრობას ავსტრიული მონარქიის ციხეებში! „ამ მოოქროვილი ბანალურობის საღონებში ჩემს წარმოსახვას ვერაფერი აღაგზნებს“. მაგრამ მოოქროვილი ბანალურობა მესამე რესპუბლიკის ოფიციალური სტილია! ხოლო ჰუანკარეს წარმოსახვა ამ სტილის სუბლიმიაცია. მისი სიტყვები და სტატიები ჰგვანან ქალაქის ყვავილებითა და ოქროს ბრწყინვალეობით მოვარაყებულ მავთულხლართის კარკასს.

როცა ომი მოახლოვდა, ჰუანკარე გემით პეტრ-ბურგიდან საფრანგეთში დაბრუნდება; ის ხელიდან არ უშვებს ხიფათიანი მოგზაურობის ქრონიკაში ოლეოგრაფიული პეიზაჟის ჩართვის შესაძებლობას: „ადამიანური კონფლიქტებისადმი გულგრილი, ფერმკრთალი თითქმის უღაბრი ზევა“. ლიცეუმის გამოსაშვებ გამოცდაზეც სიტყვასიტყვით იმავეს წერდა! როდესაც ჰუანკარე თავის პატრიოტულ მოვალეობებზე საუბრობს, შიდადმოი ყველა იმ ყვავილის სახეობას ჩამოთვლის, მის აგარაკულ განმარტებას რომ ამშვენებდა დამიწვრულ დეკემბრსა და სატელეფონო საუბრის შორის ყვავილების მალაზიის გვარიან კატალოგს ვაწყნებოთ! ყველაზე კრიტიკულ მომენტებში სცენაზე ჩნდება სიამის შატლები, როგორც ოჯახური ინტიმურობის სიმბოლო. კატალოგის, სულის შესხურვის გარეშე იკითხო ეს ავტობიოგრაფიული პროტოკოლი, ცოცხალ პერსონაჟებს, ყოველგვარ ადამიანურ გრძნობებს მოკლებული, თუმცა, სამაგიეროდ, საესე „გულგრილი“ ზღვით, ჭადრებით, გაიკნინებით, მტრედებითა და სიამის კატის მოუშორებელი სუნით.

არსებობს ცხოვრების ორი სფერო, პირველი - ხილული და ოფიციალური, მთელი ცხოვრების სახად წარმოჩენილი; მეორე - ფარული და ყველაზე მნიშვნელოვანი. ეს გაორება გასდევს როგორც პირად, ისე საზოგადოებრივ ურთიერთობებსაც: ოჯახში, სკოლაში, სასამართლო დარბაზში, პარლამენტში, დიპლომატიკაში. მას ვპოულობთ ადამიანთა საზოგადოების წინააღმდეგობრივ განვითარებაშიც და, ცხადია, ყველა ევოლუციურ ჭეკყანასა და ერში. მაგრამ გაორების ფორმები, შირმები და ნიღბები კაშკაშა ნაციონალურ ფერებშია შეღებილი. ანგლოსაქსურ ქვეყნებში ზნეობრივი გაორების სისტემაში მნიშვნელოვან ელემენტად რელიგია გვევლინება. ოფიციალურმა საფრანგეთმა დაკარგა ეს უმნიშვნელოვანესი რესურსი. მაშინ როდესაც ბრიტანულ მასონებს არ შეუძლიათ, წარმოადგინონ სამყარო ღმერთის გარეშე, როგორც პარლამენტი - მეფის, ან საკუთრება - მესაკუთრის გარეშე, ფრანგმა მასონებმა „სამყაროს დიადი არქიტექტორი“ ამოშალეს თავიანთ სტატუტებიდან. რაც უფრო მასშტაბურია სიცოცხლე პოლიტიკურ საქმეებსა და ინტრიგებში, მით უფრო ქმედითია ის: ზეციური პრობლემატიკის გამო მინიერი ინტერესების უგულებელყოფა წინააღმდეგობაში მოვიდოდა ლათინურ სიტყვადესთან. თუმცადა, პოლიტიკოსებს, ისევე როგორც არქიმედესს, საყრდენი წერტილი სჭირდებათ; „დიადი არქიტექტორის“ ნება სრულიად სხვაგვარ ღირებულებებს უნდა ჩაენაცვლებინა. ეს კი პირველმა საფრანგეთმა გააკეთა.

არასდ საუბრობენ ისეთი მონდომებით „პატრიოტი



ტიზმის რელიგიაზე, როგორც საერო რესპუბლიკაში. ყველა ატრიბუტი, რომლითაც ადამიანთა წარმოსახვამ მამა, ძე და სულიწმინდა დააჯილდოვა, ფრანგ ბურჟუას საკუთარ ერზე გადააქვს. და რამდენადაც საფრანგეთი მდებრობითი სქესისაა, ის ამავდროულად ქალწული მარიამის ნაკვთებსაც ატარებს. პოლიტიკოსი სეკულარიზებული ღვთაების საერო ქურუმად გვევლინება. სრულყოფილებამდე მიყვანილი პატრიოტიზმის ლიტურგია პოლიტიკური რიტუალის აუცილებელ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. არსებობს ისეთი სიტყვები და გამოთქმები, რომელიც პარლამენტში ავტომატურად იწვევს აპლოდისმენტების ექოს, როგორც გარკვეული საეკლესიო შეძახილები - მორწმუნეთა მუღღმოდრეკასა და ცრემლებს.

მაგრამ არსებობს სხვაობაც. ჭეშმარიტი რელიგიის საფერო თავისი არსით დამორებულია ყოფით პრაქტიკას; კომპეტენციათა შესაბამისი გამიჯვნის შემთხვევაში, მათი გადაკვეთა ისევე ნაკლებ საგარაუდოა, როგორც ავტომობილისა და აეროპლანის შეჯახება. პატრიოტიზმის სამოქალაქო რელიგიას კი, პირიქით, უშუალო გადაკვეთის წერტილი აქვს ყოველდღიურ პოლიტიკასთან. კლასობრივი ინტერესები და პირადი მად ყოველ ნაბიჯზე უპირისპირდება წმინდა პატრიოტიზმის ფორმულებს. საბედნიეროდ, მონინააღდეგეები იმდენად კარგად არიან აღზრდილი და, რაც მთავარია, დაკავშირებული ურთიერთთავდებობით, რომ თვალს ზუჭავენ ყველა მწვავე ვითარებაზე. მმართველი უმრავლესობა და პასუხისმგებელი ოპოზიცია თავისი ნებით იცავს პოლიტიკური თამაშის წესებს. მთავარი პრინციპი კი შემდეგია: როგორც სხეულთა მოძრაობა ემორჩილება სიმძიმის კანონს, ისე ემორჩილება პოლიტიკოსთა საქმიანობა სამშობლოს სიყვარულს.

თუმცა პატრიოტიზმის მზეზეც არის ლაქები. ურთიერთშემწნარებლობის სიჭარბეს ის უზერულობა ახლავს, რომელიც შობს დაუსჯელობის განცდას და აქრობს ზღვარს საქმეებსა და გასაკიცხს შორის.

ამგვარად გროვდება მომწამვლელი აირები, დროგამოშვებით რომ ფეთქდება და აბინიურებს ატმოსფეროს.

ფეროს. «იუნიონ-ჟენერალის» კრახი⁷, პანამა⁸, დრეიფუსის პროცესი⁹, რომეს საქმე¹⁰, უსტრიკის კრახი¹¹ - მესამე რესპუბლიკის ღირსსახსოვარი ეტაპებია. კლემანსო¹² პანამის კრახმა მიწასთან გაასწორა. პუანკარე ყოველთვის განზე რჩებოდა, მაგრამ მისი პოლიტიკა იმავე ფესვებიდან იკვებებოდა. ტყუილად ხომ არ აცხადებს თავის მორალის მასწავლებლად მარკუს ავრელიუსს, რომლის სტოიკური სათნოება არცთუ ისე ცუდად ეწყობოდა ლპობაშეპარულ რომის საიმპერატორო ტახტის ზნე-ჩვეულებებს.

„1914 წლის პირველ ექვს თვეში... - წუნუნებს თავის მემუარებში პუანკარე, - ჩემ თვალწინ საპარლამენტო ინტრიგებისა და ფინანსური სკანდალების უზამსი სანახაობა გაიმართა“. მაგრამ ომმა, ცხადია, წარხვეტა ანგარებიანი მოტივები. „წმინდა ერთობამ“ სული განიწმინდა. რაც იმას ნიშნავს, რომ ინტრიგებმა და ხრიკებმა პატრიოტული კულისების სიღრმეში გადაინაცვლა, რათა იქ აქამდე არნახული მასშტაბები მიეღო. რაც უფრო გაიწვლა ფრონტის დასასრული, სელინის თანახმად, მით უფრო მანკიერი ხდებოდა ზურგი. ომისდროინდელი პარიზის სახე რომანში დაუნდობელი შტრიხებითაა დახატული. აქ პოლიტიკა თითქმის არ არის, მაგრამ არის უფრო მეტი - ცოცხალი ნიადაგი, რომლითაც ის საზრდოობს.

საფრანგეთის ყველა სკანდალის დროს - იქნება ეს სასამართლო, ფინანსური თუ საპარლამენტო სკანდალი - თვალში საცემია მისი ორგანული ხასიათი. გლეხისა და ხელოსნის შრომისმოყვარეობიდან და ყაირათიანობიდან, ვაჭრისა და მეწარმის სიფრთხილიდან, რანტიეს ბრმა სიხარბიდან, პარლამენტარების კურტუზაზღოვობიდან და პრესის პატრიოტიზმიდან უთვალავ ძაფებს მიყვავართ კვანძებთან, რომელსაც პანამის სახელი ჰქვია. ურთიერთობების, მომსახურების, შუამავლობის, შეწინააღმდეგების ნახევარქრთამების გადახლართვაში სამოქალაქო შეგნებას (le civism) და სისხლის სამართლის დანაშაულის შორის - ათასობით გარდამავალი ფორმაა. როგორც კი უბედური შემთხვევა გარღვევს პოლიტიკის ანატომიის უზადო ზედაპირს, - ნებისმიერ ადგილზე და ნებისმიერ დროს, - აუცილებ-

ბელია, იმ წამსვე დაინიშნოს საპარლამენტო ან სასამართლო გამოძიება. მაგრამ სწორედ აქ ვანყდებით სირთულეს: რით დავინიშნოთ და სად გავჩერდეთ?

მხოლოდ უსტრიკის მოულოდნელი გაკოტრების წყალობით შევიტყვეთ, რომ ამ წვრილი მედუზენებიდან გამოსულ არაგონავტს ხელის ბჭეტივით ემსახურებოდა მისი უფროსი ძმის, ფინანსთა ჯაფარი ქმნიდა სიმდიდრეებს, ხელთ ეკუთვნოდა ათასობით ადამიანთა ბედი, ქრთამავდა... - როგორი ტლანქი, აუტანლად ზუსტი სიტყვა! - აჯილდოვება, მხარს უჭერდა და ახალისებდა პრესას, ბიუროკრატებსა და პარლამენტარებს. და თითქმის ყოველთვის მოუხელთებელი ფორმით. რაც უფრო ვითარდებოდა საგამოძიებო კომისიის საქმიანობა, მით უფრო თვალსაჩინო ხდებოდა მისი უპერსპექტივობა. იქ, სადაც დანაშაულის აღმოჩენას აპირებდნენ, პოლიტიკასა და ფინანსებს შორის არსებულ ჩვეულებრივ ურთიერთობებს მიაგნეს. სადაც ინფექციის წყაროს ეძებდნენ, ორგანიზმის ჯანმრთელი ქსოვილი იპოვეს.

როგორც ადვოკატი X. უსტრიკის სანარმოთა ინტერესებს იცავდა, როგორც ჟურნალისტი - საბაჟო სისტემას, რომელიც უსტრიკის ინტერესებს ემთხვეოდა; როგორც ხალხის წარმომადგენელი, საბაჟო ტარიფების გადახედვაზე სპეციალზდებოდა. ხოლო როგორც მინისტრი? კომისია დაუსრულებლად იკვლევდა საკითხს, აგრძელებდა თუ არა X. მინისტრის პოსტზე ყოფნისას ვექილის ჰონორარის მიღებას, თუ ორი სამინისტრო კრიზისის შუალედში მისი სინდისი კრისტალივით წმინდა რჩებოდა. როგორი მორალური პედანტობაშია მლიქვნელობაში! რაულ პერე, დეპუტატთა პალატის ყოფილი თავჯდომარე, რესპუბლიკის პრეზიდენტობის კანდიდატი, სისხლის სამართლის დამნაშავეობის კანდიდატი აღმოჩნდა. ამასთან კი, თავისი ღრმა რწმენით, ის „ყველასაკით“ მოქმედებდა, თუმცა, შესაძლოა, ნაკლები სიფრთხილით, ყოველ შემთხვევაში, ნაკლები წარმტებით... „სასწრაფოდ ჩამოსწვით ფარდა!“ - გაჰყვიან შეძრწუნებული პატრიოტები! ფარდა დაშვებულია. სათნოების კულტი კვლავ ბატონობდა, და სიტყვა „ღირსებას“ ბურონთა სასახლის ყველა სკამიდან აპლოდისმენტო ზალბები მოყვება.

„საპარლამენტო ინტრიგებისა და ფინანსური სკანდალების მუდმივი სანახაობის“ (ჟუანკარე) ფონზე, სელინის რომანი ორმაგად მნიშვნელოვანი ხდება. კონსერვატიულ პრესას, თავის დროზე ცოფებს რომ ყრიდა უსტრიკის საქმის საჯაროობის გამო, ტყუილად არ დაუდანაშაულებია სელინი „ნაციზმ“ ნილისნამებაში. საპარლამენტო კომისია გამოძიებას საქმეში ჩახედულთა კურტუზაულ ენაზე აწარმოებდა და მისგან არც მბრალდებელი და არც ბრალდებულები (მათ შორის მკვეთრი წყალგამყოფი არც ისე ხშირად იკვეთებოდა) იხვედნენ უკან. სელინი კი თავისუფალია პირობითობებისაგან. ის მოურიდებლად უკუაგდება პატრიოტული პოლიტიკის არაფრისმოძვე ფერებს. მას საკუთარი ფერები აქვს, რომელიც შემოქმედის უფლებამოსილებით ცხოვრებას გამოსცავს. მოუხედავად იმისა, რომ


სელინი ცხოვრებას ასახავს არა მის საპარლამენტო ქრილში, არა სახელისუფლო სიმალეებზე, არამედ ყველაზე მეტად ყოფით გამოვლინებებში - ეს საქმე არ ადვილებს. სელინი ამიშვლებს ფესვებს. წესიერების გარეგნულ საბურველქვეშ ამხელს ჭუჭყსა და სისხლს. მცირედი მოგების გამო ჩადენილი მკვლელობა რომანის უსასტიკეს პანორამაში კარგავს თავის გამორჩეულობას და ისევე განუყოფელია სიხარბითა და ანგარებით მართული ყოველდღიურობის ყოფითი მექანიკისაგან, როგორც უსტრიკის საქმე - თანამედროვე ფინანსების უფრო მაღალი მექანიკისაგან. სელინი აჩვენებს იმას, რაც არის, ამიტომ გამოიყურება რევოლუციონერვით.

მაგრამ სელინი არ არის რევოლუციონერი და არც უნდა, რომ იყოს. ის საკუთარ თავს არ უსახავს საზოგადოების გარდაქმნის ქიშკრულ მიზანს, არამედ სურს, პრესტიჟი ჩამოგლიჯოს ყველაფერს, რაც ამინებს და თრგუნავს. ცხოვრებისეული ტანჯვისაგან საკუთარი ცნობიერების შესამსუფუქლებლად ამ ღარიბთა მკურნალს ახალი გამომსახველობითი ხერხები დასჭირდა. სელინი რომანის რევოლუციონერად მოგვეცვლინა. ურთიერთსაპირისპირო ტენდენციების შეჯახება - ასეთი აკოვანების განვითარების ზოგადი კანონი.

ყველი გასდით არა მხოლოდ ძალაუფლებაში მყოფ პარტებს, არამედ სახელოვნებო სკოლებსაც, როცა შემოქმედებითი ხერხები იცვითება და ადამიანთა გრძნობებზე ვეღარ ზემოქმედებს, ეს უტყუარი ნიშანია იმისა, რომ სკოლა მზად არის ამონურული შესაძლებლობების სასაფლაოსთვის, ანუ აკადემიისთვის ცოცხალ შემოქმედებას არ შეუძლია წინსვლა, თუ ამავდროულად დაუპირისპირდა ოფიციალურ ტრადიციას, კანონიზებულ იდეებსა და შეგონებებს, ჩვეულების ლაქით დაფარულ სახეებსა და კონსტრუქციებს. ყოველი ახალი მიმართულება გრძნობასა და სიტყვას შორის ყველაზე უფრო უშუალო და ნამდვილ კავშირებს ეძებს. ხელოვნებაში სიმულაციურობის წინააღმდეგ ბრძოლა ყოველთვის ასე თუ ისე ადამიანური ურთიერთობის სიყალბესთან ბრძოლად გადაიქცევა. კავშირი აქ თავისთავად გვექმნება: ხელოვნება, რომელიც კარგავს სოციალური ფარისი აქტმას, გარდაუვლად ბადებს მანერულობას.

რაც უფრო მდიდარი და მყარია ეროვნული კულტურული ტრადიცია, მით უფრო მკვეთრია მისგან დისტანცირება. სელინის ძალა იმაშია, რომ ის გადაჭრით უარყოფს ყველა კანონს, არღვევს ყველა კონვენციას და რადგან ვერ აკმაყოფილებს ცხოვრების გამოშვლებას, კანს ავლევს მას. საკუთრივ, აქედან მომდინარეობს ნაციზმის ცილისწამების ბრალდება. მაგრამ სწორედ ნაციონალური ტრადიციის რადიკალურ უარყოფაში სელინი ღრმად ნაციონალურია. როგორც ომანდელი პერიოდის ფრანგი მილიტარისტები, რომლებიც ჩვეულებრივ, თავხეზილადებულ პატრიოტები იყვნენ, სელინიც სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ფრანგია, მასამე რესპუბლიკის ოფიციალურ ნიღბებს რომ განუდგა. „სელინიზმი“ მორალური და მხატვრული ანტიუანკარიზმია. ამაშია მისი ძალაც და შეზღუდულობაც.

როდესაც ჟუანკარე ძალევი პელიკო ედრება, ეთიკთკაყოფილებისა და უგემოვნობის ცივი შესამბესაქმარისია იმისთვის, რომ აცახცახდე. მაგრამ ნამდვილი პელიკო, რომელიც, გამომწყვდეული იყო არასახლებში, როგორც სახელმწიფოს მეთაური, არამედ როგორც პატრიოტი, წმ. მარგარიტასა და შპილბერგის ციხეებში იხდიდა სასჯელს, - განა ის არ გვიჩვენებს




ნებს ადამიანური ბუნების სხვა, უფრო ამაღლებულ მხარეს? მორწმუნე იტალიელი კათოლიკეს ნაცვლად, რომელიც უფრო მეტად მსხვერპლი იყო, ვიდრე მებრძოლი, სელინს შეეძლო ელისეს სასახლის წარჩინებული პატიმრისთვის შეეხსენებინა სხვა ტუსადი, რომელმაც ოთხი ათეული წელიწადი დაყო საფრანგეთის საპყრობილეებში, სანამ ბადრაგების შვილები და შვილიშვილები პარიზის ერთ-ერთ ბულვარს არ დაარქმევდნენ მის სახელს: ოგიუსტ ბლანიკი¹³.

ანუ ადამიანში არსებობს რაღაც, რასაც შეუძლია, საკუთარ თავზე აამაღლოს? მხოლოდ იმიტომ, რომ ყალბი ალტერეიზმის საკურთხეველებში მრავალრიცხოვანი და მალაღანაზღაურებადი ქურუმები მსახურობენ, სელინი ზურგს აქცევს დიდულოვნებასა და ჰეროიზმს, დიად გაცემებსა და იმედებს, ყველაფერს, რაც ადამიანს ჩაკეტული „მეს“ საპყრობილის ღამიდან გაღწევაში ეხმარება. თითქოსდა, თავისი თავის მიმართ დაუნდობელი მორალისტი შორედებს სარკემი საკუთარ ანარეკლს, ამსხვერვს მინას და ხელებს ისისხლიანებს. ამგვარი ბრძოლა აუძლურებს, მაგრამ გამოსავალსაც არ აჩენს. სასონარკვეთის მორჩილებისკენ მიყვანათ. შერიგება ფართოდ აღებს აკადემიის კარს. ლიტერატურის საძირკველთა მენაღმებს არაერთხელ დაუსრულებიათ კარიერა უკვდავების გუმბათის ქვეშ.

ნიგნის მუსიკაში მნიშვნელოვანი დისონანსაა არამხოლოდ ანწყოს, არამედ იმის უარყოფითაც, რამაც ის უნდა ჩაანაცვლოს, შემოქმედი მხარს უჭერს არსებულ წესრიგს. ამდენად, უნდა მას ეს თუ არა, სელინი პუანკარეს მოკავშირეა. მაგრამ სიცრუის მხილებით ის უფრო ჰარმონიული მომავლის საჭიროებასაც შთააგონებს. თუნდაც სელინი მიიჩნევდეს, რომ ადამიანისგან საერთოდ კარგი არაფერი გამოვა, მისი უკიდურესი პესიმიზმი თავის თავში შეიცავს გარკვეულ შხამსა-წინააღმდეგო დოზას.

სელინი თავიდან ბოლომდე ფრანგული სინამდვილისა და ფრანგული რომანის ნაყოფია და ეს არც უნდა ეთაკილებოდეს. ფრანგულმა გენიამ რომანში შეუდარებელი გამოხატულება პოვა. დაწყებული რაბლედან, რომელიც ასევე ექიმი იყო, ოთხი საუკუნის განმავლობაში განშტოვდა ეპიკური პროზის ოსტატთა ბრწყინვალე გენეალოგია: სიცოცხლით სავსე ხარზარიდან უიმედობამდე და სასონარკვეთამდე, განთიადის კაშკაშა სინათლიდან ღამის დასალიერამდე. მეორე ასეთ ნიგნს, სიცრუისადმი ამგვარი ზიზღითა და სიმაართისადმი უნდობლობით, სელინი ვეღარ დაწერს. დისონანსი უნდა გადაიჭრას. შემოქმედი ან შეურიგდება წყევლადს ან განთიადს იხილავს.

პრინკიპი, 1933 წ. 10 მაისი.



1 - ლუი ფერდინანდ სელინი, მოგზაურობა ღამის დასალიერაში, თბ., თსუ-ის გამომცემლობა, 2008.

2 - რაიმონ პუანკარე (1860 - 1934) - ფრანგი სახელმწიფო მოხელე და პოლიტიკოსი, კონსერვატიული პარტიის ლიდერი, რომელსაც სამჯერ (1912 - 1913, 1922 - 1924, 1926 - 1929) ეკავა საფრანგეთის პრემიერ-მინისტრის, ხოლო 1913 - 1920 წლებში რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობა. პუანკარემ იურისტის განათლება მიიღო და კარიერის დასაწყისში იურიდიულ საქმიანობას ეწეოდა. 1886 წელს აირჩიეს დეპუტატთა პალატის წევრად. მას შემდეგ რესპუბლიკურ პარტიაში მნიშვნელოვანი როლი ჰქონდა. 1902 წელს მესამე რესპუბლიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მემარჯვენე (ცენტრისტული პარტიის, „დემოკრატიული რესპუბლიკური ალიანსის“ თანადამფუძნებელი გახდა. პუანკარე გამოირჩეოდა გამოკვეთილი ანტიგერმანული განწყობებითა და რუსულ-ფრანგული სტრატეგიული კავშირის ფარგლებში ოჯრე იმყოფებოდა რუსეთში - 1912 და 1914 წლებში. ის პირველი მსოფლიო ომის მომხრე ითვლებოდა, ხოლო ომის დაწყებამდე „Poincaré la guerre“ - ს, ანუ „პუანკარე-ომს“ ეძახდნენ. 1917 წლის ნოემბერში, ფრონტზე წარუმატებლობისა და ომის სანაღმდეგო განწყობების ზრდასთან ერთად, პუანკარე იძულებული იყო პრემიერ-მინისტრად თავისი პირადი მონაწილეობით დაეხმარებოდა, რისი განხორციელებაც 1923 წელს პრემიერ-მინისტრის რანგში მოახერხა. აქტიურად მონაწილეობდა დრეიფუსის პროცესის ირგვლივ გაჩაღებულ კამპანიაში და აკრიტიკებდა განაჩენის იურიდიულ დაუსაბუთებლობას. პუანკარეს რამდენიმე ნიგნი აქვს დაწერილი საკუთარი პოლიტიკური კარიერისა თუ მიმდინარე ისტორიული მოვლენების შესახებ, ხოლო მემუარები, რომელსაც, სავარაუდოდ, ტროცკი ციტირებს, 1924 წელსაა გამოცემული.

3 - რურის ოკუპაცია - ვერსალის საზავო ხელშეკრულებით გერმანიისთვის დაკისრებული რეპარაციის მთლიანი თანხის გადაუხდელობის გამო საფრანგეთისა და ბელგიის ჯარებმა 1923 წელს გერმანიის სამრეწველო რეგიონის, რურის მნიშვნელოვანი ნაწილის ტერიტორია დაიკავეს. ოკუპაცია 1925 წელს დასრულდა.

4 - ვერსალის საზავო ხელშეკრულება - 1919 წელს ვერსალის სასახლეში დადებული ხელშეკრულება, რომელმაც ოფიციალურად დაასრულა I მსოფლიო ომი. ხელშეკრულებას ხელს აწერდნენ, ერთი მხრივ, გამარჯვებული სახელმწიფოები - ამერიკა, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და იაპონია და მეორე მხრივ, კაპიტულირებული გერმანია. ზა-

- ვის პირობების თანახმად, გერმანიის ომის დაწყების მთელი მორალური პასუხისმგებლობა და დიდი ოდენობის რეპარაციები დაეკისრა.
- 5 - მესამე რესპუბლიკა - საფრანგეთის პოლიტიკური რეჟიმი, რომელმაც 1870 წლის 4 სექტემბრიდან, ნაპოლეონ III დამხობიდან 1940 წლის 10 ივლისამდე, ანუ მეორე მსოფლიო ომში საფრანგეთის დამარცხებამდე იარსება.
 - 6 - სილიუს პელიკო (1789-1854) - იტალიელი პოეტი და დრამატურგი, რომანტიზმის წარმომადგენელი. ტრაგედია „ფრანკესკა და რიჩინი“ (1815) დიდი პოპულარობით სარგებლობდა იმ პერიოდში, რაზეც ის ფაქტიც მეტყველებს, რომ პიესა ინგლისურად ბაირონმა თარგმნა. კარბონარების მოძრაობასთან, საიდუმლო რევოლუციურ საზოგადოებებთან კავშირის გამო (თავად პელიკო კარბონარი არ იყო, არამედ მეგობართან მიმოწერაში მხოლოდ ინტერესის გამოთქვამა და საზოგადოების მიმართ) 1820 წელს დააპატიმრეს. 1822 წელს სიცილიაში მოუსაჯეს, ხოლო შემდეგ განაჩენი შპილბერგის მკაცრი რეჟიმის ციხეში (ე.წ. carcere duro) 15-წლიანი პატიმრობით შეუცვალეს. 1830 წელს შეინაყლეს, რის შემდეგაც პელიკო მოშობლებთან ტურინში გადასახლეს, სადაც სიცოცხლის ბოლომდე აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებას განრიდებული ცხოვრობდა. 1832 წელს გამოსცა მემუარები, რომელიც ასევე უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა ევროპასა და რუსეთში.
 - 7 - თენიონ ჟენერალი - 1875 წელს ფრანგი კათოლიკეების მიერ ლიონში დაარსებული ბანკი, კლერიკალებისა და ლეგიტიმისტების დიდი მხარდაჭერით სარგებლობდა. თუმცა მართვასთან და ბირჟაზე კონკურენციასთან დაკავშირებული პრობლემების გამო 1882 წელს ბანკი მოულოდნელად გაკურნა. თენიონ ჟენერალის კრაზმა ფრანგულ საზოგადოებრიობაში დიდი რეზონანსი გამოიწვია და ბიჭი მისცა საბირჟო სპეკულაციების კრიტიკას, რაც ემოლ ზოლას რომანის „ფულ“ („L'argent“) ინსპირაციის წყაროდ გახდა.
 - 8 - პანამა - მოკლე სახელწოდება XIX საუკუნის საფრანგეთში მომხდარი პოლიტიკური სკანდალისა, რომელმაც პანამის არხის მშენებლობის დროს წარმოებული ფინანსური აფორების გახმაურების შემდეგ იფეთქა.
 - 9 - ალფრედ დრეიფუსი (1859-1935) - ებრაული წარმოშობის გერმანელი ოფიცერი, 1894 წელს დაადანაშაულებს სამშობლოს ღალატში, ბრალად დასდეს გერმანიის ჯაშუშობა, რის შედეგადაც, მიუხედავად მტკიცებულებების არქონისა, მას ანტირუსიურად განწყობილმა სასამართლომ სიცოცხლის ბოლომდე კატორღა მიუსაჯა. ამ მოვლენამ მძლავრი საზოგადოებრივი პროტესტი გამოიწვია, რომელშიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ იმ პერიოდის მოწინააღმდეგე პოლიტიკური მოღვაწეები და ინტელექტუალები, როგორებიც არიან ჟან ჟორესი, ჟორჟ კლემანსო, ემოლ ზოლა და სხვ. საზოგადოების პროტესტის შედეგად 1899 წელს დრეიფუსი შეინაყლეს, ხოლო 1906 წელს გაამართლეს.
 - 10 - როშეტის საქმე (1908-1914) - ფინანსური სკანდალი, რომელიც გავლენიანი ფრანგი ფინანსისტის ანრი როშეტის სახელთან არის დაკავშირებული. სკანდალი როშეტის თაღლითობაში მხილვით დაიწყო, რის შედეგადაც ის დააპატიმრეს. როშეტმა უარყო ბრალდება და ბრალისწამყენებლები მის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებაში დაადანაშაულა. გამოძიების შედეგად დადგენილმა პატიმრობის თვითნებურმა ხასიათმა სკანდალს პოლიტიკური ელფერიც შესძინა.
 - 11 - უსტრიკის კრაზი (1930-1933) - ფრანგი ბანკირის, საბირჟო სპეკულატორის, ალბერტ უსტრიკის სახელთან დაკავშირებული ფინანსური სკანდალი. უსტრიკის ფინანსურმა მანიპულაციებმა ხალხის დანაშაულების სრული განადგურება და ტარდის მთავრობის გადადგომა გამოიწვია. 1919 წელს მან დაარსა ბანკი Oustric & Cie. ბანკი საყვარე კომპანიების აქციებს გამოსცემდა და ფასის გასაზრდელად ყაღდ რეკლამას იყენებდა. უსტრიკს რამდენიმეწლიანი პატიმრობა მიუსაჯეს. გამოძიებისას დადგინდა, რომ მას რამდენიმე პოლიტიკოსი იცავდა, მათ შორის იუსტიციის მინისტრი.
 - 12 - ჟორჟ კლემანსო (1841 - 1929) - მესამე რესპუბლიკის პერიოდის საფრანგეთის ერთ-ერთი საკვანძო პოლიტიკური მოღვაწე, სპეციალობით ექიმი და ჟურნალისტი. გარეული იყო პანამის საქმეში. აქტიურად მონაწილეობდა დრეიფუსის პროცესის ირგვლივ გამართულ საზოგადოებრივ კამპანიაში. სხვადასხვა პერიოდში ეკავა მინიჭან საქმეთა მინისტრის (1906) და პრემიერ-მინისტრის (1906 - 1909; 1917 - 1920) თანამდებობები. პირველი მსოფლიო ომის წინა პერიოდში ეწეოდა მილიტარისტულ, მოეინისტურ და იმპერიალისტურ პროპაგანდას. მარჯვნიდან აკრიტიკებდა თავის პოლიტიკურ ოპონენტებს, მათ შორის პუანკარეს. პრემიერ-მინისტრობის დროს მუშაობდა დემოკრატიული მოძრაობების მიმართ მკაცრ რეპრესიებს ატარებდა. გამოირჩეოდა ცენტრალისტური რევანსიონისტული დამოკიდებულებით. მონაწილეობას იღებდა ვერსალის საზავო ხელშეკრულების შედგენაში. 1920 წელს საპრეზიდენტო არჩევნებში დამარცხების შემდეგ ჩამოშორდა აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობას.
 - 13 - ოგიუსტ ბლანკი (1805 - 1881) - დიდი ფრანგი რევოლუციონერი, უტოპიური-კომუნისტი. მიიღო იურიდიული და სამედიცინო განათლება. 1820-იანი წლების მეორე ნახევარში საიდუმლო ორგანიზაციებს დაუახლოვდა. მონაწილეობას იღებდა 1830 წლის ივლის რევოლუციაში, თუმცა მის შედეგად დამყარებული მონარქიული რეჟიმით უმყოფოდ იყო აყალიბებს რესპუბლიკურ საზოგადოებას „Amis du peuple“ („ხალხის მეგობრები“), რომლის საქმიანობის გამო 1832 წელს 1-წლიან პატიმრობას უსჯიან. 1836 წელს ისევ აპატიმრებენ, თუმცა 1839 წელს ბლანკი კვლავ აჯანყების ერთ-ერთი ორგანიზატორია. 1840 წლის 31 იანვარს სიკვდილი მიუსაჯეს, თუმცა მეფის გადაწყვეტილებით სასჯელი სამუდამო პატიმრობით შეუცვალეს. 1848 წლის ბურჟუაზიული რევოლუციის შედეგად გათავისუფლებული ბლანკი აყალიბებს „ცენტრალურ რესპუბლიკურ საზოგადოებას“, რომლის მიზანიც აჯანყებების ორგანიზება იყო, თუმცა ლუი ნაპოლეონის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ ბლანკის კვლავ აპატიმრებენ და ათწელს უსჯიან. 1859 წელს ამნისტით გათავისუფლდა, თუმცა 1861 წელს კვლავ 4 წლით საპრობილში დაბრუნება მოუწია. 1865 წლიდან ლონდონსა და ბრიუსელში ცხოვრობდა, საიდანაც საფრანგეთის რევოლუციურ მოძრაობას ხელმძღვანელობდა. დიდ როლს თამაშობდა 1870 წელს და 1871 წლის მასების რევოლუციურ გამოსვლებში, თუმცა კომუნის დაარსების დროს ბლანკი უკვე ციხეში იყო და კომუნარების, რომელთა უდიდესი ნაწილი ბლანკის მიმდევარი იყო, ყველა მცდელობა, გაეცვალათ გავლენიან სამხედრო პირებზე, უშედეგო აღმოჩნდა, რადგან ვერსალის ხელისუფლება ხვდებოდა, რომ ბლანკის გათავისუფლება კომუნის გამარჯვების სანდარტო შეიძლებოდა გამხდარიყო. ბლანკი 1881 წელს ციხეში გარდაიცვალა. მიუხედავად იმისა, რომ ბლანკი უპირატესად პრაქტიკოსი რევოლუციონერი იყო, ის ასევე თეორიული და უბოლქვისტური ტექსტების ავტორიც არის. ბლანკის რევოლუციურ ტაქტიკას, რომელიც ძალაუფლების დაპყრობას პროფესიონალ რევოლუციონერთა რაზმის მიერ სახელმწიფო გადატრიალების მოწყობის ნიადაგზე თვლის შესაძლებლად, „ბლანკიზმი“ ეწოდება.

ნა პერიოდიკა უნივერსალა თქვენი რეკლამა



ტელ: 577 747-719

ელ-ფოსტა: info@arilimag.ge

ბ30/36

2-10

